სპორტი ბაზარი

№22 (755)
ოთხშაბათი
19 ივნისი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.



დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქჳან!

და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაჲ,

და მეგობრობაჲ ამისთჳს თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს.

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთჳს თქუა დავით წინაჲწარმეტყუელმან, რამეთუ " წელი ათასი - ვითარცა ერთი დღჱ",

და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათჱსსა წილი ზის, რომელ ასოჲ არს და იტყჳს ყოვლად ოთხ - ათასსა მარაგსა,

და ესე არს ოთხი დღჱ, და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთჳს მისთანავე დაფლული სიკვდილითა ნათლის - ღებისა მისისაჲთა.

და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა,

და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოც - და - ათოთხმეტი წელი უმეტჱს სხუათა ენათა ქრისტჱს მოსვლითგან დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ, ესე წილი ანბანისაჲ.

საქართველოს ნაკრების პირველი გოლი ევროპის ჩემპიონატზე

ჩვენი ამოცანაა, 2030 წლისთვის გავხდეთ ევროკავშირის წევრი ქვეყანა

„მე მქონდა ბერლინში კომუნიკაცია რამდენიმე პრემიერ-მინისტრთან, რამდენიმე ვიცე-პრემიერთან, რამდენიმე საგარეო საქმეთა მინისტრთან და მათში დავინახე აბსოლუტურად ჯანსაღი განწყობა. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ოპოზიციის სიხარული არის ნაადრევი საქართველოს დასჯასთან დაკავშირებით. არავინ არ აპირებს, დასაჯოს საქართველო, არავინ არ აპირებს, დასაჯოს საქართველოს მოსახლეობა, არავინ არ აპირებს, დასაჯოს ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, შესაბამისად, ყველაფერი იქნება კარგად ქვეყნისთვის და ცუდად ოპოზიციისთვის“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„ყველაფერი იქნება ძალიან კარგად. როგორც გაუცრუვდათ იმედები დღემდე ოპოზიციის წარმომადგენლებს, ისე გაუცრუვდებათ იმედები მომავალშიც. რაც შეეხება მოლაპარაკებების გახსნას, კანონის ინიცირებამდე შანსი იყო ნული, ახლა არის 20-30%. ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენი ამოცანაა, 2030 წლისთვის გავხდეთ ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ამ მიზანს მივყვებით თანმიმდევრულად, მაგრამ ჯერ კიდევ გრძელდება შანტაჟი, რასაც კონკრეტული ძალები თავიდან უკავშირებდნენ კანდიდატის სტატუსს, ახლა უკავშირებენ მოლაპარაკებების გახსნას. ეს არ არის ევროკავშირი. ეს არის ე. წ. გლობალური ომის პარტია, რომელსაც სამწუხაროდ აქვს თვისებრივი გავლენა ევროკავშირზე. გლობალური ომის პარტია აგრძელებს შანტაჟს საქართველოს წინააღმდეგ, თუმცა დღეს მოლაპარაკებების გახსნის თემა არის აბსოლუტურად გაცვეთილი, როგორც შანტაჟის ინსტრუმენტი. შესაბამისად, არავითარი ფასი ამ საკითხს არ აქვს.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ინფორმაცია ორგანიზაციებთან, ადამიანებთან, გვარებთან დაკავშირებით, ვინც არის წარმომადგენელი გლობალურ ომის პარტიაში. მათ შორის, გვარებით ვიცით, ევროპარლამენტარები, სენატორები. სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის ამ ყველაფრის დაკონკრეტება, მაგრამ ვინც აშანტაჟებდა კანდიდატის სტატუსით საქართველოს, თქვენ ხომ გახსოვთ. 2022 წლის ივნისში საქართველოს ყოველგვარი არგუმენტის გარეშე ეთქვა უარი კანდიდატის სტატუსზე. ვინ გვაშანტაჟებდა, ევროკავშირი? არ იყო ეს ევროკავშირი. ესენი იყვნენ ის ძალები, რომლებსაც, სამწუხაროდ, თვისებრივი გავლენა აქვს ევროკავშირზე“, - განაცხადა პრემიერმა.

იოანე-ზოსიმეს უნიკალური ხელნაწერი ეროვნულ მუზეუმში დაიდებს ბინას

„მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ ბიძინა ივანიშვილს იოანე-ზოსიმეს უნიკალური ხელნაწერის შეძენისა და ეროვნული მუზეუმისთვის გადაცემისთვის, რაც არის ძალიან დიდი შენაძენი მთლიანად ჩვენი ქვეყნისთვის. ეს არის იოანე-ზოსიმეს უნიკალური ხელნაწერი, რომელიც 979 წლით თარიღდება და ეს არის ბატონი ბიძინა ივანიშვილის უპრეცედენტო ქველმოქმედების კიდევ ერთი არაჩვეულებრივი მაგალითი. ამ ქველმოქმედებას ბატონი ბიძინა უკვე მრავალი წელია, ეწევა. განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ამ ქველმოქმედებამ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში, შენარჩუნებაში და შესაბამისად - ჩვენი იდენტობის დაცვასა და შენარჩუნებაში. ამისთვის განსაკუთრებული მადლობა ბატონ ბიძინა ივანიშვილს. საუკუნეების განმავლობაში ჩვენს ეროვნულ მუზეუმში დაიდებს ბინას იოანე-ზოსიმეს ეს უნიკალური ხელნაწერი“, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.



„საერთო გაზეთი“ ულოცავს ქალბატონ მაყვალა გონაშვილს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ერთხმად არჩევას და წარმატებებს უსურვებს ამ მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო თანამდებობაზე.

ირაკლი კობახიძე საარჩევნო სიასთან დაკავშირებით

„რაც შეეხება საპარლამენტო უმრავლესობას, მიმაჩნია, რომ ვისაც ექნება სურვილი მოქმედი საპარლამენტო უმრავლესობის წევრებიდან, ყველა უნდა დარჩეს ამ საპარლამენტო სიაში. ეს არის გუნდის საერთო დამოკიდებულება, გუნდის თითოეული ლიდერის. ეს არის მთელი გუნდის საერთო დამოკიდებულება, აქ იგულისხმება, რა თქმა უნდა, საპატიო თავმჯდომარე, პარტიის თავმჯდომარე, პოლიტსაბჭოს თითოეული წევრი. გამომდინარე იქიდან, რომ დღევანდელი საპარლამენტო უმრავლესობა არის გამორჩეული გუნდი, ამ გუნდის თითოეულ წევრს თუ ექნება დარჩენის შესაძლებლობა, უნდა მიეცეს ამის საშუალება.

ბატონი ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულება არის ასეთი, რომ ყველა პრინციპული გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული კონსულტაციების საფუძველზე. მთელი ამ წლების, 12 წლის განმავლობაში სწორედ ამ პრინციპით მოქმედებდა ბიძინა ივანიშვილი.

ჯერ არ დაწყებულა კონსულტაციები სიასთან დაკავშირებით. ჩვენთან სია განიხილება კოლეგიალურ რეჟიმში, პოლიტსაბჭოს ფორმატში“, - აღნიშნა პრემიერმა.

* * *

„ეს უკვე არის საარჩევნო რეჟიმი, როდესაც უცხოური დაფინანსებით კონკრეტული პოლიტიკური ძალების წარმომადგენელი დეპუტატები დადიან და ანგარიშს აბარებენ მოსახლეობას, ეს არის პირდაპირი საარჩევნო აგიტაციის დაფინანსება, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობას. შესაბამისად, მიუღებელია. ამით ვერავითარ პრაქტიკულ გავლენას ვერ მოახდენენ, საბოლოო ჯამში, არჩევნების შედეგებზე, მაგრამ კანონს ასეთი პრაქტიკა პირდაპირ ეწინააღმდეგება“, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა ოპოზიციაზე საუბრისას.

გვარამია-მელიას რომ „ახალი“ ჰქვია, ეს უკვე სასაცილოა

„ნული დამოუკიდებლობა აქვთ ამ ე. წ. პარტიებს, ვისაც ჰქვია ოპოზიცია, ის სინამდვილეში არის აბსოლუტურად მართული, არავითარი დამოუკიდებლობა მათ არ აქვთ, შესაბამისად, ნებისმიერი შეურაცხმყოფელი ნაბიჯი შეიძლება, გადაადგმევინონ. ეს არის აგენტის, ჯაშუშის ბედი. აქაც ვხედავთ კონკრეტულ მაგალითზე გახარიას და ხაზარაძის მაგალითზე - ერთი მეორეს უწოდებდა „თაღლითს“ და მეორე პირველს უწოდებდა „თვალთხარიას“, დღეს დაავალეს, რომ თვალთხარია და თაღლითი უნდა გაერთიანდნენ, ისინიც მზად არიან, რომ გაერთიანდნენ, ასეთია ჯაშუშისა და აგენტის ბედი, ეს არის ძალიან სამწუხარო“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„გვარამია-მელიას რომ „ახალი“ ჰქვია, ეს უკვე სასაცილოა. როგორ შეიძლება ახალი დაარქვა იმას, რაც საზოგადოებას აქვს უკვე წლების მანძილზე ყელში ამოსული. თქვენ გახსოვთ, როგორ ძალადობდნენ ეს ადამიანები როცა იყვნენ ხელისუფლებაში, 2004 წლიდან მოყოლებული და მერე რას აკეთებდნენ ისინი ოპოზიციის რიგებიდან. 20 წელია, ეს ადამიანები არ ასვენებენ ამ ქვეყანას და თავის თავს უწოდებენ „ახალს“ . აქედან ჩანს, რამდენად დიდი ფარსია ეს ყველაფერი, რაშიც ტრიალებს ჩვენი ოპოზიცია, რომელიც სინამდვილეში არის არა ოპოზიცია, არამედ უცხოელი აგენტების ერთობლიობა“.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ბადრი ჯაფარიძის განცხადებიდან გამომდინარე, არჩევნების შემდეგ“ლელო”-„ნაციონალური მოძრაობის“ კოალიციას არ გამორიცხავს.

უსამშობლოები - სახადი, რომელსაც აუცილებლად მოვიხდით

უმადურები და უზნეოები

ცხოვრება ჭრელია და ჭრელია საზოგადოებაც. რა ვუყოთ, თუ ზოგი ბეჯითია და ზოგი ყრუბან-ჩალა, ზოგი ერისმოყვარე და ზოგი — ერის გამყიდველი, მზე ყველას ერთნაირად მიჰმადლის მადლს...

„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ რანაირად უნდა ვუთარგმნოთ გამოქვათაყურებულებს?

ვიღაც თმაბუწუწა შიზორეჟიროსი იქნება, თუ ცისფერკუდა მსახიობი, რანაირად ვუთარგმოთ, რას ნიშნავს კრისტის აუქციონზე შეძენილი პალიმფსესტი?

რა არის „პალიმფსესტი“ და საუკუნეების მიღმიდან გადმოხეთქილი მისი სიდიადე რომ გამეგო, სამი წელი ტვინს მიგრეხდა ჩემი დეკანი, ელგუჯა ხინთიბიძე და ხმაც აღარ ამოვიღო ამ უეროვნებო უზნეო წარმონაქმნებზე, ერის შემარცხვენლებზე?

ეგებ, არც ამომეღო ხმა, ერი ერის ხორცმეტებში უკეთ ერკვევა, მაგრამ ამ შემთხვევაში ველარ გავძელი...

ქართველობის შემარცხვენელი ეს არაქართველი, უეროვნებო მღილები! რა არ მოეწონათ, რამ დაასვათ გულზე სამსჭვალი, რომ პალიმფსესტი, ერთის მხრივ, მოიცავს V—VII სს. არამეულ ენაზე დაწერილ მასალას, ხოლო, მეორე მხრივ, იოანე-ზოსიმეს მიერ 979 წელს გადაწერილ ლიტურგიკულ ტექსტებს, რომელიც სასწაულად ფასეულია და ქართულის სიდიადეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს?! თუ იმან გადარია, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთი ქველმოქმედება გასწია საკუთარი სამშობლოსთვის? იქნებ, ორივემ ერთად? — უსამშობლოებს ხომ გულს უსერავს ის ყველაფერი, რაც ჩვენს სამშობლოს სიდიადეს წარმოაჩენს...

რატომ უნდა იყიდოს “რუსმა ოლიგარქმა” ეს ერის საუნჯე და სახელის მოსახვეჭად ისევ ოლიგარქს რატომ უნდა ეკუთვნოდეს, რატომო?! — დრტვინავენ „დიდი ქართველი“ ჯაშუშები.

რატომ თვით სახელმწიფოს არ უნდა ეყიდა იმ აუქციონიდან ქართველი ხალხის სახელით, სად და ვის ჯიბეში მიდის ქვეყნის ბიუჯეტიო? — ქუხან „დიდი ქართველი“ ბიუჯეტგამომძიებლები.

ახლაც იტყვით, რომ ოლიგარქს ჯიბეში არ უდევს მთლიანად საქართველო? — თავებს აკანტურებენ „ჯიბისმიმკერავთა ასოციაციის“ წევრები.

ამიტომ ამადლიან ქვეყანას, ოლიგარქმა სამება ააშენა, ეს გააკეთა, ის გააკეთა! ახლა მუზეუმს დაუბრუნა თურმე ქართველთა საგანძური! — მადლიერების ნაცვლად აღშფოთებულები არიან ბატონი ივანიშვილის მიერ ქვეყნის სასიკეთოდ წარმოებული საქმეების მაღიარებელ-დამთვლელები.

დატიეთ და შეავსეთ ქვეყნის ბიუჯეტი და ხარჯეთ ისე, რომ ქართველი მოსახლეობის წილიც იყოს ყველა სასიკეთო საქმეში, მაგრამ იმედია, ღმერთმა იცის ყოველივე, რაც ღვთისმშობლის წილ ქვეყანაში ხდება და დრო მოვა, ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს! — იქადნება „დიდებასანატრებულთა კლუბის“ წევრი.

ვის რა უნდა მოჰკითხო, როცა „კოჭლმა იხვმა“, სამარცხვინო ქალმა სოციალურ ქსელში სასხვათაშორისოდ გააზიარა — საგანძური აუქციონზე იყიდებაო.

მე ამ ქალისებრ დანამატს პრეზიდენტად არ ვცნობ, მაგრამ ვისაც გიცვნიათ, მასთან აზრობრივ თანხვედრაში მოხვედრილებს გეკითხებით: და მერე? შეეძინა მაგ თქვენს დიდებობადიშშვილს, ვინ დაუშალა? თვალდახუჭულმა განაცხადა ლობიონაჭამზე, მირჩევნია, თავად შეიძინოს სახელმწიფომ ასეთი საგანძურებიო, — ვითომ აზრზე იყოს რა საგანძურზეა საუბარი, გამოაცხო დაუსრულებელი წინადადება, მაგრამ მაინც არ ახსენა ბატონი ივანიშვილი, ენა ვერ მოუტრიალდა.

საქართველოს პრეზიდენტს შეეძინა პრეზიდენტის ფონდიდან და გადაეცა ერისთვის, რა იყო, შაყსა ჰკრავდნენ? — ეს ასპიტი, ესა!

„მთავარმა“ გადმოსცა: „იოანე-ზოსიმეს ქართული ხელნაწერი „კრისტის“ აუქციონზე მილიონ გირვანქა სტერლინგად გაიყიდა. ამ ეტაპზე მყიდველის ვინაობა უცნობია.“ ყველაფერი წინსწრებით იციან, მხოლოდ ეს ვერ დაადგინეს წინსწრებით კი არა, უკვე დადასტურებულზე, ნეტავ? ეს იმ დროს გადმოსცა, უკვე მთელმა საქართველომ რომ ვიცოდით ვინ იყო მყიდველი...

ამას რა უჭირს! თურმე, ნუ იტყვით და, იოანე-ზოსიმეს უნიკალური ხელნაწერი ბიძინა ივანიშვილს კი არ შეუძენია, თვითონ ჰქონია დამალული, ვითომ შეუძენია და ეროვნული მუზეუმისთვის ასე გადაუცია. ეს უკვე სასაცილოც აღარ არის... კი, მაგრამ, იოანე-ზოსიმემ პირადად დაუტოვა ბატონი ბიძინას წინაპრებს, თუ როგორ ჰქონდა თვითონ?

როგორ ყოფილა საქმე, გვიხსნის ვინმე ლამარა გარუჩავა: „ამნაირი ბრბო რომ ხართ, იმიტომ არ ხართ მეტის ღირსი ქოცები. აგიტეხიათ ამბავი იოანე- ზოსიმეს წიგნზე და უახლესი ისტორიაც არ იცით მაგ წიგნზე, რომელიც 2009 წელს დაბრუნდა საქართველოში თინა ბოკუჩავას ძალისხმევით და იყო მუზეუმში, საიდანაც 2013 წელს ქოცებმა მოიპარეს. ახლა ბიძინამ გაითამაშა, ვითომ იყიდა ეგ წიგნი. სინამდვილეში ის ფული თვითონ მიუვა, რაც აუქციონზეა გადახდილი და მუზეუმშიც ასლი მიიტანეს ქოცებმა, როგორც იქ მომუშავე ერთმა პატრიოტმა მითხრა. მთელმა მუზეუმმა იცის, რომ ნამდვილი ზოსიმეს წიგნი არაა, მაგრამ სიკვდილით გვემუქრებიან, თუ გავახმაურებთო“. ლამარა რას ამბობს, იმ მხრივ არის ყურადსაღები, რომ მის ნათქვამს „კლიენტი“ ჰყავს, ეჭვი არ შეეპარებათ, რომ სიმართლეს ამბობს, დაიჯერებენ და გაავრცელებენ კიდეც.

კიდევ უკეთესი — თურმე, ამგვარი საქციელი ყოფილა ხალხის მოსყიდვა და ქრთამი მუზეუმისთვის, ამიტომ მუზეუმმა უარი უნდა თქვას მის მიღებაზე, — ღმერთო, ნეტავ არ გამაგიჟებდნენ ესენი!

კარგი, წამით დავუშვათ, რომ მართლაც ასეა, ნარკოტიკების ნაცვლად, ოპოზიციამაც მსგავსი ქველმოქმედებებით მოისყიდოს ახალგაზრდობა...

„მე, როგორც მუზეუმის დირექტორს, ყველას სახელით მსურს, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილს დიდი მადლობა გადავუხადო ამ მამულიშვილური საქმისთვის და აქვე დავძინო, რომ ისტორიას დარჩება ოფიციალური ჩანაწერი მუზეუმის შემოსულობათა წიგნში, სადაც ჩაიწერება, რომ სწორედ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გადასცა მუზეუმს ეს უმნიშვნელოვანესი ექსპონატი“, — აღნიშნა ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა. ამ სამადლობელი სიტყვის გამო, ნეტავ ამ კაცს არაფერს მოსწევდნენ...

დარწმუნებული ვარ, უწმიდესის სიტყვები რომ ახდეს და აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს სხეულს დაუბრუნდეს, ეს უმადური უზნეოები საპროტესტოდ რუსთაველზე გამოვლენ, ეს არის ხალხის აშკარა მოსყიდვა, არ გვინდა ივანიშვილის მშვიდობიანად დაბრუნებული ტერიტორიები, ომით დავიბრუნებთო...

ვიღაცას ფილანთროპი ჰგონია ბატონი ივანიშვილი, ვიღაცას „მოხალისე ქველმოქმედი“ და მავანს კიდევ ვინმე სხვა. ვინ იყო ეს კაცი საქართველოსთვის, ამას საქართველოს ისტორია იტყვის, მაგრამ ფუნაგორია რომ ხარ ვიღაც, სადღაც და რაღაცაში, შენ მაინც ხომ უნდა გაჩუმდე?

ბიძინა ივანიშვილის „დანაშაული“

ვერ აქციეს ეს ერთი კაცი ლუკმად, ვერაფრით შესწვდნენ მის სიმაღლეს და ვინ რანაირად უკბინოს მის გარშემო არსებულ სივრცეს, აღარ იციან, საკუთარს „მიგნებებშიღა“ იხლართებიან.

„საკაშვილმა დაგვაჯერა, რომ ძალიან კარგები და მაგრები ვართ, ივანიშვილმა კი დაგვანახა, ვინც ვართ რეალურად“, — თქვა ერთმა ცნობილმა „მიშისტმა“ ქალმა. ამ ქალს ჰგონია, რომ ძალიან დიდი შეურაცხმყოფელი რამ თქვა ბატონი ივანიშვილის მისამართით, თუ წამიერად გონება გაუნათდა, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ მავანთ საკაშვილის მიერ შეთხზულ ილუზიებში ცხოვრება ჰგონიათ წარმატება, რეალური წარმატებები კი ეკლად ესობათ — ჭვალად და შაკიკად ექცათ ბიძინა ივანიშვილი.

„ახლა გავიგე, რომ ნატა ფერაძეს ოჯახთან ერთად მოუწია ქვეყნის დატოვება, რადგან დაჭერას უპირებდნენ სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით. მეგობრებო, ბელორუსში მეტი კი არაფერი ხდება! მეგობრებო, რუსეთში სხვანაირად კი არ იწყებოდა პუტინის დიქტატურა! მეგობრებო, სამშობლოს ასე კარგავენ ადამიანები: ჯერ ერთეულებს, მერე ყველა პატრიოტს უწევს ქვეყნის დატოვება! მხარდაჭერა ნატას და ყველა თავისუფლებისთვის მებრძოლს! ძირს უზურპატორი ივანიშვილი!“ — ნაწერიდან ისმის ცოდვებით დამძიმებული ნაცპროკურორალის ხავილი.

ამ ერთ კაცს, ბიძინა ივანიშვილს, ერთ კარგ ქართველს, კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია საკუთარი სამშობლოსთვის და რას ერჩიან ასე გაავებულები?

ჩემი მოკრძალებული მოსაზრებით, საქმე შემდეგში მდგომარეობს: 2012 წელს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მშვიდობიანად მოსვლას ეჭვშეუვალად ხელი შეუწყო კოლექტიურმა დასავლეთმა, მათგან მნიშვნელოვანწილად კი კონკრეტულად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

რა თქმა უნდა, კოლექტიურ დასავლეთს არანაირი პირადი სიმპათია არ ჰქონდა ბატონი ივანიშვილისა და მის მიერ დაარსებული პოლიტიკური გუნდისა, მაგრამ იმას ხომ არ იტყოდნენ, საქართველოს მოქალაქეებს კი არა, ჩვენც ყელში ამოგვივიდა ჩვენი „დემოკრატიის შუქურის“ რეალური სახე და მისი მანიაკური მიდრეკილებებიო. კოლექტიურმა დასავლეთმა თითი დაუქნია საკაშვილსა და მის ბანდას, თქვენი ერთი გატოკება ჩვენი ნების წინააღმდეგ და ეპიტაფიის ადგილიც აღარ გექნებათო. სხვაგვარად, საკაშვილის ფულსა და სისხლზე დაგეშილ ნაცხონდერებს რა გააკვებდა. მიუხედავად იმისა, რომ საკაშვილი მისი ბანდიდურთ ყოვლად სასურველი მონები იყვნენ მფლობელებისთვის და საქართველოც კარგად იყო დამუშავებული „ლუციფერის ეფექტით“, მაინც ჩააჩოჩეს.

კოლექტიური დასავლეთის მოკლე გათვლით, ორი საარჩევნო პერიოდი საკმარისი იქნებოდა „ნაცბანდის“ ერთგვარად გადახალისებისთვის და ისეთივე პოლიტიკური ადგილმონაცვლეობა დამკვიდრდებოდა საქართველოში, როგორიც აშშ-ში აქვთ — „დემოკრატები“ და „რესპუბლიკელები“, „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. მათივე გათვლით, დიდი სხვაობა არ იქნებოდა საქართველოს ორ დაქვემდებარებულ ხელისუფლებას შორის და გაგრძელდებოდა ყველაფერი ისე, ვითომ, როგორც ხალხს სურდა, რეალურად კი მათ როგორც უნდოდათ. რატომ ხუჭავდა თვალს კოლექტიური დასავლეთი საქართველოსთვის იმ საშინელ და დამაქცევარ სისხლი-

7 ᲒᲐ.



„საერთო გაზეთის“ სტუმარია პოეტი ერეკლე საღლიანი:

იოანე-ზოსიმეს ხელნაწერები ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც საუფლო კვართი

— ბატონო ერეკლე, „კრისტის“ აუქციონზე ბიძინა ივანიშვილმა იოანე-ზოსიმეს უნიკალური ხელნაწერი შეიძინა, რომელსაც ხელოვნების მუზეუმს საჩუქრად გადასცემს. როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს?

— ჩვენი ქვეყნისთვის იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი უმნიშვნელოვანესი შენაძენია, რადგან ამით ნელ-ნელა ისტორიას ვიბრუნებთ. რა თქმა უნდა, ამ ფაქტს მივესალმები, კარგის მეტი რა მეთქმის. ეს განძი ბინას სამშობლოში დაიდებს. რაც მეტი კულტურულ-ისტორიული ძეგლი შეემატება საქართველოს, სულიერად მით უფრო მდიდრები ვიქნებით. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე წლის წინათ ჩვენს ქვეყანას ნიკო ფიროსმანის ერთ-ერთი ნახატი დაუბრუნდა, რაც ასევე სასიხარულო ამბავი იყო.

— პატრიარქმა ბრძანა, რომ ეს არტეფაქტი ჩვენი ქვეყნის კულტურულ საგანძურს გაამდიდრებს.

— რა თქმა უნდა, ასეა. ვფიქრობ, იოანე-ზოსიმე შუა საუკუნეების ერთ-ერთი გამორჩეული იდეოლოგთაგანია. მე მაინც მგონია, რომ ჩვენ მის ქმნილებას მხოლოდ მატერიალური კუთხით არ უნდა შევხედოთ. ამ ხელნაწერს თავის სიღრმეები, წიაღსვლები აქვს, რასაც სულ სხვა თვალით ჩაძიება სჭირდება. იოანე-ზოსიმემ ჩვენს სულიერ განვითარებაში, თვითშეგნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მან ეს იდეოლოგია ჩვენს ქართველ დიდ მამულიშვილებთან — შოთა რუსთაველთან, იოანე შავთელთან, ჩახრუხაძესთან, არსენ იყალთოელთან ერთად ჩამოაყალიბა.

— იოანე-ზოსიმეს ეკუთვნის სიტყვები: მაცხოვარი მეორედ რომ მოვა, ქართულ ენაზე ამეტყველდებაო, რითაც ქართული ენის სიწმინდეს გაუსვა ხაზი...

— აქ მხოლოდ სიწმინდეზე კი არა, მესიანისტურ იდეაზეა ლაპარაკი. სხვა საკითხია ის, რომ ნებისმიერი ენა უძვირფასესი განძი, განსაკუთრებული მოვლენაა. საჭირო რომ არ ყოფილიყო, მაცხოვარი ამ ენების არსებობას არც დაუშვებდა. ამ მრავალფეროვან საგანძურში ქართული ერთ-ერთი უმდიდრესი ენათაგანია. რა შემთხვევაში შეგვიძლია ქართულ ენას ასეთი დიდი მისია მივანიჭოთ? — მხოლოდ მაშინ, თუ ის ყველა ენისთვის დამახასიათებელ განუმეორებელ შრეებს მოიცავს. ანუ, ამით იოანე-ზოსიმე შემდეგ რამეს გვეუბნება: ყველა ენისთვის დამახასიათებელი დადებითი მხარე ქართულმა ენამაც უნდა შეიძინოს. ამით ქართული ენა უკვე მსოფლიო მნიშვნელობის ენად იქცევა და ასეც არის. თუმცა, მსოფლიომ ეს ჯერ ვერ გაითავისა.

მინდა, აქვე კიდევ ერთი რამ აღვნიშნო: საქართველოში ჰაგიოგრაფიის დიდი მწერლის, გიორგი მერჩულეს ნაწარმოების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ორიგინალი არ მოგვეპოვება. ის იერუსალიმის ბიბლიოთეკაშია დაცული. ქართველ ბიზნესმენებს მოვუწოდებ, საქართველოს ყოველი განძი დაუბრუნონ, რაც უდიდესი ეროვნული საქმე და ენით აღუწერელი სიხარული იქნება. მინდა, „საერთო გაზეთის“ მეშვეობით თანამემამულეებს ვუთხრა, რომ თავის დროზე გიორგი მერჩულეს ნაწარმოების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ გასაცნობად ორიენტალისტთა შორის ყველაზე დიდმა ავტორიტეტმა, ნიკო მარმა ექსპედიცია მოაწყო. იგი პალესტინაში ჩავიდა, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ფოტოფირები გადაიღო, რომლის ორიგინალი დღემდე ჩვენთან ინახება. ნამდვილი ორიგინალი კი, როგორც ვთქვი, იერუსალიმის ბიბლიოთეკაშია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნიკო მარის მხრიდან ასეთი საქციელი მაშინ გმირობა იყო. 1918 წელი გახლდათ, პირველი მსოფლიო ომი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, ნიკო მარი იმ ტერიტორიაზე მოძრაობდა, სადაც არაბი ბედუინები იყვნენ ჩასაფრებულნი და ამვლელ-ჩამომვლელს ძარცვავდნენ. მაშ, როგორ შეძლო ნიკო მარმა ამ გზის გავლა? — საქმე ის არის, რომ მან არაბული ენის ყველა დიალექტი იცოდა და მათ თავიანთ ენაზე ესაუბრებოდა.

— ბატონო ერეკლე, იოანე-ზოსიმეს ქართული ხელნაწერის ქვეშ არამეული ხელნაწერის არსებობა რამდენად ადასტურებს იმას, რომ ქართველი ხალხი ქრისტიანობის დასაწყისშივე მის სათავეებთან იდგა?

— რასაკვირველია, ქრისტიანობის საწყისშივე მის სათავეებთან ვიდექით. მეტსაც გეტყვით, პირველი ერი, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო, აისორები იყვნენ. მათ ქრისტიანობა 54 წელს მიიღეს. როცა ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი და მატატა აწყურიდან, სამხრეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ, მთელმა დასავლეთ საქართველომ ქრისტიანობა მიიღო. რა ხდებოდა, ამ დროს? — ქართლის მეფე ადრეკმა სამეგრელოზე გაილაშქრა, დაარბია და იმ ფესვების ამოძირკვა დაიწყო, რაც ჩვენს სულებში უკვე ღრმად იყო გადგმული. მან მეგრელები წარმართობას დაბრუნებოდნენ. ეს ფაქტი რომ არა, თუკი აისორებმა ქრისტიანობა 54 წელს მიიღეს, მეგრელებს ეს 38 წელს, ანუ 16 წლით ადრე ჰქონდათ მიღებული. მაშინ ქრისტიანობა რომ შეენარჩუნებინათ, დედამიწის ზურგზე პირველი ქრისტიანები მეგრელები იქნებოდნენ. ეს ფაქტები ბევრმა არ იცის. რა თქმა უნდა, ჩვენ ქრისტიანობის სათავეებთან ვიდექით. ოფიციალურად ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია 326 წელს გახდა.

— იოანე-ზოსიმეს ხელნაწერს რამდენად აქვს საკრალური მნიშვნელობა და ამით დღევანდელი საქართველო თავის სულიერ მემკვიდრეობას ხომ არ დაუკავშირდა?

— დიახ, ამ ხელნაწერს ნამდვილად საკრალური მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, მე ეს ხელნაწერი რომ ვნახო, მასთან შეხება ნამდვილად გამიჭირდება, ისეთი რიდი და კრძალვა მექნება. ამ ხელნაწერში ხომ დიდი იოანე-ზოსიმეს სულია გაბნეული. დიახ, ამ ხელნაწერზე პირდაპირ მისი სულია დაფენილი. ხელნაწერთან შეხებით მხოლოდ ამ უნიკალურ ტექსტს კი არ ვეხებით, არამედ ამ დიდ ადამიანთან დიალოგში შევდივართ. ოღონდ, მთავარია, დიალოგში სწორად შევიდეთ. მოდი, ამ საკითხს მეორე კუთხითაც შევხედოთ. იოანე-ზოსიმეს სიტყვებს — მეორედ მოსვლის ჟამს მაცხოვარი ცოდვებს ქართულ ენაზე განიკითხავსო, ამაყად ვამბობთ. ვინმემ რომ გითხრათ, მეორედ მოსვლის ჟამს მაცხოვარი ცოდვებს რუსულ, ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე განიკითხავსო, ხომ არ გესიამოვნებათ?! აბა, დავფიქრდეთ. ის, რომ მაცხოვარი ცოდვებს ქართულ ენაზე განიკითხავს, ვფიქრობ ქართული ენის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. კერძოდ, ამით იოანე-ზოსიმე გვეუბნება: ვინაიდან იმდროინდელი ქართველობა სულიერ ცხოვრებას ეწეოდა, ქართული ენაც სულიერი იყო. ენა, რომელიც სულიერია, თავისთავად შეიძლება, მაცხოვრისთვისაც სამეტყველო ენად იქცეს. ვფიქრობ, ენები, რომლებიც აი, ამ ამაღლებული, სულიერი სიწმინდის სამსახურში ჩადგებიან, ყველა მაცხოვრის შეხებისთაგანი გახდება. ჩვენ ყველა სიმდიდრე უნდა მოვიცვათ, რაც ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ ენებს ახლავს. დავსვათ კითხვა: რა არის „ვეფხისტყაოსანი“? — ის, რაც მე-12 საუკუნეში ევროპამ და აზიამ ერთად შექმნა. ამ ყველაფერს როცა შევძლებთ, სწორედ ეს იქნება იოანე-ზოსიმეს სიტყვების ხორცშესხმა.

— როგორც ვიცით, ეს ხელნაწერები საქართველოში არ შექმნილა. რა გზა გამოიარა იოანე-ზოსიმეს ხელნაწერებმა?

— ძალიან რთული გზა. საქართველოში არა, მაგრამ ქართული სულიერი კულტურის ცენტრებშია შექმნილი. სხვათა შორის, ამ ცენტრებშიც არანაკლები მოღვაწეები გვყავდა. ასე რომ, ხელნაწერები საქართველოში შეიძლება კიდეც იყო, მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია. აქამდე მხოლოდ იმან მოაღწია, რაც საქართველოს მიღმა შეიქმნა.

იოანე-ზოსიმეს ხელნაწერები ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც საუფლო კვართი, ღვთისმშობლის წილხვედრობა, სვეტიცხოვლის სასწაული... ოღონდ გავითავისოთ, რომ ეს ყველაფერი ჩვენ უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ჩვენ კი ამ ყველაფერს იმისთვის ვიყენებთ, რომ პრივილეგირებულნი ვიყოთ.

ბიძინა ივანიშვილისადმი, რომელმაც ეს განძი საქართველოსთვის გამოისყიდა, ქართველებს მადლობის მეტი რა გვეთქმის. მე ადამიანს მისხალ პატივისცემასაც კი არ ვუკარგავ. მავანმა ამ თემით სპეკულაცია დაიწყო, ეს წინასაარჩევნო ფანდიაო. ასეთი სიკეთე თვითონაც გააკეთონ, თუ შეუძლიათ და რაც უნდათ, ის დაარქვან, გინდა წინასაარჩევნო ფანდი და გინდა სხვა რამ. ამ ნაბიჯს მხოლოდ მივესალმები. ვიმეორებ, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ნეტავ, ყველა პოლიტიკოსი წინასაარჩევნოდ ქულებს ამ გზით აგროვებდეს.

— ბოლოს გვითხარით, რა სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს იოანე-ზოსიმეს უნიკალურ ხელნაწერს?

— საქართველოს აქვს ამ ხელნაწერის ორიგინალი და მეცნიერებს საშუალება აქვთ, ამ ტექსტზე იმუშავონ, სადაც ყოველ სიტყვაში სამყაროს სიღრმისეული საიდუმლო დევს. ჩვენ რას ვაკეთებთ? — ამ ყველაფერს ზედაპირულად ვკითხულობთ, ხიბლში ვვარდებით, იმ დიდ პასუხისმგებლობას ვიხსნით, რაც ამ ტექსტის მიხედვით გვაკისრია და, ფაქტობრივად, კარიკატურულ მდგომარეობაში ვვარდებით.

თქვენი ნებართვით, ორიოდ სიტყვას ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზეც მოგახსენებთ. სამწუხაროდ, დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში ერთი ნათელი წერტილიც კი არ ჩანს. დღევანდელი მდგომარეობა ძალიან მაგონებს პირველი მსოფლიო ომის დასაწყისს, სადაც ყველა ქვეყნის დამოკიდებულება, სხვათა მიმართ იმპერიალისტური იყო. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც პირველ მსოფლიო ომში სამართლიან ბრძოლას ეწეოდა, სერბეთი გახლდათ, რომელიც თავის დამოუკიდებლობას იცავდა. დანარჩენი, ეს იყო უსამართლობაზე დაფუძნებული ომი. რა უბედურებაც მოუტანა ამ ომმა კაცობრიობას, ჩემზე უკეთ იცით. დღესაც იგივე ვითარებაა. მიკვირს იმ ადამიანების, რომლებიც ვითარებას მიმოიხილავენ და ერთ რომელიმე ქვეყანას ამტყუნებენ, მეორეს კი ამართლებენ. რაც დღეს მსოფლიოში ხდება, მთლიანად ძალადობაზე, უსამართლობაზე, კაცის კვლაზე, სიძულვილზეა დამყარებული. პირადად ჩემთვის, ყველა მიუღებელია. საშინელი გამოწვევების წინაშე ვდგავართ. ამიტომ ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა თავი ყულფში არ გავყოთ, როგორც მრავალჯერ დაგვემართა. ამიტომ, სიბრძნე, სიბრძნე და მხოლოდ სიბრძნე გვმართებს. ხალხი და ხელისუფლება ერთ ენაზე უნდა მეტყველებდეს. სამწუხაროდ, ახალგაზრდობასაც, რომელიც მოვლენების ეპიცენტრში მოექცა, ბევრი ვერაფერი მაგალითი მივეცით. ამიტომ მიზეზი ახალგაზრდობაში კი არა, საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ.

ჩვენ, პირველ რიგში, სიმართლის გზით უნდა ვიაროთ. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ არა რუსული ან ოკეანის გაღმელების პოლიტიკა, არამედ ქართული. ყველას უნდა დავანახოთ, რომ ჩვენ ნელ-ნელა, ავად თუ კარგად, შეცდომებით თუ უშეცდომოდ, სახელმწიფოდ ვყალიბდებით. დიდ პოლიტიკურ პროცესებს შეცდომებიც ახლავს. ქართველი ხალხი ამ შეცდომებსაც გაპატიებს, თუ გულწრფელი იქნები. ვიმეორებ, მხოლოდ ქართული პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ. როცა ჩვენ საკუთარ ფეხზე დავდგებით, ევროპაც, აშშ-ც და რუსეთიც სხვაგვარად დაგველაპარაკება. დღეს ჩვენ მათთვის თავში ადვილად წამოსარტყმელი ლაქიები ვართ. ასე პატივს არავინ გცემს. ეს პატივისცემა თავად უნდა შეექმნათ და დავიმსახუროთ.

თამარ შველიძე

რატომ კარგი აგიგია?!

გვესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი:

— ბატონო მერაბ, იოანე-ზოსიმეს ხელნაწერები ბინას საქართველოში დაიდებს. რა მნიშვნელობა აქვს ამას ქვეყნისთვის?

— იოანე-ზოსიმეს ხელნაწერების შეძენა, ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ქვეყნისთვის ფასდაუდებელი საჩუქარია. ეს გახლავთ დიდი ეროვნული საქმე, რაც ბატონმა ბიძინამ მომავალ თაობებს გაუკეთა. თუ ადამიანს ქვეყანა ოდნავ მაინც უყვარს და მის მომავალზე ფიქრობს, ეს ფაქტი უნდა ახარებდეს. საქართველოში მუდამ იყო მცდელობა, სიკეთის გამკეთებლებისთვის ტალახი ესროლათ. საოცარია, ადამიანი ქვეყანაზე ზრუნავს, ეს უღმერთოები კი ამის გამო მას შეურაცხყოფას აყენებენ. ერში არსებული მეტასტაზები, სხეულის დამპალი კიდურები, სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას ცდილობენ. ეს ჩვენი გარდაუვალი ბედისწერაა. შიდა დაპირისპირება ყველა ერშია, მაგრამ აქ რაც ხდება, ყოველგვარ საზღვრებს სცდება. ყვლაფერს რომ თავი დავანებოთ, თავად იოანე-ზოსიმეს ღვაწლი შეუფასებელია. ჩვენი ქვეყნისთვის ეს უნიკალური ხელნაწერები მიუწვდომელი იყო. ივანიშვილს ხომ შეეძლო, ამ საკითხისათვის გულგრილად შეეხედა და აუქციონში მონაწილეობა საერთოდ არ მიეღო. და არავინ იცის, ვინ შეიძენდა და სად მოხვდებოდა ეს ძვირფასი განძი. ამ მეცენატმა ადამიანმა უდიდესი სიკეთე გააკეთა — საქართველოს კულტურულ-ისტორიული ძეგლი შესძინა, რითაც შეგვიძლია მხოლოდ ვიამაყოთ და თავაწეულებმა ვიაროთ. ეს ჩვენი ტრადიციული ფესვების თავიდათავია. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი ჩვენი ქვეყნის ფუნდამენტია და მის საქართველოში დავანებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. წესით, სრულიად ქართველი ერი ბიძინა ივანიშვილის მადლიერი უნდა იყოს. პოლიტიკურმა მტერმაც კი, თუ ის ჭეშმარიტი ქართველია და სამშობლო გულით უყვარს, ამ ქმედებას ტაში უნდა დაუკრას.

— თუმცა, ტაშის ნაცვლად, ქილიკი გვესმის. თავდაპირველად, ოპოზიციონერები აღნიშნავდნენ, კარგი იქნება, თუ ხელნაწერებს ქართველი შეიძენსო, მაგრამ მერე ამას საარჩევნო ფანდი უწოდეს.

— ყველაფერზე კუდის გამობმა გაგონილა?! „რატომ კარგი აგიგიაო“, — აი, ეს პრინციპი ამოძრავებთ ჩვენს ოპოზიციას და მათ მხარდამჭერებს. მათ არავინ აძალებს, ამ „ფანდით“ გაბრიყვდით და ივანიშვილის პარტიას ხმა მიეცითო. ნაცს და მის მომხრეებს ამ ეროვნული ნაბიჯით მაინც ვერ მოიმხრობ, რადგან მათში მისხალი ეროვნული არ არის. ივანიშვილს ხელნაწერი იმისთვის არ შეუძენია, რომ ნაცების ან მათი ამომრჩევლის გული მოეგო. ამ ნაბიჯის არდაფასება არის დიდი სიტუტუცე, ზიზღი საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობის მიმართ. ყველამ მშვენივრად იცის, რომ ეს შენაძენი ვინმეს გადმოსაბირებლად არ გაკეთებულა. ვინც „ქართულ ოცნებას“ მხარს უჭერს, კვლავ მის მომხრედ დარჩება. მაგალითად მე, ივანიშვილს იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი რომც არ შეეძინა, ხმას მაინც „ქართულ ოცნებას“ მივცემდი. ეს ხალხი არც კი უფიქრდება, რომ ამდენი ზიზღის, ღვარძლის ამოფრქვევით, არასახელმწიფოებრივი განცხადებების კეთებით, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს აზიანებს და ამომრჩევლის თვალში პირიქით, მცირდება. „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი მხოლოდ ამ საგანძურის შეძენისთვის კი არ არის მადლიერი, არამედ ქვეყნის სტაბილურობასა და მშვიდობასაც უჭერს მხარს, რაც ამ ხელისუფლების პირობებში ნარჩუნდება. გამიხარდა, უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ქვეყანაში ბინას დაიდებს კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ხელნაწერი — საგანძური, რითაც მტკიცდება, რომ ერთ-ერთი უძველესი ერი ვართ.

იოანე-ზოსიმეს ხელნაწერები ხელოვნების მუზეუმს გადაეცემა, რაც თითოეული ქართველისთვის გასახარი და საამაყო უნდა იყოს. ეს საერთო საქმეა, ჩათვალეთ, რომ ეს ხელნაწერი პირადად თქვენც შეიძინეთ. ივანიშვილს ის სახლში ხომ არ წაუღია?! მან ეს უნიკალური ხელნაწერი მთელს ერზე განავრცო. ასე რომ, იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი ჩემი შეძენილიცაა. ოპოზიციაში თუკი ვინმე ნორმალური ქართველი დარჩა, ეს ხელნაწერი მისიცაა. ბიძინა ივანიშვილმა ეს შენაძენი საყოველთაო გახადა. სხვათა შორის, როცა სამების ტაძრი შენდებოდა, მან თქვა, მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რა თანხა შესძინა ტაძარს — კაპიკი თუ მილიონი. სიკეთის კეთება თანხის სიდიდით არ განისაზღვრება. ვის რამდენი შეეძლო, იმდენი გაიღო ტაძრისთვის და ის ხალხის აშენებულიაო. ეს სწორი ლოგიკა, მსჯელობაა. დიახ, იოანე-ზოსიმეს — ამ უდიდესი კულტურული ძეგლის შეძენა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ის ივანიშვილმა მთელ ერს უწილადა. უფალმა მას შეაძლებინა სამშობლოსთვის ფასდაუდებელი საჩუქარი გაეკეთებინა და ამაზე ქილიკი მარაზმია. თუ არ გესმის რა მნიშვნელობისაა ეს ყოველივე, გაჩუმდი მაინც, შე ოჯახაშენებულო. იმდენად უწიგნურნი არიან, არც ესმით, რა თემას ეხებიან და რას შეურაცხყოფენ. როგორ შეიძლება ასეთმა ადამიანებმა ჩემი ქვეყანა მართონ, ხელისუფლებაში დაბრუნდნენ?! გონიერება მაინც გეყოს და გაჩუმდი!

— ეს უნიკალური განძი საკაშვილს რომ შეეძინა, ალბათ, საყოველთაო ზეიმს მოაწყობდნენ...

— ნაცები ასეთ განძს ვერ შეიძენდნენ, რადგან ყველამ კარგად ვიცით, მათ რისი შეძენაც ეხერხებოდათ, ეს არის: ყავარჯნები, ცოცხები... ასევე, ღამის ორ საათზე სხვის ქონებებს იძენდნენ, ძალისმიერი მეთოდებით ყაჩაღობას აკანონებდნენ.

— ამ ხალხმა ახალგაზრდობაც გადააგვარა. საქმე იქამდე მივიდა, მანაგაძემ საკუთარი დედის საქციელს „ამორალური“ ღიად უწოდა...

— საქმე გვაქვს ეშმაკისეულ, გონებაში გამჯდარ იდეოლოგიასთან, რასაც ახალგაზრდებს უნერგავენ. პირდაპირ ვთქვათ: საქმე გვაქვს ეშმაკთან. ხშირად ვიხსენებთ ხოლმე ბოლშევიზმს. ისიც ვიცით, მაშინ ეშმაკმა რამხელა როლი ითამაშა. თავდაპირველად, ნაწილი ქართულ ნიადაგს, ფესვებს მოწყვეტილია. არ შეიძლება, ახალგაზრდა ისე საუბრობდე და აგრესიას გამოხატავდე, რასაც დღეს ვუყურებთ. მავანის დავალებით, საწინააღმდეგო აზრს, ყველაფერს, რაც არ აწყობთ, რუსული დაარქვეს. და რატომ არის რუსული, ეს არ აინტერესებთ. ესაა უბედურება. მოლოდინი მაქვს, რომ მალე გამჭვირვალობის კანონის მიღების საფუძველი გამჟღავნდება და ფარდა ბევრ რამეს აეხდება.

ხშირად მიწევს მანქანით დასავლეთში ჩასვლა. თბილისის ოფისში 15-20 დღის წინ ორი ახალგაზრდა ინტენსიურად მაკითხავდა. თანამშრომლებმა უთხრეს: მობილურის ნომერს მოგცემთ და დაუკავშირდითო, მაგრამ უარი განაცხადეს: ჩვენ მისი ნახვა გვინდა, უნდა შევახსენოთ, რასაც წარმოადგენსო. ალბათ, იმისთვის მეძებდნენ, რომ ერთს „მონა“ ეძახა ჩემთვის, ხოლო მეორეს ეს ვიდეოზე აღებეჭდა. ესაა მათი იდეაფიქსი. ასე ქვეყანას ვერ ავაშენებთ. თუ დემოკრატიაა, მე რაც მწამს და რისიც მჯერა, იმისთვის შეურაცხყოფა არ უნდა მომაყენო. სჯობს, საკუთარ თავს მიხედონ. მე თუ მონა ვარ, თავად ხომ არიან თავისუფალნი, რა უნდათ მონასთან?! მარაზმია, რასაც ეს ხალხი „ქართული ოცნების“ მომხრეების, დეპუტატების მიმართ აკეთებს. ვიმეორებ, ეს ახალგაზრდები ძალიან მეცოდებიან და თანავუგრძნობ. ამას დაცინვით არ ვამბობ. ვწუხვარ, რომ მცდარ გზას ადგანან.

— მათ კვერს უკრავს დასავლეთიც, რომელიც სანქციებითა და ვიზალიბერალიზაციის შეჩერებით გვემუქრება. არჩევნებზე ეს როგორ აისახება?

— დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული ბებერი ევროპა, ამერიკის დუდუკზე ტოკავს, ცდილობს, ნებისმიერი ქვეყანა „დემოკრატიის ბანგით“ გააბრუოს და ის აკეთებინოს, რაც თავად სურს — მოუსპოს ტრადიციული კულტურული საყრდენი და მისი მარიონეტი გახადოს. უკრაინის მაგალითიდან ნათლად ჩანს, როგორ დააგვირგვინეს მაიდანი და მერე ეს ქვეყანა დამღუპველ ომში შეითრიეს. თავად სეირს უყურებენ. რუსეთის დასუსტების მიზნით, უკრაინა მიწასთან გაასწორეს, გაუთვლელი პოლიტიკის შედეგად პუტინი, პირიქით, გააძლიერეს. ჩვენ არ გვპატიობენ, რუსეთთან კონფრონტაციაში რომ არ ჩავებით.

რაც შეეხება არჩევნებს, ქართველი ხალხი ხედავს, რომ ხელისუფლება დარტყმებს საკუთარ თავზე იღებს, ამიტომ თავადაც გვერდში დაუდგება. რაც შეეხება სანქციებს და ვიზალიბერალიზაციის გაუქმებას, პირადად მე ევროპაში წასვლის არანაირი სურვილი არ მაქვს. ემიგრანტებს უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ სჯობს, სამშობლოში დაბრუნდნენ და სარჩო-საბადებელი აქ მოიპოვონ. უმჯობესია, საკუთარი ქვეყანა გააძლიერო, კერა გაათბო. აქ შრომა არ უნდათ. არადა, ბევრი ვაკანსიებია, მაგრამ ევროპაში წასვლა ურჩევნიათ. იქ ყოფნას ეჩვევიან. ვიზალიბერალიზაციას თუ შეგვიჩერებენ, არაფერი დამაკლდება, იქით გახედვაც არ მინდა. აგერ, რაჭა ვერ მინახავს და ნიუიორკი რა ჯანდაბად მინდა. ნიუიორკის ცათამბჯენებს მირჩევნია, მესტიაში ავიდე და სვანური კოშკების ცქერით დავტკბე. საკუთარ ქვეყანას უნდა მივხედოთ. დავიმახსოვროთ, რომ ჩვენი სამშობლო იქ არის, სადაც დავიბადეთ. ადგილის დედას უნდა ეთაყვანო, სიყვარულიც აქ უნდა განიცადო, სიცოცხლეც...

თამარ შველიძე

ასწავლეთ შვილებს სიყვარული!

ამერიკის შეერთებული შტატების დიდ პრეზიდენტს ფრანკლინ რუზველტს მისმა ერთ-ერთმა თანაშემწემ ჰკითხა, ამა და ამ სახელმწიფოს პრეზიდენტს მეგობარს რატომ უწოდებ, ის ხომ ძაღლისშვილიაო და იცით, რა პასუხი მიიღო იმ „დიდი“ პრეზიდენტისაგან? რუზველტმა უპასუხა: მეც ვიცი, იმ ქვეყნის პრეზიდენტი ძაღლისშვილი რომ არის, მაგრამ ჩვენი ძაღლისშვილიაო.

როგორია, ჰა!

ეს ამბავი არ იციან განა, ჩვენმა პოლიტიკოსებმა? იციან, ალბათ! ისიც ეცოდინებათ, როგორი ანდაზა შეიქმნა იმ ქვეყნებში, რომლებსაც აშშ-სთან რამდენიმესაუკუნოვანი ურთიერთობა აკავშირებთ —„აშშ-სთან მტრობა სახიფათოა, მასთან მეგობრობა კი – დამღუპველი“. იციან, ალბათ, ისტორიის გაკვეთილების ცოდნაა სასარგებლო, თორემ მას თუ თავშესაქცევად კითხულობ, სარგებლობის კოეფიციენტი ნულია.

ეს რომ ასეა, მე არ დამიდგენია. ოდითგანვე არის ცნობილი, ევროპელების დამოწმება უყვართ ჩვენში და მეც დავიმოწმებ ევროპელებს: ბისმარკის გამონათქვამებს გაეცანით, გირჩევთ, გერმანიის კანცლერი იყო არცთუ დიდი ხნის წინათ და ისტორიამ „რკინის კანცლერი“ შეარქვა, ახლანდელი კანცლერივით „გულ-ღვიძლის ძეხვი“ კი არ დაურქმევიათ.

არავითარი ორმაგი სტანდარტი არ აქვს აშშ-ს, ის არის ახლაც, რაც საუკუნის წინათ იყო. იგივე აშშ-ის პრეზიდენტს ჰკითხა ერთერთმა ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ, იაპონიასთან თქვენი დამოკიდებულება არ ჰგავს დემოკრატიული ქვეყნის მოქმედებას და რას იტყვით ამაზეო? ჩვენ დემოკრატია ამერიკელი მოქალაქეებისთვის გვაქვსო. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის ბოლოს. ახლა კი აღარც ამერიკელი მოქალაქეებისათვის არის დემოკრატია. სწორედ დღევანდელი ამერიკული დემოკრატიის, უფრო კი – „დემოტრაკიის“ გამჭვირვალე მაგალითია ბაიდენის ხელისუფლების დამოკიდებულება ტრამპისადმი.

ასე რომ, იმის ძახილით, თქვენ, ამერიკელებო, ორმაგი სტანდარტები გაქვთო, ვერც ვერავის შეარცხვენთ და ვერც ვერავის გააკვირვებთ! იმის უფლებას, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ძაღლისშვილებს აქვთ, თქვენ არავინ მოგცემთ, თუ მათი ძაღლისშვილები არ გახდებით და... მაშინ თქვენი ხალხისათვის იქცევით ძუკნისშვილებად.

ერის ყველა მოღალატე ძუკისშვილია, სწორედ ამაზე ათქმევინა კონსტანტინე გამსახურდიამ მეფე გიორგის „დიდოსტატის მარჯვენაში“, „ქვეყანას, რომელსაც ამდენი მოღალატე ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს“.

ყველა, ვინც გამჭვირვალობის კანონს ეწინააღმდეგება, ქურდია, რადგან, ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო, — ვინც ლგბტ პროპაგანდის მხარდამჭერია, ის ნაღდად ძაღლიშვილია, ამერიკის ძაღლისშვილი იქნება, თუ აქაური მაწანწალა ძაღლისა.

არ არის ეს სადავო და სადისკუსიო საკითხი. ამას არც ვენეციის რაღაც კომისიის დასკვნა სჭირდება და არც სტრასბურგის განჩინება: ძაღლისშვილი სტრასბურგშიც ძაღლისშვილია.

ახლა ხომ მაინც უნდა მიხვდეთ, ჩვენო პოლიტიკოსობის მოწადინენო, რომ ბატკნის ჩაქაფულისა თუ წითელი ლობიოს მომზადებაზე რჩევა ფოტიგასა და ბერბოკს კი არა, თქვენს ბათარეკა პაპასა და ოლღა ბებიას უნდა ჰკითხოთ.

მე მეყო იმის „კადნიერება“, რომ რამდენიმე წერილი გამომეყენებინა რუბრიკით: „ღია გაკვეთილი ხელისუფლებისათვის“: არც მაშინ მქონდა იმის იმედი, რომ ვინმე შეისმენდა ჩემს, ან ჩემნაირების შეგონებას და არც ახლა მგონია, ვინმეს ყურადღება მივიქციო, მაგრამ ვიტყვი მაინც: ის რა სახელმწიფოა, სადაც ძაღლისშვილობის, ანუ სამშობლოს ღალატის შესახებ კანონთა კოდექსებში არანაირი ჩანაწერი არ არის! ის კი არა, მოღალატეთა გამოსვლებსა და განცხადებებს დღეში ასჯერ იმეორებენ ტელევიზიები და ხელისუფლების მაღალი თუ დაბალჩინოსნები დებატებში შედიან მათთან. ეს იმას ჰგავს, ვინმემ რომ თქვას, სუფრაზე უნდა მოვისაქმოო და სუფრის წევრებმა კამათი გაუმართონ, ეგ საქციელი არასწორიაო.

ასეა ეს!

ამიტომ არის, რომ დღევანდელ საქართველოში სამშობლოს ინტერესების უგულებელყოფა, მეტიც, ფეხქვეშ გათელვა პროგრესულობად, დემოკრატიულობად, ანუ ყბადაღებულ ევროპულობად მიიჩნევა, შენი ქვეყნის (არა უცხო ქვეყნისა!) ინტერესების დაცვა კი სიბნელე და უვიცობაა.

როგორ შეიძლება, ამ ვითარებას მშვიდად უყუროს კაცმა! ამ სამი ათეული წლის წინათ განათლების სისტემაში აღზრდის სისტემა რომ არ გაეუქმებინათ ნაცებს, ან მათ შემდგომ მოსულ ხელისუფლებას ყურად რომ ეღო პროფესიონალთა რჩევები და სკოლის ერთ-ერთი ფუნდამენტური ფუნქცია აღედგინა, დღეს ამდენი უვიცი მოსწავლე და ასევე უვიცი მასწავლებელი, პატრიოტიზმისგან სრულიად თავისუფალი ე.წ. პროფესორები და მათი მიმდევარი „სტუდენტები“ არ იდგებოდნენ უცხოელი ძაღლისშვილების მიერ დაგეგმილ პერმანენტულ აქციებსა თუ მიტინგებზე. იდგებოდნენ კი არა, ქუჩებსა და შენობის ფასადებსაც არ დაჯღაბნიდნენ!

ნეოლიბერალური დემოკრატიისათვის, უფრო სწორად, დემოტრაკიისათვის სასათბურე პირობები რომ არ შეექმნა ხელისუფლებას, ძაღლისშვილების ტელევიზიები და უწიგნური ჟურნალისტები ასე გაჯეჯილებულები არ იქნებოდნენ ჩვენში. ხელისუფლების უმაღლესი რანგის ჩინოვნიკებს ბრიფინგებსა თუ პრესკონფერენციებზე, ეს ჩვენი დემოკრატი ჟურნალისტები 10-20 ერთდროულად აძლევენ ბრიყვულ შეკითხვას, მერე შუა წინადადებაში აწყვეტინებენ პასუხს და შეფასებებს აპროტესტებენ.

სად, რომელ კულტურულ, ცივილიზებულ, თუ არაცივილიზებულ, მაგრამ ზრდილობიან საზოგადოებაში ხდება ეს? არ ვიცი, არა! ის კი ვიცი, რომ საბავშვო ბაღსა თუ სკოლის პირველ კლასში ასწავლიან ბავშვებს, რომ ყველამ ერთად არ უნდა ილაპარაკოს და ერთმანეთის მოსმენა უნდა იცოდნენ. დიახ, ასწავლიდნენ და ახლაც ასწავლიან, მაგრამ არა ჩვენს, ნეოლიბერალურ ჭაობში ჩაძირულ სასწავლებლებში.

ამასწინათ რომ ვთქვი, საქართველოს განათლების სამინისტრო „დაბნელების სამინისტროდ“ გადაიქცა-მეთქი, დიდ შეურაცხყოფად მიიღო ჩემი კოლეგების ერთმა ნაწილმა. რამ შეურაცხყო, ნეტავი? იმან ხომ არა, რომ ამ საქმეში ისინიც ჩემთან ერთად არ იზიარებენ ბრალს, რომელიც მთელ საზოგადოებას მიუძღვის, პირველ რიგში კი, ცხადია, განათლების თეორიისა და პრაქტიკის მცოდნე მეცნიერებს, მეცნიერები თუ არიან, რა თქმა უნდა!

„დიდოსტატის მარჯვენაში“ მეფე გიორგი I რომ ჩიოდა სიკვდილის წინ, მოღალატეთა მომრავლების გამო, დაგვიანებული იყო ის ჩივილი. მარტო მეფის კი არა, ყველა ჩვენგანის ბრალია, ამდენი ძაღლისშვილი რომ არის ჩვენ გარშემო.

თავის დროზე მთელი საზოგადოება რომ დარაზმულიყო და ხმა ამოეღო იმის წინააღმდეგ, რაც განათლების სისტემაში ხდებოდა, დღეს ის ანტიქართული ისტერია არ იქნებოდა, რომელიც ყველა ნორმალური მოქალაქისათვის შემზარავია.

რატომ მოხდა ის, რაც მოხდა? იმიტომ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობდა, ეს მე არ მეხებაო. როცა ჩვენმა საზოგადოებამ დაივიწყა ის კლასიკური სენტენცია, რომ ქვეყნის ხვალინდელი დღე იმაზეა დამოკიდებული, როგორი თაობა იზრდება დღეს, ამით მწვანე შუქი აუნთო განათლების სისტემაში ლიბერალური პედაგოგების „უპრაგონო“ შემოჭრას და მასთან ერთად, ყოვლისწამლეკავი ნეოლიბერალური ღვარცოფის შემოვარდნას.

„სოროსის“ ძუძუნაწოვი, „თავისუფლების ინსტიტუტში“ გამოთაყვანებული, ენჯეოსკოლების გამოზრდილი კადრებით რომ გაივსო განათლების მართვის ორგანოები, არავინ იცოდა განა, რომ უცხოელი ძაღლისშვილების მიერ გამოწვრთნილი კადრები ყველაფერს იკადრებდნენ? თუ არ იცოდნენ, ახლა ხომ იციან! რაღას უცდიან, ნეტავი, მართვის სათავეები მაინც გაწმინდონ ძაღლისშვილებისგან, რადგან წყალი სწორედ სათავიდან იმღვრევა.

კიდევ ვიმეორებ: პატარა და სუსტი კაცის მდგომარეობაში ნურავინ ჩაიყენებს თავს, თორემ არავითარი არგუმენტი არ გამოადგება დიდკაცთან დავაში. ბევრს ეცადა ის ბატკანი თავის მართლებას მგელთან, არ ამიმღვრევია შენთვის წყალიო, მაგრამ მგელს ვერ გადაათქმევინა ყალბი ბრალდება, რადგან მგელს ბოლოსთვის უტყუარი მიზეზი ჰქონდა შემონახული: „შენი ჩაკვნეტა რომ მინდა, მიზეზად ესეც კმარაო!“ მეტი ფიქრი არ იცის მგელმა და არც სჭირდება, რადგან იცის, „რომ დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდის გასვლია მართალი“. ამიტომ, ჩემო კარგო ხალხო, მგელი თუ დაგემტერა, კარგ ნაგაზს უნდა დაუმეგობრდე და გადარჩები. კავკასიური ნაგაზი თუ იქნება, აჯობებდეს, იქნება.

ახლა, ისე ნუ იფიქრებთ, რომ მარტო ნაგაზის იმედად უნდა დარჩეთ, არა! „სამშობლოს სუნთქვა გასაკვირველი, მზის მხურვალება გარს რომ ავლია, აი, პირველი, აი, პირველი, რის სიყვარულიც მე მისწავლია!“ ეს სიყვარული ასწავლეთ შვილებს, რათა თავიანთი „შინ“ სამშობლოს გარეთ არ ეგონოთ.

ზურაბ ცუცქირიძე
პედაგოგიკის დოქტორი

3 გვ.

უსამშობლოები – სახალხი, რომელსაც აუცილებლად მოვიხდით

ან ცხრა წელზე, ცალკე საკითხია.

გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“, ამოისუნთქა ხალხმა და ე. წ. ივანიშვილის ხელისუფლებამაც ხალხის ნების აღმასრულებლად გამოაცხადა თავი, მაგრამ უცბად, კოლექტიურმა დასავლეთმა კოაბიტაციის „ბრძანება გამოსცა“. რა უნდა ექნა უმწიფარ ხელისუფლებას სახელდახელოდ? ეს ძნელი გასაგები აღმოჩდა სიმართლისა და სამართლიანობის მომლოდინე საზოგადოებისთვის, ხელისუფლება კი სიტყვის გამტეხად წარმოჩინდა. სამართლიანობასა და სამართალს რომ ეზეიმა, ახლიდან უნდა გადავსებულიყო ციხეები, ამჯერად, სამართლიანად, მაგრამ ამგვარად კოლექტიური დასავლეთის ადგილმონაცვლეობის გეგმა ვერ გატარდებოდა.

თავდაპირველად, ახალი ხელისუფლება ძველი ხელისუფლების მსგავსად, კოლექტიური დასავლეთის მხარდაჭერილი იყო, ყველაფერს უწონებდნენ და უქებდნენ. თვით ის „სააკაშვილის მეგობრებიც“ მოკრძალებულად იყვნენ, ყველანაირ უმსგავსობაზე ტაშს რომ უკრავდნენ სისხლიან ხელისუფალს. თანდათან, ეტაპობრივად, კოლექტიურმა დასავლეთმა „აღმოაჩინა“, რომ მთლად ერთიერთზე არ ჯდებოდა საქართველოს ხელისუფლების ნაბიჯები მათ გეგმებთან და მხარდაჭერას უკლო, მაგრამ უარესზე — სრულ დაუმორჩილებლობაზე არ უფიქრია.

შესაძლოა, საქართველოს შიდა სამზარეულოს ყველა ასპექტში არც ჩარეულიყვნენ, მაგრამ როდესაც გამოიკვეთა, რომ შესაძლოა, საქართველოს თავისი ინტერესები მათ ინტერესებზე წინ და მაღლა დაეყენებინა, მწვანე შუქი აუნთეს ჯერ მხოლოდ ბატონი ივანიშვილის „გაშავებას.“ ალბათ, ფიქრობდნენ, რომ ამით, უპირველესად, ბატონი ივანიშვილი დაფრთხებოდა, შემდეგ კი გუნდი მიჰყვებოდა.

ვერ გასჭრა!

გადავიდნენ ბატონი ივანიშვილის ფინანსებზე და იქით წაიტეხეს ცხვირი...

ამასობაში, სპეცოპერაციის ეგიდით რუსეთის უკრაინაში შეჭრაც დაიწყო. კოლექტიური დასავლეთის მონგრეული ლოგიკით, საქართველო, რომლის 20% რუსეთს აქვს ოკუპირებული, აუცილებლად იხელთებდა დროსა და მომენტს, აისხამდა თოფიარაღს და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმებოდა ოკუპანტს. ამავდროულად, რუსეთს სანქციებსაც დაუწესებდა, საზღვრებსაც ჩაუკეტავდა რუსეთის მოქალაქეებს და სამხედრო თუ ცოცხალი ძალით თავით გადაეშვებოდა რუსეთ-უკრაინის ომში უკრაინის მხარეს. ამ შემთხვევაში, თითქოს მნიშვნელობა არ ჰქონდა ქართული მხარის „მოღვაწეობას“, მაგრამ ჰქონდა! სასურველი იყო, ქართული ჯარის აფხაზეთში ან სამაჩაბლოში შეჭრა, უკეთესი იქნებოდა, ორივეში ერთად, რათა „მეორე ფრონტი“ და „მესამე ფრონტი“ ჰქონოდა რუსეთს.

მიუხედავად შეგულიანებისა, ლანძღვისა, ცილისწამებებისა და სხვა არაერთი უგვანობისა უკრაინის მხრიდან ღიად და დაუფარავად, ხოლო შეფარვითა და ნართაულებით კოლექტიური დასავლეთიდან, ვერაფრით დაიყოლიეს საქართველოს ხელისუფლება, რომ საქართველოს დასაქცევად ნაბიჯი გადაედგა. .....და მიხვდნენ, ყველაფერზე ხელისმომწერი რა ძვირფასი მონები დაკარგეს სააკაშვილისა და მისი ბანდის სახით.

კოლექტიურმა დასავლეთმა კარგად გაისიგრძეგანა, რომ „ქართული ოცნება“ არათუ ცალ ფეხზე დადგება მათი ბრძანებით, თხოვნით ფეხს არ გადაიდებს ფეხზე, თუ საქართველოსთვის საზიანო იქნება. ამდენად, გადაწყვიტეს, რომ ღიად დაუჭირონ მხარი თავიანთ ფავორიტ პარტიას. ხერხემალში გადატეხილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოყვანა როგორ წარმოუდგენიათო, იკითხავს ვიღაც. ქართველი ახალგაზრდების სისხლით! ეს ხომ ის სექტაა, რომელიც მსხვერპლშეწირვას მოითხოვს. ჰქონდათ კიდეც ამის ორი მცდელობა, რაც დაუფარავად მიახალა ბატონმა კობახიძემ კოლექტიურ დასავლეთს, მაგრამ იმდენად დავრდომილია მათი ფავორიტი პარტია, დაფინანსებითაც ვეღარ შველიან, მხოლოდ შეიარაღებაღა დარჩათ. სწორედ ამიტომ არის, რომ ყველაფერზე მომართული ჰყავთ ერთი და იგივე სახეები პოლიტიკოსებში, ნჯო-ებში და სტუდენტებში.

ცალმხრივად სტრატეგიულმა პარტნიორობამ ბაიდენის ადმინისტრაციის პერიოდში ჩაილურის წყალი დალია... (როდესაც ლეკები თავს დაესხმოდნენ კახეთს, მდევრები ჩაილურის ხევამდე მისდევდნენ ტყვეებისა და საქონელის გამოსახსნელად. თუ ლეკები ჩაილურის წყლის გაღმა გასვლას მოასწრებდნენ, იმედი დაკარგული იყო).

ბატონ ივანიშვილს არ პატიობენ იმას, რომ კიდევ ერთი მასტერკლასი ჩაატარა გროსმაისტერულად! ამჯერად უკვე კოლექტიურ დასავლეთს ჩაუტარა უხმაუროდ და მშვიდად. ისევ მათ რომ არ აეტეხათ ხმაური, ჩვენ ვერაფერს ვერ გავიგებდით იმის შესახებ, რანაირად უპირებდნენ ბატონ ივანიშვილს დაჩოქებას. აქაც ვერ გათვალეს, ძალიან შეეშალათ. კაცი, რომელიც ყოველმხრივ მობილიზებული წაუგებელის თამაშს იწყებს, დაშტამპული კოლექტიური დასავლეთისთვის ამოუცნობი თამაშია...

როდესაც ადამიანს გონებრივი შესაძლებლობებით ვერ ჯობნი, ისღა დაგრჩენია, ან დანებდე, ან ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე გადახვიდე. ამ უკანასკნელის გამოვლინება რევოლუციების მოწყობის მცდელობები იყო, დანებება? ვისი? აღარც არის აფიშაზე გასაკრავი. როდესაც საქართველო მედგრად დაუდგა წინ ამხელა მონსტრებს და სწორება საქართველოზე გააკეთა და არა მათ „გულისწადილებზე“, პაწაწუნა საქართველოსთან უკვე წაგებული აქვს კოლექტიურ დასავლეთს!

ბატონმა ალექსი ბატიაშვილმა თქვა: „რა თქმა უნდა, გამოვლენილი არის ძალიან ბევრი ჯაშუში. სანახაობას ჩვენ არ ვაწყობთ და, შესაბამისად, ამის შესახებ საჯაროდ არ ვსაუბრობთ“. დიახ, ბატონო, ამიტომაც ატრიალდა ყველა საჯაშუშო ორგანიზაცია და ყველა მათი „შეფი“ უწყინარ გამჭვირვალობის კანონზე მაგრამ ისევ ამაოდ. ამ ყველაფრის უკან რომ ისევ ბატონი ივანიშვილი დგას, კარგად მოეხსენებათ და ამიტომ გაჰკივიან „ივანიშვილს“, თორემ სად ვხედავთ მას, ლამის დამავიწყდეს, როგორ გამოიყურება...

ივანიშვილი სიტყვებს ჰაერში არ ისვრის. ერთი რომ, წყენას ვერ პატიობს და მეორე, პრემიერობიდან რომ მიდიოდა, ფართო ღიმილით დააგდო სიტყვად, თუ საჭირო გახდა, ისევ მოვბრუნდებიო... და მობრუნდა!

მანამდე თუ კიჟინებდნენ, რატომ არ ჩნდება, კულუარიდან რომ მმართველობსო, მობრუნდა და სამი დღე ბუზის გაფრენის ხმა ისმოდა, შოკში ჩავარდნენ მონათმფლობელებიც და ქართველი მონებიც, ვერ იგებდნენ, ახლა რა უნდა მოემოქმედათ. იყვნენ გასუსულები და ელოდნენ, რა გაგრძელება ექნებოდა ბატონი ბიძინას დაბრუნებას.

გაგრძელება ნახეს, მაგრამ ეს, როგორც იტყვიან ხოლმე, „ჟურნალი“ იყო, მიხვდნენ, რომ „კინო“ ჯერ არ დაწყებულა...

კოლექტიურ დასავლეთს იმ ქართული ანეკდოტივით დაემართა, ცხენიან კაცს რომ ყაჩაღი გადაუდგება ვიწროებში, გამატარე, თორემ, რაც მამაჩემის მამამ ქნა, იმას ვიზამ მეცო. შეეშინდა ყაჩაღს, რამე სასწაულს მომწევსო და გზიდან ჩამოეცალა. კარგა მანძილზე რომ გასცდა, მაშინღა მიადევნა, კი, მაგრამ, რა ქნა შენმა პაპამო? — ფეხით წავიდა სახლშიო...

დაშტამპულმა ტვინებმა ვერ გადახარშეს, შტამპსიქითა სვლები რანაირად გათვალონ და რომც გათვალონ, რა დაუხვედრონ წინ. რატომ? ბრძენს ჰკითხეს, ჩვენმა თანასოფლელმა უგვანმა კაცმა, წლების განმავლობაში მთელი დედამიწა შემოირა, ათასი რამ საკუთარი თვალით იხილა და საკუთარი ყურით მოისმინა, მაგრამ რომ დაბრუნდა, ისეთივე დარჩენილიყო და, რატომო? თავისი თავი ხომ ყველგან ზედ ებაო? — კითხვად დაუბრუნა პასუხი ბრძენმა...

დაშტამპულმა ტვინებმა იციან, რომ ისტორია მეორდება, მაგრამ ამ კაცმა ისტორიის კანონზომიერებაც არია. შორეულ თუ ახლო წარსულში, ხან „შირაზის ვარდს“ შევხაროდით, ხან ბიზანტიას, მაგრამ, ამავდროულად, ვეკაპასებოდით, ცალი ხელი სატევარზე გვედო; ფეხს თუ ევროპისკენ ვიშვერდით, ხელები რუსეთისკენ მიიგრიხებოდა; უცბად გამოვენთეთ, „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა“ მოუნდა ერთ ცისმარე დილას დურაკ სააკაშვილს და რამდენიმე ათასი მეომრით მილიონიან რუსეთს ვეძგერეთ (რატომაც არა, ერთმანეთს არ ვინდობთ ქართველები და იმას რაღაში ვენაღვლებით), ახლა რაღაც ვერ განმეორდა.

ისტორიისთვის სულ მცირე ხნის წინათ, წინა ხელისუფლების გადამკიდე, აშშ-ს უკანალზე დავეკონეთ ისეთი მონდომებით, რას წარმოიდგენდა ვინმე, რომ რამე აგვადღლეზდა, მაგრამ არია-მეთქი ამ კაცმა კანონზომიერება. თვით ის რუსეთიც გაოგნებული გვაკვირდება, „კაგებეშნიკურ“ ტვინებსაც ვეღარ გაუგიათ, რას ვაკეთებთ, მაგრამ რაღაც კარგს რომ ვშვრებით, გუმანობს და ნეტარებით გატრუნულია, აღარ ესიზმრება ნატო-ს ბაზები რუსეთის სამხრეთ საზღვართან...

მე კი ჩვენს ე. წ. პოლიტიკოსებს ვაკვირდები და გაოგნებული ვარ — საქართველოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობა და არსი რატომ აქვთ გაგებული ასე უკუღმართად; რატომ ვერ განვითარდა მათი აზროვნება სწორად — განა ერთი არ არის ჩემი თავისთვის, რუსული ჩექმა დამეჭირება, ამერიკული ბათინკი თუ ბუჟუმბურას შიშველი ფეხი?

ვუსმენ ცნობად სახეებს და მესმის, რომ ერთ ნაწილს ერთმორწმუნე რუსეთისკენ მიუწევს ტანფეხი, მეორე ნაწილს — ძია სემისკენ, მესამეს — „ბებერი ბოზისკენ“, მეოთხეს წარმოდგენა არ აქვს, რა უნდა, მთავარია, მიშა (კრებსითი) იყოს...

ერს მიტმასნილი ქინქლა-ბუზი ერს არ წარმოადგენს!

მუხა დგას და კვლავაც შეიმოსება!

მაია ჭელიძე

თაობათა შორის არსებულ კრიზისს თავი უნდა დავაღწიოთ!

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე:

„კეთილმოსურნე“ ფონდები ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგ

კაცობრიობას წრეზე სიარულის ერთგვარი გამოცდილება გააჩნია. ისტორია პერიოდულად მეორდება. ნეტარი ავგუსტინე ბრძანებს: „ქვეყანა ესე ბოროტებასა ზედა სდგას და საქმენი მისნი ბოროტ არიან“. ასეთ ბოროტ, გაცხადებულ საქმეთა შორისაა გზა, რომელიც ბოლშევიკთა ექსპანსიის პერიოდში გამოვიარეთ, რასაც თავის დროზე საქართველოს დამოუკიდებლობა შეეწირა. მომდევნო თაობებში ამ ყველაფერმა ათეიზმი წარმოშვა, რაც მოგვიანებით, 80-იანი წლების ბოლოდან, თანდათან, გამოსწორდა. თავისუფლებამ მოლოდინები არ გაამართლა და ახალი მანკიერებები შვა. მისი სახელით ქვეყანაში ახალი ბოროტი ძალა გაჩნდა, რომელმაც ფული, გრანტები გააღმერთა. შედეგად, ახალი საშუალო კლასი შეიქმნა, რომელმაც ნამდვილი ინტელიგენცია ჩაანაცვლა. ეს ძალა უცხოური გრანტებით ფინანსდება და ყოველწლიურად 400 მილიონ ლარს იღებს. ნჯო-ების დამფინანსებლები საკუთარ თავს აღარც მალავენ. ესენი არიან: „იუესაიდი“, „სოროსის ფონდი“, „გლობალური ფონდი“, „ევროპული დემოკრატიის განვითარების“, „ძრავალპარტიული დემოკრატიის განვითარების“, ადენაუერის, ბიოლის ფონდები და ა. შ. ისინი ქართულ არასამთავრობებს გრანტებს უხვად აძლევენ, რათა მომავალ თაობებში უზნეობის ინსტალაციას ხელი შეუწყონ. უზნეობა თუ არა, სხვა რა უნდა ვუწოდოთ იმას, როცა სასწავლებლებში გამალებული პროპაგანდა მიდის, რომ ახალგაზრდებში მამათმავლობის, ლესბოსელობის მიმღეობა ამაღლდეს. ამ საქმისთვის სპეციალურ ტრენინგებში ასეულობით ათასი ლარი იხარჯება. ასევე, სხვადასხვა ფონდები მილიონობით ლარს ხარჯავენ იმაში, რომ ახალგაზრდა თაობაში ნარკოტიკების მიღების სურვილი წაახალისონ, მისი ლეგალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის თემაზე აქტიურად ესაუბრონ! შედეგად, საზოგადოებაში გახშირდა ადიქციები, ოჯახური ძალადობა. ამ „კეთილმოსურნე“ ფონდების მიზანი ოჯახის ინსტიტუტის მოშლა — მამაკაცის როლის დაკნინება და ვითომ ქალის ფუნქციის გაძლიერებაა. აღარაფერს ვამბობ, გენდერული კვოტირების შემოღებაზე, რასაც გლობალური დასავლეთი, ევროკომისიები, ჩვენგან დაჟინებით მოითხოვენ.

მეტიც, რიგი გათხოვილი „მამაკაცი“ ევროჩინოვნიკები, ქართული, მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელთმთავრების მიერ ქადაგების დროს მამათმავლობის აქტის დაგმობას აპროტესტებენ. მათი აზრით, მსგავსი შინაარსის ტექსტები სახელმწიფომ უნდა აღკვეთოს. მრავალი წელია, დასავლეთის საშინაო დავალებად ქცეულ ლგბტ პროპაგანდას ვებრძვით. ქართულმა სახელმწიფომ გვიან, მაგრამ მაინც მოახერხა და ამ კაბალისგან გათავისუფლებისკენ პირველი ნაბიჯები გადადგა. დღევანდელმა ხელისუფლებამ ამ ყველაფრისგან თავის დასაღწევად პარლამენტში განსახილველად სამი საკანონმდებლო ინიციატივა შეიტანა. „გენდერული კვოტების გაუქმების შესახებ“ კანონი უკვე მიღებულია, რამაც გლობალური დასავლეთის და აქაური ადეპტების გაღიზიანება გამოიწვია. რაც შეეხება გამჭვირვალობის კანონს, რაც ასევე მიღებულია, მთელი გლობალური დასავლეთი წინ აღუდგა. ამ პროცესში ჩაერთო შეცდომაში შეყვანილი გრანტდამოკიდებული ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი. ეს თაობა სახელმწიფო ინსტიტუტების, კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ დასაგეშად სჭირდებათ, მესამე კი ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის შესახებ კანონია. თუ ხელისუფლება კონსტიტუციური უმრავლესობით მოვა, ამ მიმართულებით შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას შეძლებს.

უზნეობაში გადაზრდილი თავისუფლება

ახალგაზრდობა ღრუბელივით ისრუტავს ცხოვრების იმ წესს, რომელსაც ესა თუ ის გაბატონებული კლასი განსაზღვრავს.

პრობლემის თავი და თავი განათლების სისტემაა, რისი გამოსწორების გარეშეც შედეგის მიღწევა შეუძლებელია. „პიზას“ კვლევებით, 81 ქვეყნიდან, წაკითხულის გააზრებასა და ბუნებისმეტყველებაში შეფასებული ცოდნის თანახმად, 67-ე ადგილს ვიკავებთ. მეტიც, პედაგოგები საკვალიფიკაციო გამოცდებზე, მინიმალურ სტანდარტებსაც ვერ აკმაყოფილებენ. როცა მასწავლებლების ცოდნის კუთხით ასეთი კრიზისია, ეს ბავშვებზეც აისახება. მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტუალური ერი ვართ, დღეს მსოფლიო აუთსაიდერად მიგვიჩნევს. პირველ რიგში, რეფორმები ამ მიმართლებით უნდა ჩატარდეს.

ქვეყნის განვითარებას გარკვეული პერსპექტივები გააჩნია. საქართველოს მიმართ ინტერესი ძლიერდება, სტრატეგიულ პარტნიორთა რიცხვი იზრდება. შემთხვევითი როდია, რომ ევროპას მეტად სჭირდება საქართველო, ვიდრე ჩვენ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი ან წევრობა. ეს ფაქტია. „აბრეშუმის გზის“ მეგაეკონომიკური პროექტი სწორედ საქართველოზე გადის. დიახ, ამ პროექტის განხორციელება კავკასიის რეგიონის გავლით მოხდება. საქართველო ეკონომიკური, ფინანსური ჰაბი ხდება. ამის მნიშვნელობა კარგად ესმით ქვეყნის შიდა მტრებს, რომლებიც ვერ ინელებენ იმას, რომ ეს ყველაფერი მათი მმართველობის დროს არ ხდება და, შესაბამისად, გამძაფრებულ აგრესიას გამოხატავენ. იმის ნაცვლად, რომ საქართველოს განვითარების რეალური პერსპექტივები უხაროდეთ, პირიქით, ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ქვეყნის განვითარებაში გარკვეული დისონანსი შეიტანონ, საქართველოს საერთაშორისო იმიჯი წაახდინონ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ივანიშვილის მიერ აუქციონზე შესყიდული უნიკალური კულტურულ-ისტორიული ძეგლის მნიშვნელობა გააბიაბრუეს. საქმე სერიოზულ, ტოტალიტარულ სექტასთან, შეპყრობილ საზოგადოებასთან გვაქვს, რომელიც რევანშისტულადაა განწყობილი და მიზნის მისაღწევად ნებისმიერ საშუალებას იყენებს.

რატომ აუმხედრდა ახალგაზრდობა გამჭვირვალობის კანონს?!

ყველაზე საკრალური ახალგაზრდა თაობაა, რომელსაც ამ სექტამ გზა-კვალი აუბნია. მათი გონების ასარევად შესანიშნავად იყენებენ პროპაგანდისტულ ტელევიზიებს, ინტერნეტს, ლობისტური საქმიანობით მიღწეულ შედეგებს, რასაც დასავლელი პარტნიორებიც კვერს უკრავენ. ხედავენ, რომ ახალგაზრდობის გარეშე ვერაფერს მიაღწევენ და მას ფარად იფარებენ, ფაქტობრივად, ისინი ახალგაზრდებს საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად სწირავენ. ახალგაზრდებიც, ირაციონალური შიშებიდან გამომდინარე, რაც გონებაში ამ პროპაგანდის შედეგად ჩაესახათ, პროცესებს ბრმად მიჰყვებიან. სხვა რით უნდა ავხსნათ ის, რომ ახალგაზრდობა საკუთარ ქვეყანაში უცხო ძალების მიერ დაფინანსებული არასამთავრობოების თანხების გამჭვირვალობის გამოვლენას აუმხედრდა! ვიმეორებ, ახალგაზრდები იმ პროპაგანდის მსხვერპლნი არიან, რომლის წიაღშიც იზრდებოდნენ. გავიხსენოთ, მიშას ჯენ-ზი თაობის ნაწილის ქმედებები „ბასიანის კლუბში“, რომელთაც გამოხატული ჰქონდათ ფსიქიკური აშლილობა. ფსიქო-ნევროტიული შეტევის უპრეცედენტო შემთხვევებთან გვქონდა საქმე, როცა ეს ახალგაზრდები „ბასიანის კლუბიდან“

რუსთაველის გამზირზე შეიკრიბნენ და მთელ ქვეყანას დედას აგინებდნენ შექმნილი დისკომფორტის — ნარკომოვაჭრეთა დიდი ნაწილის დაკავების — გამო. ასე რომ, ამ ახალგაზრდებში თავისუფლების გაგება სრულიად დამახინჯებულია. როგორ შეიძლება საკუთარ თავისუფლებას შენი ქვეყნის მომავალ პერსპექტივას უპირისპირებდე. რას ნიშნავს საკუთარი თავისუფლება, რომ ქვეყნის გამოდგომის ნაცვლად, შენი სიამოვნების კულტი ეძებო და ვინც ამაში მხარს დაგიჭერს, ძმა, მეგობარი ეძახო?! ხოლო სახელმწიფოს, რომელიც ცდილობს, ასეთი კულტის საეჭვო მეგობრობისგან, მათი დიქტატისგან გათავსუფლდეს, პრორუსი და ქვეყნის მოღალატე ეძახო?! გამოსავალი, მკაცრი ხელის პოლიტიკაა. ქვეყანა ჩიხიდან უნდა გამოვიყვანოთ. სამწუხაროდ, ბევრი დრო დავკარგეთ, ახალგაზრდების ნაწილს ვეღარაფერს ვაგნებინებთ. ხელისუფლებამ ახალგაზრდები თავისი კურსის მართებულებაში უნდა დაარწმუნოს, რისი გატარების შემთხვევაშიც ქვეყანა როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ და ეკონომიკურ დივიდენდებს მიიღებს. თაობათა შორის არსებულ კრიზისს თავი უნდა დავაღწიოთ.

ვინ ალვივებს შვილებსა და მშობლებს შორის შუღლს?!

სამწუხაროდ, სახეზეა კიდევ ერთი პრობლემა, ნეობოლშევიკური ტექნოლოგიებით შვილების მშობლებთან დაპირისპირება, რისი ნეოლიბერალური დიქტატის პირობებში გამოყენებაც კვლავ შესაძლებელია. ყველაზე რადიკალურ მეთოდებს მიმართავენ, რამაც საზოგადოების სოციალურ ფენებს შორის დაპირისპირება უნდა გამოიწვიოს — შუღლის გაღვივება, დაპირისპირების გამწვავება შვილებსა და მშობლებს შორის. ამის ინსპირაცია იმ გრანტებით ხდება, რაზეც ზემოთ ვისაუბრე. გამოდის ვინმე პაპაშვილი და ოდიშარიას შვილს მიმართავს: კი არ უნდა იამაყო, უნდა გრცხვენოდეს, რომ ქვეყნის გამყიდველი მამა გყავსო. ხვდებით, რასთან გვაქვს საქმე?! პაპაშვილიც, გრიგორიადისიც და დედის არაპატივისმცემელი მანგაძეც გარე ძალების მიერ მართულნი არიან. დასავლეთი ტრადიციული ქართული საზოგადოების წინააღმდეგ ილაშქრებს. ამ შემთხვევაში, ბავშვებთან ვერ გვექნება პრეტენზია, ისინიც მსხვერპლი არიან. ჩვენ ამის საფუძველი უნდა ვეძიოთ და თუ საჭირო გახდა, კანონმდებლობაც გავამკაცროთ, ჩვენი ქვეყნის მტრებს შანსი არ დავუტოვოთ, რომ ყველაზე უფრო ძვირფასი საუნჯე — ახალგაზრდობა წაგვართვან. როგორ გულისწყრომასაც უნდა იწვევდეს ამ ახალგაზრდების ქმედებები, უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი ჩვენი მომავალია და მათთან სწორი დიალოგი უნდა ვაწარმოოთ. მათ უნდა დაინახონ, რომ სახელმწიფო ქვეყნის გაძლიერების გზაზე სწორ ნაბიჯებს დგამს. შედეგს აუცილებლად მივაღწევთ, როგორც ეს გრიგორიადისის შემთხვევაში მოხდა. მისგან ახალგაზრდების კერპის შექმნა უნდოდათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. გრიგორიადისი არ არის იმ ფასეულობების მატარებელი, რისი ღირსიც ქართული საზოგადოების ახალგაზრდული ფრთაა. ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ იმ იდეალების განცდა, რაც წინაპართა ნაკვალევს ეფუძნება და რამაც საქართველო დღემდე მოიყვანა. ფაქტია, რომ ის პერვერტები, რომლებიც გრანტებით ფინანსდებიან, ახალგაზრდებს მშობელთა უპატივცემულობისკენ, ოპონენტების მასხრად აგდებისკენ, პარლამენტის წევრებზე ღია იერიშების მიტანისკენ, ოჯახის წევრებზე თავდასხმისკენ უბიძგებენ. ისინი ხვდებიან, რომ მარცხდებიან, ქართული საზოგადოების თვალში ნდობას კარგავენ და ანარქიულ ქმედებებზე გადავიდნენ. ეს ანარქისტული, ყოვლად მიუღებელი ქმედებებია. ქართულ ხასიათში არ არის, რომ მმართველი გუნდის წევრების შვილები დაამუნათო, ისინი საკუთარ მშობლებს წაჰკიდო. ეს დანაშაულია. სახელმწიფომ ამაზე სათანადო რეაგირება უნდა მოახდინოს.

თამარ შველიძე

დაკარგული თუ დასაკარგი თაობა ქართველი ხუნვეიბინები

ტერმინი „დაკარგული თაობა“ გერტრუდა სტაინმა საფრანგეთში მოისმინა, როდესაც მანქანის ხელოსანმა თავის თანამშრომლებს ასე უწოდა მათი უცოდინარობის გამო. შემდეგ მან ეს ტერმინი გამოიყენა იმ მწერლების ნაწილის აღსაწერად, რომლებმაც პირველი მსოფიო ომის საშინელება გამოიარეს და ბევრი რამის, მათ შორის, თავისუფლებისა და ამერიკული ფასეულობების რწმენა დაკარგეს.

„დაკარგული თაობა“ ის თაობა იყო, რომლის წარმომადგენლებს რწმენა შეურყია პირველმა მსოფლიო ომმა, შეცვალა მათი ხედვა, თავიანთი ადგილი ვერ იპოვეს და ამიტომ ისინი „დაიკარგნენ“, — ასე გვიხსნიან „დაკარგული თაობის“ არსს.

„დაკარგული თაობის“ ავტორების წიგნები, ძირითადად, ბიოგრაფიულია. გაუცხოება, სასმელისკენ სწრაფვა, სექსი, ფული, განშორება, სქესთა აღრევა, წარსულის გაიდეალება — ეს თემები ხშირია მათ ნაწარმოებებში. ისინი არ წერდნენ არამედ იმიტომ, რომ ისეთი საფუძველი ჩაუფინეს, რომ აზროვნება ველარ შეძლონ...

ყველა დროში, ყველგან და ყველა სფეროში იყო და არის ადამიანთა კატეგორია, რომელთაც საქმის უსიტყვოდ შემსრულებლები ჰქვიათ. „სხვებზე“, წერდნენ მხოლოდ იმაზე, რაც იცოდნენ, მათ კი, ვინც მათნაირი არ იყო, არცთუ კარგად ახასიათებდნენ. ძალზე ხშირად მიმართავდნენ სატირას, განსაკუთრებით უფროსებისა და ძალაუფლების მქონე ადამიანების მიმართ. მათთან ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ მწერლებს სურდათ ეწერათ და დაერღვიათ მიღებული ნორმები, მაგრამ, ამავდროულად, მწუხარებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ძველ სტანდარტებს გადაუხვიეს. ალბათ, სწორედ ამიტომაც იყვნენ „დაკარგულები“, ველარ იგებდნენ, რა უნდოდათ...

„დაკარგული თაობა“ იმიტომ „დაიკარგა“, რომ ვერ შეძლეს თვალი გაესწორებინათ და ფეხი აეწყოთ რეალობისთვის, ამიტომაც გააიდეალეს წარსული.

ბევრის თქმა შეიძლება ამერიკელ „დაკარგულ თაობაზე“, მაგრამ ჩემი მიზანი ეს არ არის, ამიტომ ამ ძირითადი შტრიხებით მონახაზიც საკმარისია.

ჩვენი ახალგაზრდების ერთ ჯგუფზე ხშირად გამიგონია, „დაკარგული თაობა“ არისო. კი, ნამდვილად არიან „დაკარგული თაობა“, მაგრამ რამ დაკარგა?

ამერიკელი „დაკარგული თაობიდან“ მსოფლიომ მიიღო მწერლები, ჩვენ რა და ვინ, ადამიანის რა სახეობა მივიღეთ?

სხვათა შორის, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მეორე მსოფლიო ომი იყო, მაგრამ რატომღაც აღარ გაჩენილა „დაკარგული თაობა-2“, არავინ არსად აღარ დაკარგულა. არც აღარავის დაუკარგავს რაიმეს რწმენა, მით უფრო, თავისუფლებისა და მის ირგვლივ არსებული ფასეულობებისა.

იმხელა ამერიკისთვის ამერიკელი „დაკარგული თაობა“ ერთი თაობა იყო, ჩვენ, ამ პატარა საქართველომ რამდენი თაობა დავკარგეთ, აბა, მოთვალეთ!

ჩვენ „ჩაგვიდეს“ უკვე გამზადებული „დაკარგული თაობა“, რომელთა შემხედვარესაც კითხვა დამებადა, ვინ არიან ესენი, „დაკარგული თაობა“, თუ „დასაკარგი თაობა“? მერე გამახსენდება შეგონებასავით ჩარჩენილი „საქართველო, შენ სადა გყავს შვილი დასაკარგავი“ და მე „ვიკარგები“ ლამის.

ჩვენ სწორედ რომ ჩაგვიდეს ის თაობები, რომელთაც აზროვნება აღარ უნდათ, მაგრამ არა იმიტომ, რომ თვითონ არ სურთ აზროვნება, ასეთ ადამიანებს სახლში და კონკრეტულ ობიექტებთან მისასვლელი გზა მეხსიერების წყალობით აქვთ დაზეპირებული, თორემ აბა, შუცვალეთ სვლა-გეზი, სახლს ვერ მიაგნებენ — პირადად ვიცნობ ასეთ არაერთ ადამიანს. დაუკარგე ორიენტირები, ვთქვათ, ცირკი, ვაგზალი, რუსთაველის პროსპექტი და ა. შ. გზას ვერ გაიგნებენ.

ასე დამართეს ჩვენს ქართველ ახალგაზრდებს, დაუკარგეს ორიენტირები და შუა საქართველოში უგზო-უკვლოდ „დაკარგეს“...

რომელი ომი მივა იმ ომთან ახლოს, რა ფსიქოლოგიური და მორალური ომებიც გადავიტანეთ მდგრადმა საშუალო თაობებმა და ჩვენზე უფროსებმა, მაგრამ ჩვენ არავინ დაგვსხმია თავს ნარკოტიკებითა და ფულით, ჩვენ არავის გამოვულენჩებივართ და არავის მოვუსყიდვივართ, ამიტომაც არ დავიკარგეთ...

ახალი საუკუნის დადგომისთანავე აიქნია უხილავმა დირიჟორმა ხელი და დაიწყო სულებზე ნადირობა. მანამდე ერთგვარად მარწუხებში მოქცეული სუსტი ნებისყოფის ადამიანები აჰყვნენ ხელის აქნევაზე წამოქროლილ ნიავს და თავით გადაეშვნენ ილუზორულ თავისუფლებაში, რაც, რეალურად, ის ხრამია, საიდან ამოსვლაც მხოლოდ ძალზე ძლიერებს შეუძლიათ.

სხვათა შორის, ისინიც ახალგაზრდები იყვნენ, კომკავშირლები, უკადრებელს რომ კადრულობდნენ, ხვრეტდნენ სხვაგვარად მოაზროვნეებს და სამრეკლოებიდან ზარებს ყრიდნენ;

ხუნვეიბინებიც ახალგაზრდები იყვნენ, რევოლუციის სახელით გამანადგურებელი შურისძიება რომ წამოიწყეს. მათი მიზანი იყო, გაენადგურებინათ ოთხი სიძველე: ძველი კულტურა, ძველი იდეოლოგია, ძველი ჩვეულებები, ძველი ტრადიციები. მთავარ იდეას წარმოადგენდა ჩინეთის ისტორიის იმგვარად გადაწერა, რომ ყველაფრის ცენტრში მაო ძედუნი ყოფილიყო.

რაღაც საოცრად ხომ არ გეცნოთ? იმ განსხვავებით, რომ მაო ძედუნის ნაცვლად ჩვენს უკვე „დასაკარგ თაობას“ მიხეილ სააკაშვილის ხატება ესახებოდა გონებასავით დარჩენილ ადგილში.

ახლა „ბულინგს“ ამბობენ, რადგან ქართველი „დასაკარგები“ იმდენად დაამუშავეს, მართლა ხუნვეიბინებადღა თუ გამოდგებიან, სხვა აღარაფერი გამოითლება მათგან. ქართველი „დასაკარგებიც“ დიდი ენთუზიაზმით იძალადებენ და მოკლავენ ყველა იმ ადამიანს, რომელიც მათ აზრზე არ იქნება — არადა, აზრი არ აქვთ, მხოლოდ მითითებებს ასრულებენ!

ჩინელი ხუნვეიბინების მსხვერპლთა შორის იყვნენ უმაღლესი სახელმწიფო პირები და პარტიული ფუნქციონერები, მათ შორის, სი ძინპინის მამა. „ჩვენებმა“ რაღაც მსგავსი წამოიწყეს, თუმცა მოკრძალებულად...

ასე რომ, ახალგაზრდობა ინდულგენცია არ არის და აპრიორი მოსაზრება, ახალგაზრდები მოითხოვენ, მაშასადამე, ეს სწორია და უნდა შესრულდეს, საფუძველშივე მცდარია!

ის, რაც ამერიკული „დაკარგული თაობისა“ იყო, „ქართულ დაკარგულ თაობაში“ მხოლოდ უზნეობად განსხვეულდა, ნარკოტიკულ თრობად, სექსუალურ აღვირახსნილობად და საკუთარი სამშობლოს უარყოფად...

საქართველოში არსებულმა ყოველმხრივმა რყევებმა მშობლებისა და ბებია-ბაბუების თაობა საშოვარზე გადააგო და ვისთვისაც თავი გადადეს, სწორედ ისინი ჩაუვარდათ ხელში ნარკო-გეი და ნჯო-მაფიას..

ამერიკელი „დაკარგული თაობა“ მოწოდებით მწერლები იყვნენ და ფაქტობრივად, არც არსად დაკარგულან, თავიანთი ამერიკის პატრიოტებად მიიცვალნენ, უბრალოდ, სუსტ ფსიქიკაზე ძლიერ იმოქმედა ომის რეალობამ და შეგრძნებები გაუმძაფრდათ — ეს ჩვენი „დაკარგული თაობა“ მართლა დაიკარგა, უპირველესად, თავიანთი ოჯახების წევრებისთვის, შემდეგ კი საქართველოსთვის...

დიდ ამერიკას მწერლებად „დაჩნდა“ მისი „დაკარგული თაობა“ და არა ნარკომანებად, სექსუალურად აღტკინებულებად, სამშობლოს მოძულეებად, ვიღაცის ხელისბიჭებად და ახლა უკვე დედის უარმყოფელებადაც...

მშობლის გამწირავი ერთი პავლიკ მოროზოვი ვიცოდი (სადავოა გავრცელებული ამბავი) და მეორე კალე ფეოდოსიშვილი (კალისტრატე ვეკუა), რომელიც ამ ერთი ფრაზით გახდა ცნობილი „მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას, რევოლუციამ თუკი მიბრძანა!“ (ჟურნალი „მერცხალი“, 1926 წ.).

ამ ჩვენს „დაკარგულ თაობას“ ერთხანს „ალა ლუსულ კანონს“ სენი რომ დამართეს, რომ ჰკითხო, „შიგ ევროპელია“ და ჩაროზად რაღა საბჭოთა ბოლშევიკური უნდა მაინცდამაინც, რომ მშობელს ეტევება?

რამდენიმე დღის წინათ, ვინმე ნიკო მანაგაძის დედა პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ითხოვდა. ქალბატონმა ღიად თქვა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს ახალგაზრდები შეცდომაში შეჰყავთ და მათ მასალად იყენებენ. დედის ნათქვამის საპასუხოდ შვილმა საკუთარი დედა, მამა და ბებია დაგმო.

ბიჭო, შე უთავმოყვარეო! მშობლები და წინაპრები ვიღაცამ რომ შეგიგინოს, ყანყრატოში უნდა სწვდე და შენ მიუძვი წინ მათ საგინებლად?!

საქართველოში მოქმედი ნჯოების ძირითადი საქმიანობა რომ ყოველი ახალი მომავალი თაობის „სიძულვილით დაინფიცირებაა“, ვიცით, ამის საწინააღმდეგოდ რას აკეთებს ხელისუფლება? ახლა, ეს ე. წ. გამჭვირვალობის კანონი დაკარგულს ველარ დააბრუნებს, მაგრამ იქნებ, ახალი „მასალა“ მაინც მოესპოთ. ამიტომ ვამბობ, ერთი-ერთზე უნდა გადმოღებულიყო „ფარა“! (ვფიქრობ, დაგვიანებული არასდროს იქნება, ქართულ „ფარასაც“ აბი გლუკოზასავით გადაყლაპავენ...)

ვინ არის ეს ყმაწვილი, არ ვიცი, ახლაღა ვნახე მისი ფოტო, მაგრამ როგორც ინფორმაცია გავრცელდა, აქციების დროს სხვადასხვა დავალებების უსიტყვო შემსრულებელი ყოფილა. ვერ ვიტყვი, „კრებსით ნიკოები“ არიან-მეთქი, რადგან, როგორც ჩანს, თვით მისი წრისთვისაც კი მიუღებელია მშობლისთვის „ამორალურის“ წოდება, მაგრამ ის კი ფაქტად დევს, რომ ე. წ. ლიბერალურ ნჯო-ებს ამგვარადაც შეუძლიათ ახალგაზრდების მოწამვლა. რას დაგიდევენ ადამიანებს, მათთვის მთავარია მასალა, რომელსაც საკუთარი მართვის ინსტრუმენტად აქცევენ და საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის მოიხმარენ.

ახალგაზრდა, რომელსაც არ უყვარს დედა (სხვა სისხლისმიერი ახლობელი დროებით იქით იყოს), ის რანაირად მიპირებს თვალის ახვევას, რომ აქციებს ვითომ დედასამშობლოს სიყვარულითა და მისი წინსვლისთვის აწყობს? დედას რომ ასე უდიერად მოიხსენიებს, სხვას რას დამართებს? საინტერესოა, „ვაი, დედას“ ნაცვლად რას იტყვის, „ვაი, აკერმან?“ თუ „ვაი, ნჯო?“ ან რაზე იფიცება... ფუ, შეგირცხვეს კაცობა და ადამიანობა!

შვილი დედას აღარ ნახულობს, კონტაქტი გაწყვიტა, კრებსითი ლომჯარიებისა და კაპიტანი გიგაურების საჯაშუშო ფულები აქვს დასაცავი... „ჩემი დედათი“ დაიწყო და საქმით ასე დაგვირგვინდა... (ერთხანს „მე ვიყო მამაჩემის ქალი“ იყო მოძალებული, რამაც ფეხი ვერ მოიკიდა...)

ადვილი დასანახია, რა მზაკვრობა დევს ამ „გმირულ აღიარებაში“ — ერთია, რომ დედას არ ელაპარაკება და მეორეა, როცა ამას სახალხოდ აცხადებს ვიღაცის საამებლად და სხვებისთვის სამაგალითო ხდება. ეს გამოყვანილი ნეობოლშევიკები!.. ტყვიის გარეშე მოკლა დედა!..

სწორედ ამიტომ უნდა გასწორებულიყო მიწასთან განათლების სისტემა, რომ ახალგაზრდას არავის სიყვარულის გამო არაფერზე არ ჰქონოდა მუხრუჭი...

შარშანდელი მარტის აქციების დროს გიგი თევზაძემ ნიშნისმოგებით გვითხრა, ჩვენ გამოვზარდეთ ისეთი თაობა, როგორიც გვსურდა, თქვენ ეს პროცესი გაგეპარათო. სიმართლე თქვა გიგი თევზაძემ! გამოიყვანეს ლიბერალი საბჭოთა გარიჟრაჟის ბოლშევიკის ახალი სახე.

ზურაბ ჯაფარიძე იყო, მგონი, „სიცრუის დეტექტორში“ რომ თქვა, ჩემთვის არც სამშობლო არსებობს, არც ღმერთი; არც პატრიარქს ვცემ პატივს და არც მშობლები არიან ავტორიტეტებიო, — აი, ვის ჩაუვარდა ხელში „დასაკარგი თაობა“!

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე, თითი თითზე არ დაუდია არავის, რომ სააკაშვილის მიერ დანგრეული განათლების სისტემა აღედგინა, ის გერმანულ-პრუსიული სისტემა, რაც „საბჭოთად“ შეასაღეს გამოთაყვანებულებს და არ ჩაეხსნენ „ბოლონიის პროცესს“; დღემდე „ნაცებით“ არის დაკომპლექტებული სკოლებიც, უმაღლესი სასწავლებლებიც და უწყვეტად მიმდინარეობს ტვინების გამორეცხვა. სათუთ ასაკზეა გათვლილი „გამოთაყვანების პროგრამები“, რომელიც შემდეგ „აკერმან-შარპის“ სწავლებებში გადადის და შედეგი სახეზეა...

ამ აბსურდულ მოთხოვნამდეა ხალხი მისული: სანამ პავლიკ-კალეობა მასობრივ პროცესში არ გადაზრდილა, მიხედოს გამკაცრებულმა კანონმა, რომელიც არ გვაქვს!

ნუთუ მხოლოდ მე ვატყობ, რომ ფასეულობათა გადაფასება გამიზნულად ხდება? უგემოვნება ყველა სფეროში, მათ შორის ჩაცმა-დახურვაში, რაც მთავარია, მენტალიტეტის შეცვლა უკუღმართობისკენ იმდენად გაიდეალებულია, რომ, თუ ასე გაგრძელდა, ბოლოს იდიოტობა იქნება ნორმა და იდიოტი — იდეალი!

ამერიკელი „დაკარგული თაობა“ აღარ არის, მიიცვალნენ; აღარც ჩინელი ხუნვეიბინები არიან, ისინიც მიიცვალნენ; ჩვენღა დაგვრჩა თაობა, რომელიც, რადგან ვერ გავუფრთხილდით, წარმოსახვით უღრანში დაკარგულა. ასე ყოფილა დაწერილი ბედის წიგნში, რომ უნდა დაკარგულიყო და ლოგიკურად, დასაკარგია...

მაია ჯელიძე

დასავლეთი იძულებული გახდება, ევროკავშირში მიგვიღოს

გვესაუბრება „სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი ლევან მამალაძე:

— ბატონო ლევან, ევროკავშირის არჩევნებში მემარჯვენეებმა წარმატებას მიაღწიეს, თუმცა პროევროპული ცენტრი პოზიციებს მაინც ინარჩუნებს. რა შეგვიძლია ვთქვათ, ევროპა გაჯანსაღების გზას დაადგა?

— ევროპარლამენტის არჩევნებმა დაგვანახა, რომ ცვლილებების პროცესი დაიწყო. თუმცა ნიშანდობლივი ცვლილება თავად ევროპარლამენტში არ მომხდარა, რადგან უმრავლესობას ისევ „ევროპის სახალხო პარტია“, „სოციალისტები“ და ლიბერალების ჯგუფი წარმოადგენენ. ისინი საკუთარ თავს ევროპელ ცენტრისტებს კი უწოდებენ, (რომლებიც ახალ პარლამენტშიც უმრავლესობას ქმნიან და 360 ხმაზე მეტი მოაგროვეს), მაგრამ, რეალურად, ნეოლიბერალური მიმართულების გამტარებლებად რჩებიან. მაშინ, რა შეიცვალა? — უმრავლესობაში შემავალმა „ევროპულმა ლიბერალურმა პარტიამ“ ნაკლები ხმები აიღო, მემარჯვენე ევროპულმა ძალებმა კი იმაზე მეტი ხმები აიღეს, ვიდრე აქამდე ჰქონდათ. ცვლილებები დაიწყო, თუმცა უმრავლესობას იგივე ძალები ინარჩუნებენ. განცდა იმისა, რომ ევროპული პოლიტიკა შეიცვლება, ნამდვილად არსებობს. მოცემულ შედეგებს ქვეყნების მიხედვით თუ გავაანალიზებთ, საინტერესო ტენდენცია იკვეთება. მაგალითად, საფრანგეთში მაკრონის პარტიამ წააგო, ორჯერ მეტი ხმა მარინ ლე პენის „ეროვნული გაერთიანების პარტიამ“ აიღო. მაკრონი იძულებული გახდა, ვადამდელი არჩევნები დაენიშნა. ანუ, საფრანგეთიდან ევროპარლამენტში მემარჯვენე ძალებმა მეტი დეპუტატი გაიყვანეს, ვიდრე მაკრონის პარტიამ. რაც შეეხება გერმანიას, შოლცის „სოციალ-დემოკრატიული პარტია“ მესამე ადგილზე გავიდა, ხოლო პირველი ადგილი მემარჯვენე ეროვნულმა ძალამ — „ალტერნატივა გერმანიისთვის“ დაიკავა. შოლცს ვადამდელი არჩევნები ჯერ არ გამოუცხადებია, თუმცა იქაც იგივე პრობლემა შეიქმნა. მემარჯვენეებმა გაიმარჯვეს ესპანეთში, ბელგიაში ამის გამო პრემიერი გადადგა. ასე რომ, ევროპაში შემავალი ძლიერი ქვეყნებიდან მემარჯვენე ძალებმა ბევრად მეტი ხმა აიღეს, ვიდრე სახელისუფლებომ. ეს ნიშანდობლივია. ახალარჩეულ ევროპარლამენტს ამისთვის ანგარიშის გაწევა მოუწევს.

მაკრონზე ამბობენ, გაბედული ნაბიჯი გადადგაო. ჩემი შეფასება ასეთია: საფრანგეთის პრეზიდენტი სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ყოველთვის წამოაძახებდნენ, რომ არალეგიტიმური მმართველია, რომელსაც ხალხის მხარდაჭერა არ გააჩნია. ჩნდება კითხვა, რატომ გადადგა მაკრონმა ეს ნაბიჯი, თუკი ხალხის მხარდაჭერა არ გააჩნია?! აქ რამდენიმე ნიუანსია გასათვალისწინებელი: ჯერ ერთი, საფრანგეთი ევროკავშირის ერთადერთი წევრი სახელმწიფოა, რომელსაც ბირთვული იარაღი გააჩნია. მსოფლიოში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, აშშ-ისთვის ეს ქვეყანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მაკრონს აშშ-ის, ბრიტანეთის მხრიდან დიდი მხარდაჭერა აქვს. ბაიდენისა და მაკრონის ერთობლივი განცხადებაც იმაზე მეტყველებს, რომ კავკასიაზე კონტროლი არ შესუსტება, პირიქით, გაძლიერდება. მაკრონი დარწმუნებულია, რომ ვადამდელ არჩევნებში გამარჯვებას გარე ძალების მხარდაჭერით მოიპოვებს. ეს არის ერთადერთი ახსნა იმისა, თუ რატომ დანიშნა არჩევნები ასე თამამად. მეეჭვება, აშშ-ის დახმარების გარეშე მარინ ლე პენის ეროვნულმა ძალებმა გამარჯვება შეძლონ. ყურადღება კიდევ ერთ გარემოებაზე გავამახვილოთ: საფრანგეთმა უცხოური აგენტების შესახებ საკმაოდ მკაცრი კანონი მიიღო, რომელიც ძალაში 2025 წლის იანვრიდან შედის, ანუ ამ არჩევნებში აშშ-ისა და ბრიტანეთის ჩარევა შეზღუდული არ იქნება.

— ომის მოსურნე ძალებს ევროკავშირის არჩევნებმა განაჩენი გამოუტანა?

— სამწუხაროდ, ვერ ვხედავ ტენდენციას, რომ მშვიდობაზე გათვლილი პოლიტიკა იმარჯვებს, პირიქით, საერთო მსოფლიო დაძაბულობა უფრო სიღრმისეული ხდება. უკრაინის ფონზე რუსეთისა და ნატოს დაპირისპირება მძაფრდება. ევროპის ქვეყნები და აშშ უკრაინას ისეთ რაკეტებს აწვდიან, რომლებიც შეუძლიათ რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმებისთვის გამოიყენონ. პუტინმა საპასუხოდ განაცხადა, რომ მზად არის, ტაქტიკური ბირთვული იარაღი გამოიყენოს. ასევე, მან თქვა, რომ მტყორცნელ რაკეტებს ისეთ ქვეყნებს მიაწვდის, რომელთაც უკრაინის ტერიტორიაზე მისი გამოყენების სურვილი ექნებათ. წინ დაძაბული პროცესები გველის. მშვიდობისკენ მოწოდებები ვინც გააკეთა, ფიცოს ვგულისხმობ, მოსაკლავად გაიმეტეს. ასე რომ, ჯერჯერობით, მშვიდობის მოსურნე ლიდერები მსოფლიოში არ ჩანან.

— გამოდის, ევროპამ ვაშინგტონის დიქტატიდან ვერ დაიხსნა თავი?

— მოლოდინი იმისა, რომ ევროპა რაღაცისგან თავისუფლდება, არ უნდა გვქონდეს. პირიქით, ტენდენცია ასეთია — ევროპა თავის სუვერენულ ფუნქციებს უფრო მეტად კარგავს. ეს პროცესი დაწყებულია. აშშ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, საკმაოდ ჭკვიანურად იქცევა — უკრაინის ფრონტზე ევროპელები პირდაპირ ჰყავს ჩართული. გამორიცხული არ არის, უკრაინაში საფრანგეთის შეიარაღებული ძალები შეიყვანონ, რის შესახებაც მაკრონმა განაცხადა. ამერიკა უკრაინას ფულსაც აწვდის და იარაღსაც. ევროპა იმისთვის სჭირდება, რომ ომის პირდაპირი მონაწილე გახადოს, თავად კი

ეს ჩართულობა თავიდან აიცილოს. რუსეთი აშშ-ის მოსაგერიებლად ყველაფერს გააკეთებს. ასე რომ, ვითარება უფრო დაძაბულ ფაზაში შედის. მშვიდობისკენ გადადგმული ნაბიჯები არ ჩანს. ალბათ, უფრო მეტი ხალხი უნდა დაიხოცოს, რომ მერე მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ. საბოლოოდ, მოლაპარაკება მოხდება, ოღონდ ადამიანების მსხვერპლის ხარჯზე.

— ევროკავშირის არჩევნები საქართველოზე როგორ აისახება?

— საქართველოსთან მიმართებით დადებით ტენდენციებს ვერ ვამჩნევ. პირიქით, ევროპა შეეცდება, ჩვენს ქვეყანაზე გარკვეული ზეწოლები განახორციელოს. 24 ივნისს ევროსაბჭოში საქართველოსთვის სანქციების დაწესების საკითხს განიხილავენ. ევროკავშირმა დავალება მიიღო — ჩვენს ქვეყანაზე ზეწოლა მანაც მოახდინოს. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ამ ზეწოლასთან გამჭვირვალობის კანონი არაფერ შუაშია. ეს მიზეზია. იგივე კანონი, გაცილებით მკაცრი, ამერიკაშიც მოქმედებს, საფრანგეთშიც და ა. შ. ჩვენთან ამ კანონის ამოქმედებას იმიტომ ეწინააღმდეგებიან, რომ სახელმწიფოდ არ აღგვიქვამენ. მათი მხრიდან დაფინანსებულ ნჯოებზე, პოლიტიკურ ორგანიზაციებზე, მედიაზე დაწესებული კონტროლი იმის ბერკეტია, რომ მუდმივ მორჩილებაში ვყავდეთ.

ჩვენ ახლა სუვერენიტეტის განმტკიცების პროცესში ვართ. დასავლეთი მხოლოდ მათ მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციებს, ვისაც მუსიკას უკვეთავს, ეძახის ხალხს, დანარჩენი ხალხი მათთვის არ ვარსებობთ. თან გაიძახიან, ხალხის სახელით საქართველოში ცვლილებებს განვახორციელებთო. ანუ, რევოლუციური სცენარი ისევ ძალაშია. არჩევნების წინ და შემდგომაც, გარკვეულ გართულებებს უნდა ველოდოთ. თუმცა ფერადი რევოლუციების ეპოქა ისტორიას ბარდება. ჩვენი ხელისუფლება აცხადებს, რომ გადატრიალების მცდელობის აღკვეთის ბერკეტი გააჩნია. თუმცა, ეს რთული იქნება. ჩემი გათვლებით, დასავლეთი ვენესუელას სცენარს აამოქმედებს: აშშ-მა ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი მადურო ლეგიტიმურად არ ცნო და მის ნაცვლად დამარცხებული კანდიდატი, პარლამენტის თავმჯდომარე გუაიდო აღიარა. ჩვენთანაც დასავლეთი გეგმავს, რომ არჩევნების შემდგომ ხელისუფლებას ლეგიტიმაციის პრობლემა შეუქმნას. ოპოზიცია ჩამოწერს მინისტრთა კაბინეტის სიას და ამ ხალხს მოუწყობენ შეხვედრებს ბრიუსელში, ვაშინგტონში, ისინიც შეეცდებიან, თავიანთ დამფინანსებლებს თავი მოაწონონ და ყულაბაში მეტი თანხა მიითვალონ. რევოლუციურ სცენარს განხორციელება არ უწერია. ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაც გამორიცხულია, რადგან ეს რუსეთის აგრესიას გამოიწვევს, რასაც დასავლეთი ვეღარ შეაჩერებს. არსებული ვითარება ხელს გვიწყობს, ჩვენი სუვერენიტეტი განვიმტკიცოთ. ვფიქრობ, დასავლეთი იძულებული გახდება გვაღიაროს, როგორც სახელმწიფო. ეს ჩვენი გამარჯვება იქნება. კი ბატონო, შეიძლება სანქციებიც დაგვიწესონ, მაგრამ საქართველოს ფასი იმდენად გაზრდილია, რომ ევროკავშირში მაინც მიგვიღებენ. დიახ, ევროპაში მიგვიღებენ, მიუხედავად იმისა, მოსწონთ თუ არა ჩვენი ხელისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს დაკარგვით, გავლენას მთლიან რეგიონზე დაკარგავენ. ვერაფრით ეგუებიან, რომ საქართველო მათი მორჩილი არ არის. ყველა უნდა მივაჩვიოთ, რომ ჩვენი ინტერესები გაითვალისწინონ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩინეთთან პარტნიორობა უსაფრთხოების განმტკიცების თვალსაზრისით, ჩვენთვის სერიოზული ბერკეტია. საქართველო ვერცერთ იმპერიას ვერ დაუპირისპირდება, მაგრამ დაბალანსების პოლიტიკით შეიძლება უფრო გავძლიერდეთ. ეს ერთადერთი საშუალებაა, რომ არჩევნების მერე უფრო გავძლიერდეთ.

ბოლოს ერთ მნიშვნელოვან დეტალზე მინდა მკითხველის ყურადღება გავამხვილო. დასავლეთი პირდაპირ ზეწოლას ახორციელებს ბიძინა ივანიშვილზე. თუკი ვინმე რეალურად დაზარალდა, ეს სწორედ ბიძინა ივანიშვილია. მას ორ მილიარდზე წვდომა შეუჩერეს. მასთან იყო მოლაპარაკებების მცდელობა ამერიკის ელჩის და სხვათა მხრიდან, რომ ქვეყანა ომში ჩაერთო, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ადამიანმა საქართველოს უამრავი ისტორიული შედევრი გადასცა, სულ ახლახან იოანე ზოსიმეს უნიკალური ხელნაწერი გამოისყიდა და მადლიერების გამოხატვის ნაცვლად, აქ ქილიკი დაიწყეს. მინდა ყველამ გაიგოს, თუ რატომ არის მასზე ამხელა ზეწოლა. ივანიშვილს სთავაზობდნენ, საქართველოს ინტერესების დაცვას თავი დაანებე და გაყინულ აქტივებსაც დაგიბრუნებთ, გარანტიებსაც მოგცემთ და რომელ ქვეყანაშიც გინდა მშვიდად იცხოვრებო. ივანიშვილმა ეს არ გააკეთა, რასაც ერთადერთი ახსნა აქვს: ასე რომ მოქცეულიყო ამას მოჰყვებოდა სააკაშვილის გათავისუფლება, სისხლიანი რეჟიმის მმართველობაში დაბრუნება, დაიწყებოდა უდანაშაულო ხალხზე ანგარიშსწორება, რაც პირადად ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი. სააკაშვილის მმართველობის დროს დასავლეთს არ უთქვამს, საქართველოში ადამიანის უფლებები ირღვევა, ხალხზე ძალადობას აქვს ადგილიო. პირიქით, სისხლისმღვრელი, ქვეყნის მძარცველი სააკაშვილი დემოკრატიის შუქურად მონათლეს. დასავლეთს სურდა, ერთი მხრივ, „აბრეშუმის გზის“ დერეფანი ჩაეკეტა და მართვადი გაეხადა. ივანიშვილი ამას რომ დასთანხმებოდა, მერე იტყოდნენ, აი, მან სახელმწიფოს ინტერესები პირად კეთილდღეობაზე გაყიდაო. ივანიშვილმა ეს არ გააკეთა, ქვეყანა არ გაწირა. ეს ხომ უნდა დაუფასდეს. საოცარ ზეწოლას გაუძლო, რასაც ბევრი ვერ შეძლებდა. დიახ, მან სახელმწიფოს ინტერესები პირადზე მაღლა დააყენა.

თამარ შველიძე

ევროკავშირის პოლიტიკა „გამობაიდენებულია“

გვესაუბრება პარტია „ხალხის ძალის“ წევრი ზურაბ ქადაგიძე.

- ბატონო ზურაბ, პრეზიდენტმა რიგით მეცხრე ვეტო ამჯერად ცესკო-ში გადაწყვეტილების მიღების წესის ცვლილებას დაადო. იცის, რომ მიზანს ვერცერთხელ ვერ მიაღწია და თავს მაინც მუდმივად სასაცილო მდგომარეობაში იგდებს?

- ეს ადამიანი იმდენად არის ყოველგვარი კონსტიტუციური, სამართლებრივი, პოლიტიკური თუ ადამიანური ჩარჩოდან ამოვარდნილი, რომ მისი ყველა მისი ქმედება პოლიტიკური პროვოკაციისკენ არის მიმართული. ამიტომ სალომე ზურაბიშვილის საქციელი უკვე სასაცილოც აღარ არის. ზოგადად, ყველანაირი სამართლებრივი ჩარჩო რომ მოვხსნათ, ვეტო არის არგუმენტირებული კრიტიკა, რომელსაც ან გაიზიარებს უმრავლესობა, ან არა. რა „არგუმეტიც“ მოიყვანა და რაც იკადრა „გამჭვირვალობის კანონთან“ დაკავშირებით პრეზიდენტის წარმომადგენელმა, კი ვნახეთ. ცხრა კი არა, თხუთმეტიც რომ დასჭირდეს, ვიდრე ზურაბიშვილი ერთგვარ პოლიტიკურ ქაფზე ტივტივებს, ის ყოველთვის გამოიყენებს „ვეტოს“ უფლებას საკუთარი ფსევდოძალის დემონსტრირებისთვის. სანამ საშუალება ექნება, ეს პოლიტიკური პარაზიტი ასე იმავნებლებს და პროვოკაციებით ეცდება, პირადი დივიდენტები დაიწეროს თავის პატრონებთან დასავლეთში, რომელთა გამოც ყველაფერს იკადრებს.

- რამდენიმე დღის წინ ევროპარლამენტის არჩევნები დასრულდა, სადაც თითქმის ყველა უდიდესი ქვეყანა მემარჯვენეებმა „მოიგეს“. რა მოლოდინი გაქვთ, შეცვლის ეს რეალობა საქართველოს ხელისუფლების მიმართ ევროპარლამენტარების დამოკიდებულებას?

- ევროპა ხომ ერთი ქვეყანა არ არის, ეს არის სახელმწიფოთა მულტინაციონალური გაერთიანება, სადაც ძალიან ბევრი პოლიტიკური წიაღსვლა მიმდინარეობს. ტენდენცია შეიცვალა, რადგან ევროპელმა საზოგადოებებმა სხვადასხვა ქვეყანაში, რადიკალურად შეიცვალეს დამოკიდებულება იმ ისტებლიშმენტთან მიმართებაში, ვინც ევროკავშირის პოლიტიკას აწარმოებს. თუმცა, რამდენად შეიცვლება მათი დამოკიდებულება ჩვენდამი, ცალკე საკითხია, რადგან ევროკავშირი სრულად არის დაქვემდებარებული აშშ-ის ადმინისტრაციაზე.

ვნახეთ, რომ მოქმედმა პოლიტიკურმა ლიდერებმა წააგეს ადგილობრივი არჩევნები. საუბარია მაკრონზე, რომელსაც ვადამდელი არჩევნების დანიშვნამ მოუწია, შოლცზე, რომელიც მესამე ადგილზე გავიდა, ბელგიის პრემიერ-მინისტრი საერთოდ გადადგა, ესპანეთში მემარჯვენეებმა გაიმარჯვეს. მემარჯვენეებმა მოიგეს თითქმის ყველა უდიდესი ქვეყანა, მაგრამ რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ამერიკული ნარატივი ჯერ კიდევ ყველა ქვეყანაში იმოქმედებს. იმდენი ჯგუფია და ისეთი აზრთა სხვადასხვაობაა, რომ, ვიდრე ისინი მონოლითად ჩამოყალიბდებიან და გავლენებს მოიპოვებენ, ამასობაში ამერიკა თავის პოლიტიკას ბოლომდე გაატარებს. ამიტომ არ მაქვს მოლოდინი, რომ რაღაც ძირეულად შეიცვლება. მე ვფიქრობ, მდგომარეობა კარდინალურად შეიცვლება, უფრო ევროპარლამენტის მომდევნო არჩევნების შემდეგ.

- ანუ, ევროკავშირის მომავალი დიდწილად არის დამოკიდებული აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე...

- თავისთავად! თუმცა, ისიც ხომ ვიცით, რომ კონგლომერატები მართავენ პოლიტიკურ პროცესებს და პრეზიდენტი ერთპიროვნულად ყველაფერს მაინც ვერ წყვეტს. თუ ტრამპი გახდება პრეზიდენტი, კონგლომერატებს დაუპირისპირდება და არ დაინდობს მათ, პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში შეიძლება რეალური ცვლილებები ვიხილოთ. პირობითად რომ ვთქვათ, ამერიკის პრეზიდენტის ცვლილება, რაღაც კუთხით, კონკრეტულ გავლენას იქონიებს სხვა ქვეყნებზეც. ტრამპმა შეიძლება ასეთი მასშტაბური, აღვირახსნილი ფსევდოლიბერალური კერები დააცხროს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ ევროკავშირი ჯერ ისევ მათზე დამოკიდებული დარჩება. კარდინალურად რომ რამე შეიცვალოს, ამას დრო სჭირდება.

- „დიდი შვიდეულის“ სამიტზე გადაწყდა, რომ რუსეთმა უკრაინას, ზარალის ასანაზღაურებლად, 486 მილიარდი დოლარი უნდა გადაუხადოს, უკრაინა კი რუსული აქტივებიდან 50 მლრდ დოლარს სესხის სახით მიიღებს. ამის გამო პოლიტოლოგები G7-ში მონაწილე ლიდერებს ორმაგი სტანდარტების გამოყენებაში ადანაშაულებენ. რა ხდება რეალურად?

- ჩვენ ვხედავთ ფსევდოლიბერალიზმის აბსურდს, რომელიც თავს მოახვიეს მსოფლიოს, ვხედავთ, რომ მთელი ევროკავშირის პოლიტიკა „გამობაიდენებულია“ და, რეალურად, მათი ქმედებების შეფასებებით ვართ დაკავებული. სწორედ ამ აბსურდის სპექტაკლიდან არის სცენა, რომ უკრაინას თანხმობა უთხრეს ნატო-ში მიღებაზე, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბაიდენი აღმოსავლეთის გაფართოებას სულაც არ უჭერს მხარს.

რუსეთი, რომელსაც საერთაშორისო ვალდებულებები აქვს დარღვეული, მოწინააღმდეგის განცხადებას გაიზიარებს?! - არა! ის, რომ დასავლეთში 300 მილიარდ დოლარამდე გაყინული აქტივი რუსეთს არ დაუბრუნდება და უკრაინას ამ აქტივიდან 50 მილიარდი სესხად მიეცემა (რატომ პირდაპირ არ გადაეცემა, ესეც საკითხავია!), ცოტა სასაცილოა. ვის მიმართ დარჩება სასესხო ვალდებულება უკრაინას?

საბანკო სისტემიდან გათიშული რუსეთი სამხედრო ბიუჯეტს ზრდის და ეკონომიკური იზოლაციის მიუხედავად, ქვეყანაში ყველა წამყვანი სფერო მუშაობს. ეს რას ნიშნავს?! - არ იმუშავა სანქციებმა და ახლა "გამობაიდენებული" პოლიტიკური მანევრით ცდილობენ კრემლის შეშინებას?! - არც ეგ აქტივი ადარდებს რუსეთს!

სულ ეს იყო G7-ის შეხვედრა და ძალის დემონსტრირება, მაგრამ რა იცვლება ამით?!

იარაღს შეზღუდულად აწვდის აშშ უკრაინას. ქვეყანას, რომელსაც ჭურვების დეფიციტი აქვს, შორ მანძილზე მოქმედი იარაღი დათქმით გადაეცემა, რომ ის რუსეთის საზღვრების შიგნით არ იქნება გამოყენებული! ამასობაში უკრაინა სისხლისგან იცლება და ამ უბედურებას დასასრული არ უჩანს.

მოკლედ, დამარცხებული მაკრონი, ლიგიტიმაციის ზღვარზე მყოფი შოლცი და "პოლიტიკური ძალისგან" გაჩოჩებული ბაიდენი, არაპოპულარობის ზენიტში იმყოფებიან და ძალის დემონსტრირებას ცდილობენ, რომ რამენაირად დასავლურ პოლიტკონიუნქტურას რეპუტაცია შეუნარჩუნონ...

თუმცა, უნარჩუნებენ, თუ უფრო ანულებენ დასავლეთს, საკითხავი ეს არის!

- საქართველოს რომ დავუბრუნდეთ - სიძულვილის ნიაღვარი არ წყდება, გრძელდება მმართველი გუნდის წევრებსა და მათ მომხრეებზე ფიზიკური თავდასმები. რა შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს და რას უნდა ველოდოთ მოახლოებული არჩევნების წინ?

- სასაცილოა, როგორ ხდება, რომ ეს ვითომ „აღშფოთებული“ მოქალაქეები, რომლებიც ხან აეროპორტებში, ხან სახლთან, ხან სუპერმარკეტებში ხვდებიან „შემთხვევით“ დეპუტატებს, უცებ აღმოჩნდება, რომ სინამდვილეში



უდიდესი მცდელობის შედეგად. მას შემდეგ, რაც მაისის საპროტესტო მუხტი მიილია და ვეღარც „არა რუსულ კანონს“ ჭრის, ლოკალური პროვოკაციები დაიწყეს, რათა ტემპერატურა არ დავარდეს და როგორმე, არჩევნებამდე საპროტესტო მუხტი „გამოადნონ“. ასეთი აკერმანისეული გათვლა აქვთ, თუმცა ახლა 2003 წელი აღარ არის და თვალში ნაცრის შეყრით საზოგადოების მოტყუებას ვეღარ შეძლებენ.

როგორც ნიკა გვარამიამ დააანონსა, თურმე „ქართული ოცნების“ დასამარცხებლად პრესაარჩევნო ერთობა არ გამოდგებათ. ანუ, რა ნაგავიცა ვართ ერთანობაში, ამას ვერ „შევასაღებთ“ ამომრჩეველს და იქნებ ნაწილ-ნაწილ გადაჯგუფებით, ფორმაციით და პლატფორმებით „შევეპაროთო“. კოალიციას კი, მისი თქმით, მხოლოდ არჩევნების შემდეგ შექმნიან.

მოკლედ, ამ საცოდავს, ქართველი ხალხი გულმავიწყი ბრბო ჰგონია და ფიქრობს, რომ თუ სახელს გადაირქმევენ, საუბრის მანერას შეიცვლიან და თვითკმაყოფილი იდიოტის გამომეტყველებით დასხდებიან ტელეეთერში, - ხალხს გამოათაყვანებენ...

არადა, როგორც უნდა გაემიჯნონ ერთმანეთს და რა "რებრენდინგიც" უნდა ჩაატარონ, მაინც კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება მათი სახელი, ბინძური წარსულითა და მოღალატეობრივი ხასიათით!

- ბოლო დროს მომხდარმა ფაქტმა, როდესაც დედა-შვილი პოლიტიკის გამო ერთმანეთს დაუპირისპირდა, საბჭოთა „ლოზუნგი“ გამახსენა: „მოვკლავ დედას და დავაბრჩობ მამას, თუკი პარტია მიბრძანებს ამას!“. თაობათა შორის დაპირისპირება არახალია, მაგრამ რაც ახლა ხდება, ეს, მგონი, მეტისმეტია...

- მიმაჩნია, რომ დიდი შეცდომაა, როცა ერთი-ორი ადამიანის არასწორ საქციელს მთელ მის „თაობას“ მივაწერთ. რასაც ჩვენ თუნდაც გასულ თვეში რუსთაველის პროსპექტზე ვხედავდით, ეს არ არის ჩვენი ახალგაზრდობის სახე. თაობათა შორის დაპირისპირება ფასეულობების, იდეოლოგიის გამო, - ჯანსაღი და ბუნებრივი პროცესია, მაგრამ თავსმოხვეული ფეიკკამპანიებით აგორებული ფსევდოდაპირისპირება, მომავალი თაობის წინაშე ჩადენილი ყველაზე დიდი ბოროტება მგონია. რა პროცესებსაც ახლა ვუყურებთ, ეს არის სრულიად არაავთენტური, ხელოვნურად შექმნილი დაპირისპირებები, აკერმანის თეორიებზე აგებული აბსურდი, რაც უნდათ, რომ საზოგადოებას შეასაღონ. თუ 25 ათასი სტუდენტიდან 100 სტუდენტი მათ აზრზეა, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ მთელი სტუდენტობა ანტისახელმწიფოებრივ ნარატივს იზიარებს?! თუმცა, ისინი იმასაც ამტკიცებენ, რომ ლექტორები გაიფიცნენ და ამ დროს აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტის 5000 ლექტორიდან გაფიცულთა სიაში სულ 350 ლექტორია. ეს არის მარტივი პიარტქნოლოგია, რათა გაამუქონ, გაბევრონ, ფონი შექმნან რამენაირად... დარწმუნებული ვარ, თუნდაც მათ რიგებში, ბევრს არ მოეწონებოდა, რომ ამ ახალგაზრდამ, პავლიკ მოროზოვივით, საკუთარი დედა უარყო და დედა-შვილის დამოკიდებულება საქვეყნოდ განსასჯელი გახადა. ასეთები, სამწუხაროდ, ყველა ეპოქაში იყვნენ და, ალბათ, ისევ იქნებიან. უბრალოდ, დაუჯერებელია, რომ პოლიტიკური შეხედულების გამო შვილმა მშობელი (ან პირიქით) უარყო და ამით პოლიტიკური ქულები დაიწეროს.

კოლექტიური ნაცმოძრაობის მიზანია, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და ადამიანებზე ზეგავლენის მოხდენა, რათა დააჯერონ საზოგადოება, რომ პოლიტიკის გამწევი ძალა თავად არიან. ვინ გახდება მათი ბინძური ზრახვების მსხვერპლი, ნაკლებად აღელვებთ.

ნონა ქარქაშაძე

ეს ქალი ხომ ვერ მოვიშორე ვერც თვალიდან და ვერც თით(ებ)იდან. რაც მე ამ ქალზე მაქვს ნაწერი, ამდენი წერილი რომ პირადად მიმეწერა, ჩვენს საქმეში უეჭველად ამური იქნებოდა უკვე ჩარეული და ჯვარი გვექნებოდა ნაფსკვნევი ალავერდის მონასტერში. ჩემს მეჯვარედ ქრისტეფორე მგალობლიშვილის სულს გამოვიძახებდი, მას ორი მეჯვარე ეყოლებოდა — ბაია პატარია და რობერ დანიგანი, ჯვარს ვაგზალზე ნაჯიბგირალი პეტრე დაგვწერდა.

სანამ ის იმ საპრეზიდენტო სკამზეა დაჭედებული, კიდევ რამდენ ვეტოს გამოაცხობს და კიდევ რამდენ მავნებლობას მოიმოქმედებს, წინსწრებით ვიცი და ვღელავ, მართლა არ შემიყვარდეს ეს ქალი უგონოდ. იმდენი წერილი, რაც მე ამ ქალს ღიად მივწერე გაზეთის მეშვეობით, რაც ვარიგე და ვტუქსე „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან, ვაკვალიანე და ვამუნათე, ჩესტერფილდს არ მიუწერია საკუთარი ვაჟისთვის.

კუზიანს სამარე გაასწორებსო, მაგრამ ამ ქალს ისეთი კუზი აქვს, აქვე თუ ვინმემ ლაფში არ აგორავა, საიქიოელი კუზისგამსწორებლები უძლურები იქნებიან. გერონტოფილი არ ვარ, არ მინდა ამ ქალის შეყვარება, მაგრამ თავს რომ არ მანებებს? — თვე არ გავა, არ წავუწერილო.

ბიჯოოო, ეს ვინ ავიკიდეთ!

ამას, მგონი, ის ვეტოდებია მარგველაშვილი სჯობდა, რაღაც ერთგვარი მამაკაცურ-პლასტილინური მორიდება მაინც იგრძნობოდა „კარალევა მარგოს“ ვეტოებში, ამას კი მთლად აღებული აქვს თავზე ხელი.

სალომე ზურაბიშვილი ხშირად იქცევა არადეკვატურადო — კვატია და თანაც კოჭლი, სხვაგვარად რომ იქცეოდეს, ხომ „კოჭლი იხვიც“ არ იქნებოდა. ჩოლახაა, ჩოლახა!



ქალი „შორენა“

ძველი ქალაქური ანეკდოტი გამახსენდა: ქურთი მეეზოვე ბურჰანა შეკლული ჰყავდა ერთ გოგოს, ქუჩას უდიერად ექცეოდა, ახალდაგვილზე, ცისმარე დილას უნაგვიანებდა. ერთ დღეს მიადგა ბურჰანა და ეკითხება: გოგოჯან, შენი სახელი „შ“-ზე ხო არ იწყებაო? კი, როგორ მიხვდით, შორენა მქვიაო. შორენა კი არა, შათლახი ხარ, შენი დედა ვატირეო. ასეა ამ სალომეს ამბავიც, ქართულ პოლიტიკურ ქუჩაზე მაგას „შორენა“ ჰქვია...

ჰო, „შორენაა“, მაგის დედაც ვატირე!

ცუდად გაზრდილი ბავშვები რომ არიან, დედა სასურველ რაღაცას თუ არ უყიდის და შუა ქუჩაში გაგორდებიან ფეხების ფხარკალით, ზუსტად ასე იქცევა... გაჭაღარავდა ქალი და მაინც ცეტია, ამას რა ჭკუა უნდა მოჰკითხო, გენეტიკურად მენშევიკური ტაშაღლარია...

ერთი ამბავი გაიხსენეს და თქვენც გაგახსენებთ — საგარეო საქმეთა მინისტრი რომ იყო, მხოლოდ მიხეილ სააკაშვილსა და საკუთარ თავს ცნობდა, სხვა და დანარჩენი არაფერი აინტერესებდაო. მაშინ საქართველოს წევრობა შეუწყდა გაეროში, რადგან საწევრო არ იყო გადახდილი — ეგ შევარდნაძის დროინდელია და იმან გადაიხადოს თავისი ჯიბიდანო, გაასავსავა ხელები, ვირზე შეჯდა და ველარ ჩამოსვეს. გაოგნდა სააკაშვილის მრავალ ღობეზე გადამხტარი მთელი მთავრობა, მაგრამ აშარდა და მაინც არ მოაწერა ხელი. თავის გაგებაში იპრინციპულა ალბათ, მაგრამ საქართველოს რომ დაუშავა, რაში ენაღვლებოდა..

ახლაც ასეა, ცალ ფეხზეც კი არ ჰკიდია საქართველო! ყველა სკამზე შემთხვევით მოხვედრილს, რაში ენაღვლება რაღაც საქართველო, სადაც ასევე შემთხვევით მოხვდა..

ეს იმ კატეგორიის ადამიანია, სადაც ფეხი რომ არ ჩაუვა, კი არ დაოკდება, პირიქით, ჯერ იმ წაღს დახევს და მერე მეწაღეს გაუჩეჩქვავს თავს, წაღი რატომ არ ჩამეტიაო...

რამდენიმე თვის წინათ ინფორმაცია გავრცელდა, ე. წ. რადიკალური ოპოზიციის თავკაცებმა უთხრეს, თუ ჩვენ უმრავლესობით მოვედით, ისევ შენ დაგასახელებთ პრეზიდენტადო. გამოხდა მცირეოდენი ხანი და საჯაროდ განუცხადა, ამაყი ვიქნები თუ ჩემს კანდიდატურას დაასახელებთო. მოკლედ, ერთმანეთის მოძულე ჭუჭყიან-სისხლიანმა ხელებმა ერთმანეთის გადაბანა დაიწყეს, მაგრამ იმ ხელებით პირისახე რომ მოითხვარეს, აინუნშიც არ მოსდით...

დიდი ხანია, „რადიკალური ოპოზიციის“ ნაცვლად „ქვეყნის მავნებლებს“ ვამბობ და ვწერ, რადგან ოპოზიცია განსახვავებული ხედვის სამშობლოს მოყვარული ნაწილია და არა საკუთარი სამშობლოს მტერი. ესენი კი მხოლოდ მტრები არიან, სხვა არაფერი!

თუ მტერი არ ხარ, ახლა მაინც რა გინდა, რა ვეტოს ადებ „საარჩევნო კოდექსში“ განხორციელებულ ცვლილებებს, ეს ხომ მხოლოდ ტექნიკური საკითხია! დადიოდა მერე ფრთაჩამოვარდნილი ბატივით და სათაგურში გამომწყვდეული წრუწუნასავით აცეცებდა თვალებს. სახეზე ეწერა: კი, დავადე ვეტო „საარჩევნო კოდექსში“ განხორციელებულ ცვლილებებს, რომლებითაც ცესკო-ს გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო 2/3-იანი კვორუმი მცირდება სრული შემადგენლობის უმრავლესობამდე, მაგრამ ნეტავ, ეგ რაღას ნიშნავსო?

უპრობლემოდ დასაძლევი ვეტოა, მაგრამ შეფერხებისა და ნერვების მოსაშლელად რაღაც, რაზეც რამენაირად ხელი მიუწვდება, ხომ უნდა გააფუჭოს... თუმცა რა გასაკვირია, ეს ხომ იგივე ქალია, რომელმაც საკუთარი ენა-პირით დადებულ ფიცსაც უღალატა, საკუთარ ამომრჩეველსაც და საკუთარ თავსაც...

სალომე ზურაბიშვილის დამოკიდებულება როგორც სახელმწიფოებრივი საკითხებისადმი, ისე, ცალკეულ შემთხვევებში, იმდენად გამჭვირვალედ დევს ხელისგულზე, მკითხაობა აღარ უნდა. მავანნი დიპლომატიური ენით ამბობენ მისი ამგვარი საქციელის შესახებ, „სამწუხაროაო“, მე კი ვიტყვი, რომ სამწუხარო კი არა, საგანგაშოა და ამოსაძირკვია მისთვის ნაბოძები საპრეზიდენტო სკამიდან! სამწუხარო ის არის, რომ მასავით ვერ ვახტებით კონსტიტუციას და ორბელიანების სასახლის ფანჯრიდან არ ვისვრით იმ მეეზოვე ბურჰანას წვინტლივით...

ფაქტია, ამ ქალმა სული გაყიდა და მყიდველის კარნახით მოქმედებს, ეტყვიან — ადგება, ეტყვიან — დავარდება; ეტყვიან: მოაწერე ხელი! — მოაწერს, აუკრძალავენ ხელმოწერას და ამასაც მოეჭრება ხელები ვენერა მილოსელივით.

გამოუსწორებელი მავნებელი

ჯერ კიდევ 4 აპრილს, ხელისუფლების უმაღლესმა წარმომადგენლებმა წერილით მიმართეს სალომე ზურაბიშვილს ჩვენი ეროვნული ნაკრებისა და სამწვრთნელო შტაბის შემადგენლობის ღირსების ორდენებით დაჯილდოების შესახებ და ყურიც არ შეიბერტყა, გასუსული იყო ჩასვრილი ბავშვივით. როდესაც ნაკრები უკვე გაფრინდა გერმანიაში და ნახა, რომ მის მიმართ უკვე მისი კუდისმჭერელი ფეხბურთის ფანებიც აბოჟირდნენ, აქეთ გაგვაცუცურაკა ვითომ, 23 მაისს მქონდა უკვე განკარგულება გაცემულიო.

ან 23 მაისამდე რას ელოდა, მაგრამ სად ეცალა ვიღაც ფეხბურთელებისთვის, საქმე რომ გამოლევიათ და დროის მოსაკლავად ბურთს დასდევენ გასართობად, დოკუმენტური ფილმი ჰქონდა დასაზუთხი ჯინ შარპის შესახებ. მხოლოდ „აკერმანის ანდერძი“ რომ არ შველით, ჯინ შარპის იდეებიც აქვს შესასწავლი და მისი იდეების გავლენა მსოფლიოს პოპულარულ აჯანყებებზე. მე კიდევ, აბუეტს, ის მაინტერესებს „პოპულარული აჯანყება“ რას ნიშნავს...

როგორც ვხედავთ, საქართველოს რომ უწყვეტი წარმატებები აქვს სხვადასხვა სფეროში, ამას ეს ქალი ან საერთოდ არ აღიქვამს განგებ, ან პირიქით, აღიქვამს და ბოღმისგან სივდება. ქალი „რადიკალური მავნებლების“ დედა გახდა და რატომ უნდა გაუხარდეს საქართველოს წარმატებები, პირიქით, ყველაფერი ცუდად და ძალზე ცუდად უნდა იყოს!

კახა კალაძე: „რამდენი ხანია, პრემიერმა და პარლამენტის თავმჯდომარემ, ჩვენი წარმატებული ფეხბურთელები, მთლიანად გუნდი, წარადგინა ღირსების ორდენზე და ამდენი ხანი ხმა არ ამოუღია არავის. მას შემდეგ, რაც მე გავაკეთე განცხადება და ვთქვი, რომ სამწუხაროა, როდესაც ამდენი ხნის განმავლობაში პრეზიდენტი არ აჯილდოვებს ჩვენს სპორტსმენებს, გამოვიდნენ და თქვეს, ესო, კაცო, ჩვენ მაისის თვეში გამოვეცითო და არ ვსაუბრობდით ამაზეო. წარმოუდგენელია! გამოცემულ განკარგულებაში უამრავი ადამიანია გამოტოვებული. ახლა ეროვნული ნაკრების გადასაწყვეტია, რამდენად უღირთ ასეთი ორდენები, როცა თავიანთი კოლეგები და ადამიანები, ვინც მათთან ერთად იბრძოდა, წვლილი აქვს შეტანილი ამ გამარჯვებაში, ის ადამიანები გამოტოვო.“

მზაკვრობის არსი გესმით?

შესაძლოა, გადაწყვეტილად არ ჰგონია, მაგრამ ცდას რა უდგას წინ, განხეთქილების ვაშლად ჩააგდო ორდენების მიღება-არმიღების საკითხი.

მოკლედ, ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, ერის აბსოლუტურად ჯანსაღი უდიდესი უმრავლესობა, ამჯერად პარტიული სიმპათიების გარეშე, ვქომაგობთ საქართველოს ღირსების ეროვნულ ნაკრებს, ეს ჩვენის არარაობა კი, თამაშგარე მდგომარეობაშია დარჩენილი და ვერც ხვდება.

სიმართლე რომ გითხრათ, მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ, თორემ სრულებით არ მიმაჩნია, რომ ფეხბურთელებმა სალომე ზურაბიშვილის ღირსების ორდენები უნდა აიღონ და გეტყვით რატომაც — იქ, სადაც ეს ქალი ღირსების მედლებს ურიგებს ბაია პატარიებს, მისი ნაბოძები ღირსების ორდენი რატომ უნდა უნდოდეს თავმოყვარე ადამიანს?

ამ ქალისთვის ღირსება უცხო ცნებაა და არც საქართველო არ არის მისი სამშობლო, სამავნებლოდ დროებით არის მოვლინებული სამარცხვინო რეზიდენტ-პრეზიდენტად.

ამონარიდი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადებიდან: **„პრეზიდენტის განკარგულების მიხედვით, ღირსების ორდენზე პრემიერ-მინისტრის მიერ წარდგენილი თავდაპირველი სია, სადაც ჩვენი ეროვნული გუნდის სრული შემადგენლობა, სამწრთვნელო შტაბი, ადმინისტრაციული პერსონალი და ფეხბურთის ფედერაციის მენეჯმენტი იყო შეყვანილი, გაუგებარი მიზეზით, არასრული შემადგენლობით იყო გამოქვეყნებული.**

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს სწორედ ის ადამიანები წარმოადგენენ, რომლებიც მოედანზე თუ მოედნის გარეთ წლების განმავლობაში თავდაუზოგავად მუშაობდნენ ამ მიზნის მისაღწევად. გუნდის წარმომადგენლების დამსახურების დანაწევრება გუნდურობის პრინციპს არღვევს. ამიტომ, სექტემბერში პრეზიდენტის მიერ დაგეგმილ დაჯილდოების ღონისძიებაში, ჩვენი გუნდი მხოლოდ იმ შემადგენლობით მიიღებს მონაწილეობას, რომლის თითოეული წევრიც, წარდგენილ სიაში, ამ წარმატებაში საკუთარი წვლილისთვის იყო შეყვანილი“.

ასე რომ, ღირსების ღირსეულო ბიჭებო, გული არ დაგწყდეთ, რეზიდენტ პრეზიდენტს ხელიდან ძალისძალად გამოღლეტილ ამოკენკილ ორდენებზე თუ ხელს აუკრავთ. თქვენ მას ღირსეულებად არც ჩაუთვლიხართ. ყველა თქვენმა გულშემატკივარმა, ჩინიანმა თუ უჩინომ ერთად ვიძალადეთ და ავართვით, თუმცა, მაინც ვერ გაძლო მავნებლობის გარეშე. ყველანი თუ არ ჩაგთვალათ ღირსების ორდენის ღირსებად, მაშასადამე, თქვენ ღირსეული ქართველები და საქართველოს ღირსეული მოქალაქეები ხართ!

საქართველოს ქალი პრეზიდენტი საქართველოს დედად უნდა ქცეულიყო და საქართველოს ავ დედინაცვლად დაგვიჯდა — ასეთი დედინაცვალი? თვალში ნაცარი!

ზურა ოშხერელი

საქართველოს პრემიერი ახალი ეროვნული პოლიტიკისკენ მოგვიწოდებს

ბატონ ირაკლი კობახიძეს, პასუხად მისი მოწოდებისა

ძვირფასო ბატონო ირაკლი!

ერთდროულად მომიწია, გავცნობოდი თქვენს მოწოდებას, გამოქვეყნებულს ა. წ. 7 ივნისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და სულ ერთი კვირის წინარედ თქვენი მოწოდებისა, გაზეთ „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებულ ჟურნალისტ ნონა ქარქაშაძის საუბრის ჩანაწერს პოლიტოლოგ ლუკა ეხვაიასთან, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, სათაურით: „ერთადერთი სწორი გზა მრავალვექტორიანი ლავირების პოლიტიკაა!“

გამახარა იმ შთაბეჭდილებამ, რომ საქართველოში პოლიტიკური აზროვნება აშკარად იცვლება, და, რაც მთავარია, ვითარდება.

უპირველეს ყოვლისა, მიმაჩნია, რომ თქვენი მოწოდება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის ის, რაც აქამდე არ ხდებოდა. თქვენ ბრძანებთ: „კიდევ ერთხელ მინდა გამოვხატო ჩემი მზაობა: დავსხდეთ საჯარო დისკუსიის ფორმატში. ნებისმიერ სუბიექტს მოვუწოდებ: იქნებიან ეს დიპლომატები, უცხოელი პოლიტიკოსები, თუ ქვეყნის შიგნითა პოლიტიკოსები...“

ბატონო ირაკლი! თქვენი რაინდული მოწოდება გამჭვირვალების შესახებ მიღებულ სახელმწიფო კანონთან კონტექსტშია წარმოდგენილი და მიგაჩნიათ, რომ სწორედ ეს გამჭვირვალება შეიტანს უმნიშვნელოვანეს წვლილს ჩვენი სუვერენიტეტის განმტკიცებაში. აქედან გამომდინარე კი, თქვენ ამ კანონს უწოდებთ „სუვერენიტეტის კონსტიტუციას“.

ჟურნალისტ ნონა ქარქაშაძის საუბარი პოლიტოლოგ ლუკა ეხვაიაიასთან, შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად თქვენი პიროვნული პოზიციების კონტექსტშია წარმოდგენილი. ჯერ ერთი ჟურნალისტი საჭიროდ მიიჩნევს შეგვატყობინოს, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ მოხსენებაში, თქვენ საქართველოს პრეზიდენტი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი დაადანაშაულეთ სახელმწიფოს ღალატში! მე სიამოვნებით შემოგიერთდებით განსხვავებული ბრალეულობით: ქალბატონი სალომე, თავისი პოლიტიკური აზროვნებით ბზეჟინსკისა და სოროსის მოწაფე და მეგობარი, ევროპის სიონისტურ სულისკვეთებაში ჩამოყალიბებული ერის უარმყოფელი, და, აქედან გამომდინარე, ერის მოღალატე პოლიტიკოსია, რასაც ის არც ფარავს, რადგან „დინების თანხვედრილ“ მოაზროვნედ ყოფნა, ანუ ზვიად გამსახურდიას საწინააღმდეგოდ და ედუარდ შევარდნაძისეული მსოფლიოს ე. წ. „ახალი წესრიგის“ წარმომადგენლად ყოფნა ეამაყება კიდეც. დღევანდელი საქართველო, ეროვნული თვითმყოფადობის ახალ ხარისხში აყვანისათვის გამწესებული და შევარდნაძის მიერ ერის ლიკვიდაციის თეორიით მოტყუებული, მსოფლმხედველობრივად საბედისწერო არჩევანის წინაშე დგას: ერის უარყოფა სახელმწიფოებრივი თვითლიკვიდაციის, ანუ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიად დამკვიდრების გზით, ეს არის საქართველოს ისტორიის „მკვდარი თევზების ეპოქა“, ანუ სახელმწიფოებრივად დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გაძევებისა და მსოფლიოს ე. წ. „ახალი წესრიგის“ ერთ-ერთი არქიტექტორის, ედუარდ შევარდნაძის გზით დამკვიდრებული ბუშებისა და სოროსების იდეოლოგიით, ანუ ერების ლიკვიდაციის იდეოლოგიით მართული საქართველო, რომელსაც „სამოქალაქო სახოგადოებად“ გარდაქმნილი საქართველო ჰქვია, ანუ ზვიად გამსახურდიას ტერმინოლოგიით - „მკვდარი თევზების ეპოქის საქართველო“, რომლითაც ჩვენ ვცხოვრობთ უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში. ეს არის ფუნდამენტური საკითხი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის განსაზღვრისათვის!

საქართველოს სახელმწიფოს ფაქტობრივი ხელისუფლება მძიმედ, მაგრამ მაინც მიდის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის აუცილებლობასთან. ვინა ვართ ჩვენ, ქართველი ერი, დღეს, ჩვენი სახელმწიფოებრივი ვინაობით?!

მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ დღევანდელ პოლიტიკურ პოზიციებს, წარმოდგენილს ჩემი წერილით: „საქართველოს გამოყვანისათვის „მკვდარი თევზების ეპოქიდან“ ეროვნული თვითმყოფადობის ეპოქაში“, გამოქვეყნებულს ჰელსინკის კავშირის ტრადიციულ ჟურნალ „მატიანეში“. რომელიც ზვიად გამსახურდიას დაბადების 85 წლისთავს ეძღვნება.

ასევე, ვფიქრობ, თქვენთვის საინტერესო წინადადებებით მიმართავს საქართველოს დღევანდელ სახელმწიფოს პოლიტოლოგი ლუკა ეხვაია „საერთო გაზეთის“ მეშვეობით: „თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ძალთა ბალანსი იცვლება და ამ გარდამავალ პერიოდში ახალი კონფლიქტური კერები და კრიზისები იჩენს თავს, ერთადერთი გამოსავალი, პრაგმატული, რაციონალური და ეროვნულ ინტერესებზე დამყარებული საგარეო პოლიტიკის გატარებაა...

სწორედ ამ ამოცანისთვის ღირსეულად თავის გასართმევად არის საჭირო კვალიფიციური კადრების მოძიება და ახალი კვლევითი ცენტრების დაკომპლექტება, რომლებიც მთავრობას კონსულტაციებს მოუმზადებენ სხვადასხვა გეოპოლიტიკურ საკითხებზე. ამ რთულ პერიოდში პოლიტიკურმა კლასმა და ინტელექტუალებმა და მეცნიერებმა ერთად უნდა იმუშაონ ფუნქციური საგარეო პოლიტიკის დოქტრინის შემუშავებისა და საერთაშორისო დონეზე პარტნიორთა ქსელის შექმნაზე“ („საერთო გაზეთი“, 29 მაისი, 2024 წ., გვ. 3).

ჩვენ, სრულიად საქართველოს სრულიად საკაცობრიო თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობა: „მესიის მახვილი - ერის უფლება და ღირსება“ დაფუძნებული 1999 წელს, ვაყენებთ საკითხებს: დამთავრდეს პოლარიზაცია დღევანდელ ფაქტობრივ ხელისუფლებასა და ზვიად გამსახურდიას დანატოვარ პოლიტიკურ და სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის, და დამთავრდეს კოჰაბიტაცია ფაქტობრივ ხელისუფლებასა და ე. წ. ოპოზიციას, ანუ ნაციონალურ ხელლისუფლებას შორის. თქვენი მოწოდება აღსრულებაა ჩემი თხოვნისა: მიმეღწია საპარლამენტო განხილვისთვის ჩემი ღია წერილისა ამერიკის პრეზიდენტის, ბატონი დონალდ ტრამპისადმი. წერილი განმარტებაა მსოფლიოს ე. წ. „ახალი წესრიგის“ სიღრმისეული რაობისა. თქვენს ყურადღებას და მხარდაჭერას აუცილებლობით საჭიროებს ჩემს მიერ გამოქვეყნებული პასუხები ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ დასმულ ისტორიულ და უმნიშვნელოვანეს კითხვაზე: “ჩვენ გვჭირდება სერიოზული დაფიქრება და ანალიზი უახლოეს ისტორიაზე, რომელიც ზვიად გამსახურდიას გაძევებით იწყება და აკადემიურ მეცნიერული ანალიზი, განმარტება და შეფასება საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ოფიციალური ოპოზიციის მეთაურის, მიხეილ სააკაშვილის ქართველი ხალხისადმი მიმართვისა, 2022 წლის გიორგობის მილოცვისა, რომლითაც მან აღიარა, როგორც საკუთარი პოლიტიკური დამსახურება, რომ მან აქცია ქართველი ერი ერად. განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობაა საჭირო იმაზეც, თუ რატომ არის მთელი მსოფლიო დღეს განსაკუთრებული ინტერესით საქართველოში განვითარებული პოლიტიკური პროცესების მიმართ.

გვიგულეთ თქვენ გვერდით და გვომსახურეთ.

უღრმესი პატივისცემით და ყველა სიკეთის სურვილით

დენიზა სუმბაძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
16 ივნისი, 2024 წელი, თბილისი
ავტორის სტილი დაცულია

სენაკის ცენტრში „ბოლოკას“ მონუმენტი დაიდგა

საზოგადოებას ახსოვს რეზო ჩხეიძის მშვენიერი ფილმი „ღიმილის ბიჭები“ (სცენარის ავტორი სულიკო ჟღენტი, კომპოზიტორი სულხან ცინცაძე).

ფილმში მოთხრობილია სკოლის მერხიდან ახლად აფრენილი თბილისელი ბიჭების მეორე მსოფლიო ომში პირველივე დღეებში წასვლა. შეუსრულებელი დარჩა ღიმილიანი ახალგაზრდების ოცნებები და სურვილები. მათ მეომრის ფარაჯა ჩაიცვეს და გუშინდელი ღიმილიანი ბიჭები ომის ქარცეცხლში აღმოჩნდნენ და ფაშიზმის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლები გახდნენ.

ისინი პირისპირ აღმოჩნდნე სისხლის, ნგრევისა და სასტიკი ძალადობის წინაშე. რაც მათგან განსაკუთრებულ ფსიქიკურ სიძლიერეს, თავდადებასა და მხნეობას მოითხოვს. სამწუხაროდ, სიკვდილის საშინელების წინაშე ზოგჯერ თავდადებაც საკმარისი არ აღმოჩნდება ხოლმე.

ფილმში დასამახსოვრებელ როლებს ასრულებენ ლეილა ყიფიანი (ნათელა), თამაზ თოლორაია (ლევანი), ნუგზარ ბაგრატიონი („ჭკუისკოლოფა“), გოჩა ლომია („ბოლოკა“) და სხვები.

დიდი თეატრალური წარსულის მქონე სენაკში დაიბადა გოჩა ლომია, რომელმაც შექმნა „ბოლოკას“ საინტერესო და დასამახსოვრებელი სახე. მან, გარდა „ღიმილის ბიჭებისა“, მონაწილეობა მიიღო ფილმებში „ნერგები“ და „მოხეტიალე რაინდები“.

გოჩა ლომია მოზარდობიდან გამოირჩეოდა ნიჭიერებითა და არტისტული მონაცემებით. „როგორც თავად იხსენებდა, 15 წლის იყო, როდესაც „ღიმილის ბიჭებს“ შორის შემთხვევით აღმოჩნდა: „... **მიმიყვანეს პიონერთა სახლში. თუ განათლების დარგში ვინმე რამეს წამოადგენდა რაიონის მასშტაბით, ყველა იქ დამხვდა. კინოში გადაღება გინდაო? - მკითხეს. ეგ ვის არ უნდა-მეთქი, ვუპასუხე. აბა, ლექსი წაგვიკითხეო. ლექსს ვერა და თუ გინდათ, ანეკდოტს მოგიყვებით-მეთქი, გამოვუცხადე და მოვხსენი გუდას პირი. ჯერ იცინეს, მერე სიცილისგან იტირეს... იმ დღიდან ორი კვირის თავზე, თბილისში ჩამოვედი, სინჯებზე. კახა ქორიძესთან ერთად ჩამაწერინეს რამდენიმე სცენა და მალევე მახარეს, როლზე დაგამტკიცესო. დაჯერება მიჭირდა, სიხარულისგან დავფრინავდი**“.

ადამიანის სიცოცხლე მარადიული არ არის, გოჩა ლომია 69 წლის ასაკში მშობლიურ სენაკში გარდაიცვალა. იგი პატივით გააცილეს სამუდამო სასუფეველში...

საზოგადოებას დარჩა მოგონება პიროვნებაზე, რომელმაც კინოსა და ცხოვრებაში კეთილი და ნათელი კვალი დატოვა. მისი ნიჭის თაყვანისმცემელთა ინიციატივით, სენაკის მერიამ (ვახტანგ გადელია) ქალაქის ცენტრში, ახალშექმნილ სკვერში დაიდგა „ბოლოკას“ მონუმენტი.

გაღიმებული „ბოლოკა“ ქუდით, ფეხი-ფეხზე გადადებული, სკვერის აღმოსავლეთ კუთხეში ყოველდღიურად „მასპინძლობს“ მნახველებს, მათთან ფოტოებს იღებს, როგორც ცოცხალი და სკამზე ამაყად მჯდომი ბედნიერ სტუმრებს ელოდება.

ეს გახლავთ მადლიერების გამოხატვა, რომელიც გვეხმარება წარსულთან კავშირის დამყარებაში, რომ ჩვენს წარმოსახვაში გაცოცხლდეს ეპიზოდები, რომლებიც თავისი არსით მნიშვნელოვანია.

მადლიერებას ჯადოსნური მიზიდულობის ძალა აქვს, რომელსაც ადამიანებში პოზიტიური ემოციების გამოწვევა შეუძლია. ცხოვრებაში პატარა სასწაულები ხდება — ცაზე ციცინათელასავით გამოანათებს, მაგრამ ასევე მოულოდნელად ქრება, ფილმში „ღიმილიანი ბიჭები“ გოჩა ლომიას მიერ შექმნილი „ბოლოკას“ სახე მარად დარჩება ფაშიზმის წინააღმდეგ გულანთებული მებრძოლი ახალგაზრდის მარადიულ სიმბოლოდ.

მონუმენტი (ავტორი ირაკლი ჟვანია) სამეგრელოს უმშვენიერესი რაიონისთვის, სენაკისთვის ძვირფასი არქიტექტურული შენაძენია.

ბორის დავითაია
სენაკის საპატიო მოქალაქე

ჰააგის სასამართლოს ისტორია, კომპეტენცია და სტრუქტურა

(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N21)

საგნობრივი იურისდიქცია

სასამართლოს შეუძლია განახორციელოს იურისდიქცია მხოლოდ მაშინ, როცა ჩადენილი დანაშაული გათვალისწინებულია წესდებით. წესდება ოთხი ტიპის დანაშაულებს იცნობს:

გენოციდი

კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულები, ომის დანაშაულები, აგრესიის დანაშაულები (სასამართლო ამ ტიპის დანაშაულზე ჯერ ვერ ახორციელებს იურისდიქციას). გენოციდს წესდება განმარტავს, როგორც ქვემოთ ჩამოთვლილ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ჩადენილია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით: ჯგუფის წევრთა მკვლელობა, ჯგუფის წევრთა დასახიჩრება, ან მძიმე ფსიქიკური აშლილობის გამოწვევა, მძიმე საარსებო პირობების შექმნა, რაც მათ ფიზიკურ განადგურებას იწვევს, ბავშვების იძულებით გატაცება, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშული.

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს წესდება განმარტავს, ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას, რომელიც ჩადენილია სამოქალაქო მოსახლეობაზე სისტემური და ფართომასშტაბიანი ფორმის თავდასხმის ფარგლებში თავდასხმის გაცნობიერებით: მკვლელობა, გაჟლეტა, დეპორტაცია, დაპატიმრება, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული მინიმალური გარანტიების დარღვევით წამება, გაუპატიურება, სექსუალური მონობა, იძულებითი პროსტიტუცია, პირთა იძულებითი გაუჩინარება, აპართეიდი, სხვა არაჰუმანური აქტები.

ომის დანაშაულები

ომის დანაშაულის განმარტება წესდების მიხედვით, დამოკიდებულია იმაზე, ის საერთაშორისოა თუ არასაერთაშორისო. წესდება გვაძლევს საერთაშორისო კონფლიქტის შემთხვევაში ჩადენილ 11 დანაშაულს, რომლებიც ჟენევის კონვენციის დებულებათა დარღვევაა: განზრახ მკვლელობა, წამება, არაჰუმანური მოპყრობა, ბიოლოგიური ექსპერიმენტები, განზრახ დიდი ტანჯვის გამოწვევა, საკუთრების განადგურება, მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მოქალაქეთა იძულება, იმსახურონ სამხედრო ძალებში, სამართლიანი სასამართლოს უარყოფა, უკანონო დეპორტაცია, უკანონო ტყვეობა, ტყვეების აყვანა. წესდება გვაძლევს არასაერთაშორისო კონფლიქტის დროს მომხდარ 7 დანაშაულს, რომლებიც, ამავე დროს, არის ჟენევის კონვეციის დარღვევა და სხვ.

აგრესიის დანაშაული

აგრესიის დანაშაული, მართალია, წესდებაში მოხსენიებულია, თუმცა სასამართლო მასზე ჯერ ვერ ახორციელებს იურისდიქციას, რადგან სახელმწიფოთა საკმარის რაოდენობას 2010 წელს მიღებული შესწორებები რატიფიცირებული ჯერ არ აქვს. აგრესია წესდებაში განიმარტება ისე, როგორც გაერო-ს წესდებაში და გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში აგრესიის განსაზღვრების შესახებ. ჩამოთვლილი ქმედებებია: სამხედრო ძალების სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეყვანა და სხვ.

იურისდიქცია დროში

სასამართლო ახორციელებს იმ დანაშაულებზე იურისდიქციას, რომლებიც ჩადენილი იქნა 2002 წლის 1 ივლისის, ანუ წესდების ძალაში შესვლის შემდგომ. სახელმწიფოს მიმართ სასამართლო იურისდიქციას ახორციელებს ამ სახელმწიფოს მიერ წესდების რატიფიკაციამდე ჩადენილ დანაშაულებზე, თუ სახელმწიფო სხვა რამეს არ განაცხადებს.

დასაშვებობა

სასამართლო იურისდიქციას ახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს ორგანოებს არ სურთ, ან არ შეუძლიათ საქმის გამოძიება („კომპლემენტარობის პრინციპი“).

პროცედურა და პროცესის მონაწილეთა უფლებები

სასამართლოში საქმე განიხილება როგორც კონტინენტური ევროპის სამართლის, ასევე ანგლო-ამერიკული სამართალის წესების მიხედვით. წესდების თანახმად, ბრალდებულს გარანტირებული აქვს მთელი რიგი უფლებები. მაგ., უდანაშაულობის პრეზუმფცია, იყოს ინფორმირებული ბრალდების შესახებ, უფლება, ჰყავდეს დამცველი, თუ არ აქვს დამცველისთვის მომსახურეობის თანხის გადახდის საშუალება, მიიღოს ასეთი მომსახურება უფასოდ, უფლება სწრაფი მართლმსაჯულებისა, უფლება, დაიკითხონ ბრალდების მოწმეები. წესდება ამტკიცებს მხარეთა თანასწორობის პრინციპს. დაზარალებულებს აქვთ უფლება, მიიღონ მონაწილეობა საქმეში და წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები, მიიღონ რეპარაციები. გამოძიების დაწყების შემდეგ ნებისმიერ დროს წინასასამართლო პალატა გასცემს პირის დაკავების ორდერს პროკურორის თხოვნის საფუძველზე, ან გასცემს გამოცხადების ბრძანებას დაკავების ალტერნატივის სახით, თუკი არსებობს ვარაუდი, რომ დასაკავებელმა პირმა ჩაიდინა დანაშაული. წევრი სახელმწიფო მოვალეა, პირი დააკავოს. პირის სამართლოში გადაცემის შემდეგ იმართება ბრალდების დადასტურების სხდომა წინასასამართლო პალატაში, სადაც ბრალდებული უფლებამოსილია, არ აღიაროს ბრალი და ეჭვი შეიტანოს მტკიცებულებებში. ბრალდების დადასტურების შემდეგ იწყება საქმის არსებითი განხილვა სასამართლო პალატის მიერ. ბრალდებული უნდა დაესწროს განხილვას. განხილვა მიმდინარეობს ღიად, თუ სასამართლომ წესდებით გათვალისწინებულ შემთვევებში სხვა რამ არ განსაზღვრა. სასამართლოს უპატივცემულობის გამო სასამართლოს შეუძლია, პირს შეუფარდოს სანქციები (ჯარიმა, გაძევება დარბაზიდან). განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო პალატაში პროკურორის მიერ შემდეგი საფუძვლების გამო.

სასჯელი

გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დანიშნოს შემდეგი სასჯელები: თავისუფლების აღკვეთა 30 წლამდე, უვადო თავისუფლების აღკვეთა. დამატებითი სასჯელები, როგორიცაა ჯარიმა, დანაშაულის შედეგად მიღებული ქონების ჩამორთმევა. მსჯავრდებული სასჯელს მოიხდის იმ წევრ სახელმწიფოში, რომელსაც ამის სურვილი აქვს. თუ ამის სურვილი არცერთ სახელმწიფოს არ აქვს, მაშინ მსჯავრდებული სასჯელს მოიხდის მასპინძელ სახელმწიფოში (ნიდერლანდები).

ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და საქართველო

საქართველოს და სასამართლოს ურთიერთობას აწესრიგებს საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობის შესახებ“. სასამართლოსთან ურთიერთობებზე პასუხისმგებელია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 2015 წელს სასამართლომ დაიწყო გამოძიება 2008 წლის ომის დროს მომხდარ ფაქტებზე.

2022 წლის 10 მარტს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა კარიმ ხანმა საქართველოს საქმეზე პირველი დაპატიმრების ორდერები წარუდგინა სასამართლოს. პროკურორმა სულ სამი პირის დაკავება მოითხოვა. სამივენი სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან: გენერალ-ლეიტენანტი მიხაილ მინძაევი, რომელიც 2005 წელს დაინიშნა დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრად და თანამდებობაზე იყო 2008 წლის 31 ოქტომბრამდე; გამლეტ გუჩმაზოვი, დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების დაწესებულების უფროსი გამოძიებით მოცულ პერიოდში; დავიდ სანაკოევი, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა საკითხებში გამოძიებით მოცულ პერიოდში.

პროკურორი მათ ბრალს სდებს ადამიანების უკანონო დაკავებაში, წამებაში, არაადამიანურ მოპყრობაში, ადამიანური ღირსების შელახვაში, მძევლად აყვანასა და უკანონო გადაყვანაში. კარიმ ხანმა ასევე განაცხადა, რომ გამოძიებამ აგრეთვე გამოავლინა რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების გენერალ-მაიორისა და რუსეთის საჰაერო-სადესანტო ძალების სარდლის მოადგილის - ვიაჩესლავ ბორისოვის სავარაუდო როლი კონკრეტულ დანაშაულში (კერძოდ, მან, სავარაუდოდ, განზრახ შეუწყო ხელი დასახელებული დანაშაულების ჩადენას), თუმცა ბორისოვის დაკავებაზე ორდერი პროკურორს არ წარუდგენია გენერლის გარდაცვალების გამო. 2022 წლის 24 ივნისს პირველმა წინასასამართლო პალატამ სხდომის თავმჯდომარის, მოსამართლე პიტერ კოვაჩის, მოსამართლე რეინე ადელაიდე სოფი ალაპინი-განსუს და მოსამართლე მარია დელ სოკორო ფლორეს ლიერას შემადგენლობით, პროკურორის 2022 წლის 10 მარტის შუამდგომლობის საფუძველზე დაასკვნა, რომ არსებობს გონივრული საფუძველი იმისა, რომ თითოეულს სამი ეჭვმიტანილიდან ეკისრება პასუხისმგებლობა ომის დანაშაულების ჩადენაში და სამი პირის - მინძაევის, გუჩმაზოვისა და სანაკოევის დაკავების ორდერი გასცა.

ლევან ჭიღლაძე

გნებავთ ნებაყოფლობითი სიკვდილი?

ვიცით კი, რითი ვიკვებებით? რატომ ძვირდება პროდუქცია დახლზე ყოველწლიურად, ვიცით? როდემდე გაძვირდება, გვაინტერესებს? ამ მხრივ როდის გვეშველება? რესპონდენტმა მითხრა, რომ პრობლემა არ არის მისი ვინაობის მითითება. როგორც ჩანს, მე ბევრად ფრთხილი ვარ. არ მინდა, ჩემთვის ძვირფასი ადამიანი შარში გავხვიო...

— ირანში ვიყავი მიწვეული. ირანს სად აქვს იმის მიწა, რომ პომიდორი მოიყვანოს, ტონობით გაყიდოს და მისი იმპორტი აწარმოოს, არადა, დიასახლისები ირანული წარმოების ტომატპასტას ამჯობინებენ, როგორც ხასხასას და არომატულს. ვხედავ, ერთ პატარა მონაკვეთზეა დარგული პამიდორი, გაყვანილია სარწყავი სისტემა, ყველაფერი მოწესრიგებულია, ერთ ძირს 9-10 კილო მაინც ესხა, თუ მეტი არა, მაგრამ მწვანე იყო ყველაფერი. გამიკვირდა, მყიდველი რომ მოვიდეს, რას მიჰყიდი, ეს ხომ კაი ხანს არ დამწიფდება-მეთქი. მე შეკვეთას მივიღებ, 3 ტონა უნდა თუ 10 ტონა, მნიშვნელობა არ აქვს, ჩავასხამ ამ სარწყავ სისტემაში ქიმიკატებს და ზეგ ყველა წითელი იქნებაო, — ასეა ყველაფერი, რაც საქართველოში გარედან შემოდის.

გენმოდიფიცირებული საკვები ბაზარზე პირველად 1991 წელს



გამოჩნდა, აფრიკის ქვეყნების, კულტურულად — დასაპურებლად, სინამდვილეში — გადასაშენებლად, მაგრამ ახლა იქ კი არ აგზავნიან, ჩვენ გვიგზავნიან, ჩვენც ხომ ოფიციალურად უკვე ისეთივე განვითარებადი ქვეყანა ვართ.

როგორ მიიღება, ვთქვათ, გვალვაგამძლე სიმინდი. იღებენ მორიელის და შხამიანი გველის დნმ-ს, ძალიან ცოტა რაოდენობაა საჭირო, შემდეგ აუზში ამზადებენ განსაზღვრული რაოდენობის წყალთან მის ნაზავს და სიმინდის თესლს დაამუშავებენ ამ სითხეში. ამ პროცედურის შემდეგ სიმინდის თესლი იცვლის საკუთარ დნმ-ს და ხდება გვალვაგამძლე. გაიაზრეთ, მოსავალი კი ძალიან კარგი მოდის, მაგრამ ამ სიმინდს და მისგან დამზადებულ საკვებს რომ ჭამს ადამიანი, მის დნმ-ს რა მოსდის, უცვლელი რჩება? ძალიან მარტივად ავხსნი — ფაქტობრივად, ადამიანი იმ სიმინდის ფქვილისგან დამზადებულ ღომს რომ შეჭამს, ამ დროს მოხარშულ მორიელს მიირთმევს თუ გველს, იმის თქმაც არ შეუძლია. ადამიანის ორგანიზმში, ის ცენტრი, რომელიც მის დნმ-ს განაგებს, ირევა, რაც, თავისთავად, იმუნური სისტემის მკვეთრ დაქვეითებას იწვევს, ხოლო ფსიქონერვული თვალსაზრისით, რა სახით გამოვლინდება რეალურ ცხოვრებაში, მოდი და იმკითხავე...

გენმოდიფიცირებული პროდუქტის მწარმოებლებს უპრობლემოდ შეუძლიათ, მაგალითად, პამიდვრის შვიდ გრადუსზე მოყვანა. აიღებენ სელაპის ან თეთრი დათვის დნმ-ს, დაამუშავებენ პამიდვრის თესლს და მოიწევენ უხვ მოსავალს, — ეს ერთი და, მეორე, წაიღე, სადაც გინდა, შესახედად კი გამოიყურება კოპწიად, ხინჯს ვერ უპოვი, არც იოლად იბეჟება, არც ლპება, არის ქვასავით.

გენმოდიფიცირებული კარტოფილი რომ გამოიყვანეს, იმას კოლორადოს ხოჭო არ ჭამს, მაგრამ განა იმიტომ, რომ სუნით ან რამით აფრთხობს, არა, შეჭამა და გამრავლება შეამცირა. კოლორადოს ერთ ხოჭოს 12 მლნ კვერცხის დაყრა შეუძლია ერთ ჯერზე, მაგრამ ის კარტოფილი რომ შეჭამა, 1 მლნ-ზე ჩამოვიდა. მწერს ტვინი არ აქვს, არც ინსტინქტი, მაგრამ ყველა სულიერ არსებას ხომ აქვს თავდაცვისა და საფრთხის აცილების რაღაც, ადამიანისთვის აუხსნელი მექანიზმი? ამიტომ „მიხვდა“ ხოჭო, გადამაშენებენ ესენიო და აღარ მიეკარა კარტოფილს, — ხოჭო მიხვდა და ადამიანი ვერ ხვდება... ახლა კოლორადოს ხოჭო შეიარაღების სტადიაშია და ცოტა ხანში რომ მოგვევლინება, იმ გენმოდიფიცირებულ კარტოფილსაც შეჭამს და თუ მოეგუნებება, სხვა რამეებსაც დააყოლებს ზედ...

ერთ ჰექტარზე 70-100 ტონა მოდის სიმინდი, გლეხს 15 ტონა ვერ მოყავს; ის სიმინდი 10-12 ტაროს იკეთებს, ამისი — 3-4-ს, მაგრამ არ იცის გლეხმა, რა არის გენმოდიფიცირებული, დნმ-ი და ისეთი სიმინდი უნდა მასაც, 100 ტონა ურჩევნია 15-ს, ჩაუჯდება მერე და თვითონაც კარგად მიირთმევს, არც იცის, რას ჭამს, სიმინდი ჰგონია...

გლეხი კი არა, ხომ იცით, „ბარკლები,“ — ჯერ ხომ შემადგენლობითაა უკვე დაბინძურებული, ახლა დაბალზამებულიცაა, მაგრამ მაინც იყიდით და შეჭამთ...

ხომ არის ჩვენი ფერმები „მუხრანი,“ „კოდა,“ „პატარძეული“ და ა. შ. კარგი ფერმებია ძალიან, შემოაქვთ გაკეთებული საკვები, ხომ? თუ ვერ შემოიტანეს საკვების დანამატები, მანქანის ზეთში არის „სიმაზინი,“ კიბოს იწვევს, მაგრამ ქათამს ბარკლებს უზრდის და აჭმევენ, ერთ ტონაში რომ ერთი ლიტრი შეურიო, რას შეატყობს ქათამი, დაიწუნებს? ის ქათმები კვერცხსაც ხომ დებენ, ე. ი. არც კვერცხია ჯანმრთელი...

— არადა, ხორცი ისეთი საკვებია, ადამიანის ორგანიზმი, თუ ვეგეტარიანელი არა არის, ითხოვს...

— ხორცი საშენი მასალაა. სულ ოხრახუში რომ ჭამო, იქცევა ბალახი ხორცად, მაგრამ 40 რეაქცია უნდა მოხდეს ორგანიზმში, წვალობს ორგანიზმი, იღლება, ძაბუნდება. ხორცი რომ ჭამო — 2-3 რეაქცია ხდება და ხორცს ისხამ. ინდოეთში შექმნეს დანადგარი, ჩაყრიან ბალახს და გამოდის რძე, მაგრამ ძროხა რომ ჭამს ბალახს, მისი ორგანოები, ღვიძლი იქნება თუ თირკმელი, წმენდენ მავნე ნივთიერებებისგან, სხვა გზით გამოიყოფა და გამოდის სასარგებლო პროდუქტი, რძე, ამას ის დანადგარი ვერ აკეთებს...

— იმ ძეხვეულზე რას იტყვით, ბაზრობებზე კი არა, კეთილმოწყობილ მაღაზიებში რომ იყიდება და ძვირადღირებული რეკლამები აქვთ?

— რაც უნდა იყოს, — ის არ არის! ეს არის ქათმის ჩონჩხისგან მიღებული მასალა, რომელიც 160 ატმოსფეროს ქვეშ არის დაწნეხილი. ქათამს შემოაცლიან მთელ ხორცს, მკერდის ნაწილს, სადაც სისხლძარღვები თითქმის არ გადის და ბევრად სუფთაა, თავისთვის იტოვებენ, ბარკლებს, რომელიც ყველანაირად დაბინძურებულია, ჩვენ გვიგზავნიან. ქათმის ძვლებს პრესენ, მთლიანად გამოდის ძვლის ტვინი, ფუთავენ და ყიდიან, 50 ცენტი ღირს, არადა, ძვლის ტვინი ინახავს რადიაციას. 600 რენტგენია ქათმის გამძლეობა (ნაძვიც 600 რენტგენს უძლებს) რადიაციის მიმართ, მაშინ, როცა ადამიანი რომ 35-40 რენტგენით დასხივდება, თუ სერიოზულად არ უმკურნალე, მოკვდება. რადიაციული ზონიდან თუ არ არის ქათმის პროდუქცია შემოტანილი, რა უშავსო, იტყვის ვიღაც. საქმე ის არის, რომ ქათმის საკვებში ურევენ მცირე დოზით რადიაციულ ნივთიერებებს, ასხივებენ, რომ ზომაში გაიზარდოს...

— ბატის ღვიძლის პაშტეტზე მითხრეს, განგებ აავადებენ ბატებს ციროზით, რომ ღვიძლი საგრძნობლად გაეზარდოთ და მისგან პაშტეტი აწარმოონო...

— არა, ციროზს არ მართებენ, ისეთ ანტიბიოტიკებს აძლევენ, სტიმულიატორებს, რომ ღვიძლი გადაუგვარდეს და გაეზარდოს. ავტომანქანის ზეთს რომ გამოცვლიან, იმას ურევენ ცოტას ქათმის საკვებში და ასუქებს ის, ხორცს ასხამს, მაგრამ, ჯერ ახალი შეიცავს კარცინოგენურ ნივთიერებას და დამწვარი მით უმეტეს...

სააკაშვილს ფეხებზე ეკიდა, მთელი ქართველობა ერთ დღეს ამოწყდებოდა თუ ორმოცი წლის მერე, თვითონ ხომ არ ჭამდა გენმოდიფიცირებულს, თორემ, რატომ შემოჰქონდა მოსახლეობის ამოსაწყვეტი საკვები პროდუქტი? ასე სახარბიელო რომ ყოფილიყო, იმ დროს სომხეთს დაასწრებდი მის შეტანას? არ გააჭაჭანა თავის სიახლოვეს საქართველოსა და აზერბაიჯანის გარდა არავინ ასეთი საკვები თავისი ხალხის მოსაწამლად! კიევმა შეიტანა? მინსკმა შეიტანა? მოსკოვმა შეიტანა? — იმათ უყვართ თავისი ხალხი, და გარდა ამისა, არც გაღორებულები არიან... „ზეიკიძეს“ (ძეხვეულის მწარმოებელ შპს-ზეა საუბარი – მ. ჭ.) სწყალობდა სააკაშვილი, უხდიდა კარგად...

— მაშინ რვა ლარი ღირდა ხორცი, „ზეიკიძე“ — 3,20 ლარი, რაღაც ნამდვილად ვერ გამოდის ანგარიშში...

— ერთ კილო ხორცს რომ იყიდიდი, ფაქტობრივად, 10 ლარი გიჯდებოდა, რადგან ძვალი ხომ უნდა გამოაცალო რომ ძეხვი გააკეთო და იმ ფასად როგორ გაყიდიდი, იქით გადაიხდიდი ფულს, რომ ვინმეს ეყიდა? წამლავდნენ ხალხს, წამლავდნენ! შემომტანები თვითონ იყვნენ და, შენ რა დროს მოკვდები, რაში ენაღვლებოდა სააკაშვილის ძმას. ერთ ლიტრ წყალში ერთი ლიტრი ნავთობი შემოგვთავაზა ირანმა, მაგრამ სააკაშვილის ძმამ ატეხა მთელი ამბავი, ბენზინი გაიაფდება და ბიზნესი დამენგრევაო. ყველაფერი მათ ხელში იყო (ახლაც არის), მათი ცოლები, სიდედრები და ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან „ჭკვიანები,“ დანარჩენი, ყველა სულელია ვითომ...

— ძეხვეულზე გამახსენდა, მართალია, რომ ტუალეტის ქაღალდს ურევენ?

— არა, ეს ჭორი კომუნისტების დროს გავრცელდა და იქიდან მოდის. ტექნოლოგიურ პროცესს რომ თავი დავანებოთ, ქაღალდი ყოველთვის ძვირი იყო, კომუნისტების დროსაც, კილო ხორცი ორი მანეთი რომ ღირდა, ქაღალდი ოთხი მანეთი ღირდა, ვინ შეურევდა? გეტყვით, ეს ჭორი საიდან გავრცელდა. ძეხვეულში ინგრედიენტად ემატებოდა ყველაფერი ნატურალური, მათ შორის, ღვინო და კონიაკი. მუშები წრუპავდნენ კონიაკს და კი იყვნენ კარგ ხასიათზე. გაყინული ხორცი რომ შემოდიოდა, კარგი ხარისხის სქელი ქაღალდი ჰქონდა შემოხვეული, ზედ იყო მიყინული და მუშას უნდა აეძრო. ააძრო, მაგრამ ნასვამმა ვერ შენიშნა და ერთი გრძელი ზოლი გაყვა ხორცს ლენტასავით. ძეხვის ხორცის გასატარებელი მანქანა დიდნასვრეტებიანია და გაატარა „ლენტი“, ვერ შენიშნეს სხვებმაც და გავიდა პროდუქციაში. ნახა ვიღაცამ და მიარბენინა „ზევით,“ ქაღალდს ურევენ ძეხვშიო, აქედან წამოვიდა ეს ჭორი...

— ნივრიანი ძეხვი სხვა არაფერია, თუ არა გაფუჭებული ხორციო...

— მაგას ვერ გაიგებ, რადგან ნივრის სუნი და სხვა სანელებლები ყველანაირ სუნს და გემოს სპობენ, მაგრამ არიან ამ გემოს მოყვარულები და ძეხვიც გამოდის ნივრიანი. საქმე ის არის, რომ შიგ ხორცი ან საერთოდ არ არის, ან თუ არის, ძალიან ცოტა პროცენტულობით. ყველა ძეხვეული, საუკუთესო შემთხვევაში, ქათმის ჩონჩხის დაპრესილ ძვლებზეა დამზადებული და ცოტა ხორცი აქვს მოყრილი, თორემ ლარიანი ძეხვები რომ იყიდება, იმაში ისიც არ არის. კრახმალი, სოიო, წიწაკა, მარილი, სანელებლები, რომლებიც, ასევე, ხელოვნურია და ეგაა.

(გაგრძელება იქნება)

კლაუდია შეინბაუმი - მექსიკის პირველი პრეზიდენტი ქალი

2024 წლის 2 ივნისს მექსიკაში საყოველთაო არჩევნები ჩატარდა, ქვეყნის პრეზიდენტისა და მეხიკოს მერის არჩევის გარდა, მექსიკელებმა აირჩიეს ორპალატიანი გენერალური კონგრესის შემადგენლობა, დეპუტატთა პალატის 500 და რესპუბლიკის სენატის 128 წევრი. აირჩიეს ასევე გუბერნატორები, გაიმართა მუნიციპალური არჩევნებიც.

ახალარჩეული პრეზიდენტი გახლავთ 61 წლის კლაუდია შეინბაუმი, მექსიკელი პოლიტიკოსი, მეცნიერი-კლიმატოლოგი და მეხიკოს ყოფილი მერი, ის პირველი ქალი პრეზიდენტი და მექსიკის ისტორიაში ებრაული თემის პირველი წარმომადგენელია.

კლაუდია შეინბაუმმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს განაცხადა, რომ მას და მის ქვეყანას აშშ-სთან, მექსიკის უახლოეს მეზობელთან და მთავარ სავაჭრო პარტნიორთან დაქვემდებარებულის როლი არ აწყობს და უნდა, ამერიკასთან თანაბარი ურთიერთობები ჰქონდეს და დაცული იყოს მექსიკელების ინტერესები, იმ სამუშაო ძალისა, რომელიც ასე სჭირდება მათ ჩრდილოეთელ მეზობელს.

მექსიკაში ყველაზე სისხლიანი საარჩევნო კამპანია დასრულდა

2023 წლის სექტემბერში დაწყებული საარჩევნო კამპანია, რომელიც 2024 წლის 29 მაისს დასრულდა, ქვეყნის ისტორიაში ყველაზე სისხლიანად მიიჩნიეს. ზოგიერთი მონაცემებით, დაზარალდა 750 ადამიანი, 231 მოკლული იქნა, მათ შორის 34 უმაღლეს თანამდებობებზე არჩევის კანდიდატი იყო.

წინა, 2021 წლის არჩევნებთან შედარებით პოლიტიკური აგრესიის დონე 150,5%-ით გაიზარდა, აცხადებენ კონსალტინგური კომპანია **Integralia**-ს ექსპერტები. მისი გამოთვლებით, პოლიტიკური აგრესიის მსხვერპლი დღეში 2,8 ადამიანი ხდებოდა. კვლევებში გათვალისწინებული იყო მკვლელობები, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, მუქარა, ადამიანების მოტაცება და გაუჩინარება.

ამ აგრესიის ბოლო მსხვერპლი მაისის ბოლოს ამ კამპანიაში მოკლული პოლიტიკოსი, კაიუკადე-ბენიტესის მერობის კანდიდატი ალფრედო კაბრერა გახდა, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღით ზურგში მიყენებული რამდენიმე ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა.

კაბრერა და სხვა რამდენიმე მსხვერპლი ნაციონალური ელექტორალური ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი პოლიტიკური კანდიდატების დაცვის მექანიზმის მოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ, რომელიც საარჩევნო პროცესს უწევდა ორგანიზებას. ერთი დღით ადრე მოკლეს რიკარდო არიზმენდი, რომელიც კაბრერასავით ოპოზიციური კოალიციის წარმომადგენელი იყო. კარერას სიკვდილის შემდეგ პარტიამ გააკრიტიკა ოფიციალური ხელისუფლება წინასაარჩენო კამპანიის მსვლელობაში კანდიდატების უსაფრთხოების არასათანადო დაცვის გამო.

კრიტიკის პასუხად, ქვეყნის პრეზიდენტმა ანდრეს მანუელ ლოპეს ობრადორმა ხაზგასმით განაცხადა, რომ, მიუხედავად იმ სისასტიკისა, რომელსაც კანდიდატები წააწყდნენ, ქვეყანაში მაინც ნარჩუნდება პოლიტიკური სტაბილურობა.

ლოპეს ობრადორის მმართველობის სასტიკი ექვსი წელიწადი

ლოპეს ობრადორის მმართველობის ექვსი წელიწადი — 2018-2024 წლები — ბოლო პერიოდში ყველაზე მეტი მკვლელობით გამოირჩევა. საშუალოდ, ამ პერიოდში ყოველდღიურად 95 ასეთი მკვლელობა ფიქსირდებოდა, დაახლოებით ერთი მკვლელობა 15 წუთში. წინა პრეზიდენტის, ენრიკე პერია ნიეტოს მმართველობისას ეს მაჩვენებელი 71 იყო, ე. ი. 20 წუთში ერთი ადამიანი ხდებოდა მკვლელობის მსხვერპლი.

ლოპეს ობრადორის მმართველობის პერიოდში 178 ათასი ადამიანი მოკლეს, მათ შორის, 12 ათასი ბავშვი და 17 წლამდე ასაკის მოზარდი. 5 ათასი ქალი მოკლეს დისკრიმინაციის გამო და გენდერული ნიშნით. საშუალოდ, მექსიკაში ლათინურ ამერიკაში მკვლელობების ერთი მეოთხედი ხდება.

ექსპერტების მტკიცებით, ეს კონფლიქტი 2000-იან წლებში დაიწყო, როცა მემარჯვენე კონსერვატიულმა ხელისუფლებამ კარტელების წინააღმდეგ ბრძოლა გამოაცხადა.

ვინ დგას მექსიკაში პოლიტიკური მკვლელობების უკან

მექსიკელი ანალიტიკოსები დარწმუნებული არიან, რომ პოლიტიკოსების მკვლელობის უკან ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები დგას. იმას, რომ კრიმინალების გათვლა მუნიციპალური დონის ჩინოვნიკებზე კეთდება, თავისი ახსნა აქვს.

კრიმინალურ დაჯგუფებებს მორჩილი პოლიტიკოსები სჭირდებათ, რათა მათ დიდი ფულის შოვნა განაგრძონ. თუ ჩინოვნიკი თვალს დახუჭავს კრიმინალზე, მას ქრთამს გადაუხდიან, თუ არა — მუქარას დაუწყებენ და, შესაძლოა, სიცოცხლესაც კი გამოსალმონ. კრიმინალები პოლიტიკოსებზე ზეწოლის საშუალებად მათი ოჯახის წევრებს იყენებენ.

კარტელებს ესაჭიროებათ რესურსებთან და ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობა, განაცხადა უსაფრთხოების ექსპერტმა სანდრა ლეიმ. მისი მოსაზრებით, უკანასკნელი შეტევები ცხადყოფს, რომ კრიმინალური დაჯგუფებები ბევრ დასახლებულ ადგილას ადგილობრივი ჩინოვნიკების დაცვის ქვეშ იმყოფებიან, რომლებიც მოსყიდულები ან დაშინებულები არიან.

კარტელებს ხელისუფლებაში თავიანთი ხალხი სჭირდებათ, რათა რეგიონში გავლენები შეინარჩუნონ, და უზრუნველყონ პოლიტიკური კანდიდატების ლოიალობა. პარტიას მათთვის მნიშვნელობა არა აქვს. ისინი მუშაობენ ფორმულით — „ან მოგკლავთ, ან ჩვენთვის იმუშავებ“.

ოფიციალური პარტიის მორეგნას წევრებიდან მსხვერპლი 61 ადამიანია, 104 მათი ნათესავები და ახლობლები, ან იმ პარტიის წევრები, რომლებიც მათ მოკავშირებად მოიაზრებიან, 130 კი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელია.

უსაფრთხოების საკითხებში მექსიკელი ექსპერტის, დევიდ სუასეროს თქმით, „არჩევნების პირობებში კარტელები ცდილობენ, ფინანსურად მხარი დაუჭირონ იმ პარტიებს, რომლებისთვისაც მათი კრიმინალური პროექტები უფრო ახლოსაა. როცა კანდიდატები ან მათთან ალიანსის წინააღმდეგი არიან, ან სხვა კრიმინალურ ასოციაციასთან შედიან კავშირში, ხდება ასეთი მკვლელობები.

კარტელებს „ხალისკოსა“ და „სინალოას“ გავლენების ტერიტორიების გაზრდა უნდათ, შესაძლოა, სწორედ ამით აიხსნება კრიმინალის მაღალი დონ.ე ამჟამინდელ ელექტორალურ ციკლში“.

ის შემთხვევები, რომლებიც ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისში მოხდა, გამოძიებული არ ყოფილა, დამნაშავეები არ დასჯილან, მართლმსაჯულება რომ მუშაობდეს, ამდენი მსხვერპლი არ იქნებოდა, — განაგრძობს ექსპერტი.

თავისთავად, მკვლელობები მექსიკაში პოლიტიკური კულტურის ნაწილი არ არის, მაგრამ კონფლიქტურობა და ძალადობის მაღალი მაჩვენებელი მისი შემადგენელი ნაწილია. ამ ქვეყანაში იყო შეიარაღებული კონფლიქტები, ომები, რევოლუციები, ხელისუფლების ძალისმიერი შეცვლა, განსაკუთრებით XIX ს-სა და XX ს-ის დასაწყისში.

ლოპეს ობრადორის ოპონენტები ამტკიცებენ, რომ მისმა პოლიტიკამ დანაშაულის ზრდა გამოიწვია.

ექსპერტის მტკიცებით, უსაფრთხოებისთვის ბრძოლა მექსიკაში ხანგრძლივი პროცესია, აუცილებელია მოსახლეობის აღზრდა, პოლიტიკური კულტურის შეცვლა, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაა, რომლებიც ძალადობის შესაძლებლობას ზრდიან.

არამარტო მექსიკაში...

პოლიტიკოსებზე თავდასხმები მარტო მექსიკაში კი არ ხორციელდება, სხვადასხვა მიზეზით ევროპაშიც გრძელდება.

სამიოდე კვირის წინ თავს დაესხნენ სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრს რობერტ ფიცოს, რომელიც სიკვდილს ძლივს გადაურჩა.

რამდენიმე დღის წინ, 4 ივნისს, მანჰეიმში გერმანიის ბუნდესვერის წევრს როდერიხ კიზევეტერს დაესხნენ თავს, თუმცა მისი მოკვლა არავის უცდია, მოძალადე მხოლოდ მის ცემას დასჯერდა. მანამდე რამდენიმე დღით ადრე, 31 მაისს, ისევ მანჰეიმში, სხვა გერმანელ პოლიტიკოსზე, მიხაელ შტიურცენბერგერზე, რომელიც ისლამის საწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებდა, თავდასხმა განახორციელა ავღანელმა სულეიმან ატაიმ. იგი დანით დაესხა თავს პოლიტიკოსს და დაჭრა. ინციდენტს გერმანელი პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა, რომელიც დანით მიყენებული ჭრილობების გამო სისხლისგან დაიცალა.

პარასკევს კოპენჰაგენში, ძველ ქალაქში დანიის პრემიერ-მინისტრ მეტე ფრედერიქსენს, რომელიც მეგობართან ერთად კაფეში იჯდა, თავს დაესხა 39 წლის პოლონელი, რომელიც ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა და სახეში გაარტყა. დანიის პრემიერი იძულებული იყო, მომდევნო დღეს დაგეგმილი ყველა ღონისძიება გაეუქმებინა. დანიელები მომხდარით შოკირებულები არიან.

კიდევ რომელი ქვეყნის რომელი პოლიტიკოსი გახდება თავდასხმის მსხვერპლი, არავინ უწყის — პოლიტიკოსებს, მოძალადეებს და თავდასხმის მიზეზებს კი რა გამოლევს...

ბელა გველესიანი

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი ჰრესის ჰრინციპით, შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99